

ზინაიდა ჩაჩანიძე

**საინფორმაციო ცნობა რეგორც ენობრივ-
კულტურული ფენომენი და მისი ტექსტობრივი
განზომილება**

**წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0175, საქართველო
ივლისი, 2008**

საავტორო უფლება 2008, ზინაიდა ჩაჩანიძე, 2008

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

(ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი)

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ჩაჩანიძე ზინაიდას მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით “საინფორმაციო ცნობა როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და მისი ტექსტობრივი განზომილება” და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (ფაკულტეტს) სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი პროფესორი გურამ ლებანიძე

რეცენზენტი:

რეცენზენტი:

რეცენზენტი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2008

ავტორი: ჩაჩანიძე ზინაიდა

დასახელება: საინფორმაციო ცნობა როგორც ენობრივ-
კულტურული ფენომენი და მისი ტექსტობრივი
განზომილება

ფაკულტეტი: ჰუმანიტარულ-სოციალური

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ
ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მზინით
მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით
კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს
საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და
არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების
გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია
ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო
უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა
(გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ
მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში,
როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას)
და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის თემას წარმოადგენს ისეთი ჟურნალისტური ჟანრის ტექსტობრივი განზომილება, როგორცაა საინფორმაციო ცნობა; საკვლევ პრობლემას კი წარმოადგენს იმ მიმართებათა სისტემა, რომლებიც როგორც ფუნქციური, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით მაკონსტიტუირებელნი არიან იმ ფენომენისათვის, რომელსაც ჩვენ საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივ განზომილებას ვუწოდებთ.

საინფორმაციო ცნობის როგორც ჟანრის და მისი ტექსტობრივი განზომილების ურთიერთმიმართება განიხილება როგორც ეპოქალური სივრცის იმ ვერტიკალურად და იერარქიულად სტრუქტურირებული განზომილების კომპონენტი, რომლის დომინანტურ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ ინფორმაციული კონტინუუმის ფენომენი.

ინფორმაციული კონტინუუმისა და მედიაკულტურის ცნებათა კონცეპტუალურ სინთეზს მივყავართ დასკვნამდე, რომ საინფორმაციო ცნობა უნდა განვიხილოთ არა როგორც მხოლოდ ერთ-ერთი ჟურნალისტური ჟანრი, არამედ როგორც ჟანრი, რომელსაც როგორც ფუნქციური, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით უნდა მიენიჭოს დომინანტური სტატუსი მთელ ჟურნალისტურ სისტემაში.

საინფორმაციო ცნობის როგორც ჟანრის ტექსტობრივი განზომილების კვლევა უნდა ხდებოდეს ინტერდისციპლინარულობის და ინტერპარადიგმულობის პრინციპებზე დაყრდნობით. ინტერდისციპლინარულობა გაგებულ უნდა იქნას როგორც სამი დისციპლინის – ლინგვისტიკის, ჟურნალისტიკის თეორიის და კულტუროლოგიის – მონაცემთა ისეთი სინთეზი, რომლის შედეგად მივიღებთ საკვლევ ფენომენის ლინგვოკულტუროლოგიურ კვლევას; რაც შეეხება კვლევის ინტერპარადიგმულობას, იგი უნდა ნიშნავდეს ფენომენის ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური კვლევის შედეგთა ლინგვოკულტუროლოგიურ ინტერპრეტაციას.

ჟურნალისტურ ჟანრთა სისტემაში საინფორმაციო ცნობის დომინანტური სტატუსისა და ველის თეორიაზე დაყრდნობის შედეგად საკვლევ ჟანრი უნდა განვიხილოთ იქნას ხსენებული სისტემის სტრუქტურულ ცენტრად, მის არქიქანრად. უნდა ვიგულისხმოთ, რომ საინფორმაციო ცნობის ჟურნალისტური ტიპოლოგია უნდა მიუთითებდეს ინფორმაციულ კრიტერიუმზე დაფუძნებულ საინფორმაციო ცნობის ქვეჟანრთა შემდეგ ერთობლიობაზე:

1. საინფორმაციო ცნობა, რომელიც ძირითადად შეიცავს ფაქტოლოგიურ ინფორმაციას;
2. საინფორმაციო ცნობა, რომელიც ძირითადად შეიცავს ალბათობის პრინციპზე დაფუძნებულ ინფორმაციას;
3. საინფორმაციო ცნობა, რომელიც ძირითადად შეიცავს პრევენციულ ინფორმაციას;
4. საინფორმაციო ცნობა, რომელიც ძირითადად შეიცავს შეფასებით ინფორმაციას;
5. საინფორმაციო ცნობა, რომელიც ძირითადად შეიცავს ნორმატიულ ინფორმაციას;
6. საინფორმაციო ცნობა, რომელიც ძირითადად შეიცავს პროგრამულ ინფორმაციას.

ნაშრომში გამოთქმულ თეორიულ-მეთოდოლოგიურ მოსაზრებაზე დაყრდნობით იკვეთება საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი განზომილების ანალიზის შემდეგი ეტაპობრივი სტრუქტურა: პირველ რიგში უნდა განისაზღვროს გასაანალიზებელი ტექსტის ის საკუთრივ ენობრივი ასპექტი, რომელიც უნდა ჩაითვალოს საინფორმაციო ცნობის მაკონსტიტუირებელ-დიფერენციალურ ნიშანთა ტექსტობრივ სივრცეზე პროექტირების შედეგად. ძირითად ენობრივ სტრუქტურად, რომელსაც უნდა დავეყრდნოთ ამგვარად გამიზნული ანალიზის განხორციელებისას უნდა მივიჩნიოთ სამეტყველო კომპოზიციური ფორმა. ხსენებულ პრობლემასთან დაკავშირებული ჩვენი ვარაუდი მდგომარეობს შემდეგში: ამა თუ იმ კომპოზიციური ფორმის მოცემულობა ტექსტის სტრუქტურაში პირდაპირი ან ირიბი სახით მიუთითებს იმაზე, თუ საინფორმაციო ცნობის რომელი ქვეყანრის ტექსტობრივ განზომილებასთან გვაქვს საქმე მოცემულ შემთხვევაში.

ტექსტის ანალიზის მეორე ეტაპი პრინციპულად განსხვავდება წინა ეტაპისგან იმით, რომ მან თავის თავზე უნდა აიღოს მთელი იმ მეთოდოლოგიური პოზიციის განხორციელება, რომელსაც ჩვენ “ლინგვოკულტუროლოგიური” ვუწოდებთ. თუ გვსურს ამ ეტაპის მთელი თავისებურება გამოვხატოთ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ დავიწყეთ მისი განხორციელება არა მარტო პირველი თავის პირველი პარაგრაფიდან, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, შესავლის პირველი პარაგრაფიდანაც კი. ნათქვამი დასტურდება იმით, რომ ინფორმაციულ კონტინუუმზე ლაპარაკი, მისი დაკავშირება ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციურ განზომილებასთან უკვე ნიშნავდა კვლევის ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის რეალიზაციას. ამ პარადიგმის მოთხოვნის თანახმად (და ინფორმაციული კონტინუუმის როგორც ეპოქალური ფენომენის) გათვალისწინებით საინფორმაციო ცნობას მიენიჭება ადგილი არა მხოლოდ საინფორმაციო ჟანრთა კატეგორიაში, არამედ ჟურნალისტურ ჟანრთა მთელ სისტემაში. ამგვარი მიდგომის შედეგს წარმოადგენს ის, რომ საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივ განზომილებასაც ადვილვამთ როგორც ხსენებული ინფორმაციული კონტინუუმის განუყოფელ ასპექტს.

ანალიზის მესამე ეტაპი, შეიძლება ითქვას, ატარებს რამდენადმე პირობით ხასიათს შემდეგი გაგებით: თვით ტექსტისადმი ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომა, საბოლოო ანგარიშში, გულისხმობს და მოითხოვს ენობრივ და კულტურულ ასპექტთა ფაქტოლოგიურ განუყოფლობას. რაც შეეხება ამ მიდგომის პრაქტიკულ-ანალიტიკურ რეალიზაციას, იგი, ჩვენის აზრით, უნდა ხდებოდეს ინტენციონალურ-პრაგმატიკულ, კომპოზიციურ და რეფერენტულ ასპექტთა ურთიერთდაკავშირების გზით.

ჩვენს მიერ დასმული პრობლემის აქტუალურობა გამომდინარეობს როგორც მისი ამოსავალი განსაზღვრიდან, ისე მისი მრავალგანზომილებიანობიდან. შეიძლება გამოიყოს ამ აქტუალურობის შემდეგი ძირითადი მომენტები:

- ა) ჯერ არ მომხდარა საინფორმაციო ჟანრის ტექსტობრივი განზომილების კვლევა ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმაზე დაყრდნობით;
- ბ) ჯერ არ დასმულა კითხვა: როგორ, რომელი მათქმული-ხირებელი “მექანიზმის” საშუალებით ხდება ჟანრობრივ

დიფერენციალურ ნიშანთა ტრანსფორმირება შესაბამისი არქიტექსტის დიფერენციალურ ნიშნებად?

- 1) ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა აქტუალურია ინტერდისციპლინარულ პლანში: იგი აქტუალურია ლინგვისტიკისთვის, რადგან ჟანრისა და ტექსტის ურთიერთმიმართების პრობლემა განეკუთვნება ფუნქციურ სტილთა პრობლემურ სივრცეს; იგი აქტუალურია ჟურნალისტურ ჟანრთა თეორიისთვის და ზოგადად ჟურნალისტიკის თეორიისთვის, და ბოლოს, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა აქტუალურია კულტუროლოგიისთვის, რადგან პირველად ხდება როგორც ჟურნალისტური ფუნქციური სტილის, ისე ჟურნალისტურ ჟანრთა და ტექსტთა არსებითი დაკავშირება იმ ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციურ განზომილებასთან, რომელსაც ისინი განეკუთვნებიან.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მეცნიერული სიახლე უშუალოდ გამომდინარეობს პრობლემის აქტუალურობიდან:

- ა) ჩვენს ნაშრომში პირველად ხდება საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი განზომილების ლინგვოკულტუროლოგიურ პლანში განხილვა;
- ბ) ჩვენს ნაშრომში პირველად ხდება საინფორმაციო ცნობასა და მის ტექსტობრივ განზომილებას შორის მიმართების ისეთი გააზრება, რომელიც შინაგანად უკავშირდება სისტემისა და ტექსტის ურთიერთმიმართების ზოგად პრობლემას.
- ა. წინა პუნქტში დასახელებულ სიახლესთან ორგანულ კავშირში ხდება ისეთი სიახლის კვლევით პრაქტიკაში შემოტანა, რომელიც უკავშირდება არქიტექსტის ცნებას.
- დ) ჩვენს ნაშრომში პირველად ისმის იმ ადგილის პრობლემა, რომელიც უკავია საინფორმაციო ცნობას არა მარტო საინფორმაციო ჟანრთა ქვესისტემაში, არამედ ჟურნალისტურ ჟანრთა მთელ სისტემაშიც კი.
- ე) ჩვენი კვლევის კიდევ ერთი ძირითადი სიახლე უკავშირდება კითხვას: როგორი უნდა იყოს ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის მიმართება თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმულ დინამიკასთან მის მთლიანობაში? შესაბამისად ჩვენ ვსვამთ პარადიგმათა შორის მემკვიდრეობითობის პრობლემას;
- ვ) კვლევის როგორც თეორიული, ისე მეთოდოლოგიური სიახლე თავის ლოგიკურ დასრულებას ჰპოვებს ისეთ კულტუროლოგიურ ცნებაში, როგორცაა მედიაკულტურის ცნება. ამ ცნების გამოყენებასთან დაკავშირებული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენს კვლევით პრაქტიკაში პირველად ხდება ამ ცნების ორგანული სახით დაკავშირება კვლევის ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმასთან.

Abstract

The given dissertation paper deals with the textual dimension of the journalistic genre as an informational note; its research problem is the system of trends which play a constructive (both from the functional and structural point of view) role for the above mentioned phenomenon.

The interrelation of informational note as a genre and its textual dimension is considered as a structural component of the informational and communicational space and of the contemporary epoch. Its dominant mark is the phenomenon of informational continuum and is considered to be the crucial aspect of this space.

It is the very combination of the two concepts, informational continuum and mediaculture, that proves that informational note should be discussed not only as one of the journalistic genres but as a genre which should be given a dominant status in the whole journalistic system.

The research of textual dimension of informational note as a genre should be carried out on the basis of the principles of interdisciplinarity and interparadigmality. Interdisciplinarity, in this case, should be understood as the combination of three disciplines – linguistics, journalistic theory and culturology; as a result we come to a linguoculturological research of the phenomenon; as for the interparadigmality, it should mean linguoculturological interpretation of the previous, that is communicative paradigm.

If we attribute field character to the system of journalistic genres, informational note may be considered as the structural centre of this field – “archigenre”. As a result of it the following typology of informational note may be supposed:

1. informational note containing factual information;
2. informational note containing information based on the principles of virtuality;
3. informational note containing prevential information;
4. informational note containing appreciative information;
5. informational note containing normative information;
6. informational note containing programmed information.

On the basis of theoretical and methodological views presented in our research work we can distinguish the following “step-by-step” structure of textual dimension of informational note: first of all we should define the aspect related to the actualized language system considered as the structural centre of this field. The theory of compositional speech forms should play the leading role in this analytical process.

The second step of the text analysis differs from the previous one in that it has to realize the culturological methodological position in its integrity.

As for the final step of the analysis it has a conventional character because the linguoculturological approach to the text itself means and requires factual unity of linguistic and cultural aspects. As for the practical and analytical realization of this

approach, it should be carried out by combining intentional-pragmatic, compositional and referential aspects of the described phenomenon.

The scientific novelty of our research may be characterized by the following points:

- a) the textual dimension of informational note is discussed from the linguoculturological point of view;
- b) the relation between informational note and its textual dimension is considered as an aspect of general problem of interrelation of system and text;
- c) the notion of architext is postulated as a crucial means revealing the interrelations between informational note and its textual dimension;
- d) the status of informational note as the hierarchical structure of the whole system of journalistic styles defined as the basis of field approach;
- e) the problem of informational note is discussed on the basis of interparadigm approach to study of linguistic phenomena;
- f) the attempt is made to integrate the concept of mediaculture into the linguoculturological approach to the study of informational note as well as of journalistic genres in general.

სარჩევი

შესავალი -----	11
§ 1. სადისერტაციო ნაშრომის თემა და პრობლემა-----	11
§ 2. პრობლემის აქტუალობა-----	14
§ 3. სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე-----	15
§ 4. სადისერტაციო ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა -----	18
§ 5. კვლევის მეთოდოლოგია და გამოყენებულ მეთოდთა სისტემა-----	19
§ 6. საკვლევი მასალის ზოგადი დახასიათება-----	20
§ 7. სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა-----	20
თავი I. ჟურნალისტური ჟანრობრივი სივრცე და საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი განზომილება როგორც ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემა -----	22
§ 1. საინფორმაციო ცნობა როგორც ჟურნალისტური ჟანრი და მისი ადგილი ჟურნალისტურ ჟანრთა სივრცეში-----	22
§ 2. ჟურნალისტიკის როგორც სოციალური სამოღვაწეო სფეროს ფუნქციური არსი და საინფორმაციო ცნობა როგორც ჟანრი-----	24
§ 3. ჟურნალისტურ ჟანრთა ფუნქციური არსი და მისი მიმართება საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი სივრცის ლინგვო- კულტუროლოგიურ კვლევასთან-----	28
§ 4. ჟანრისა და ტექსტის როგორც ცნებათა ურთიერთმიმართება თანამედროვე ჟურნალისტიკაში და ამ მიმართების მნიშვნელობა ჩვენი საკვლევი პრობლემისთვის-----	30
§ 5. საინფორმაციო ცნობა და მისი ტექსტობრივი სივრცე: პრობლემის თეორიული ასპექტი-----	33
§ 6. საინფორმაციო ცნობა და მისი ტექსტობრივი სივრცე: პრობლემის მეთოდოლოგიური ასპექტი-----	36
პირველი თავის დასკვნები -----	41
თავი II. საინფორმაციო კონტინუუმი და ჟურნალისტიკა როგორც ჟანრობრივი ველი: საინფორმაციო ცნობა როგორც ამ ველის სტრუქტურული ცენტრი და ინფორმაციულ ტექსტთა გენერაციის წყარო -----	43
§ 1. ველის თეორია და საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი სივრცე როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი: პრობლემის სინთეზური ხედვის ცდა-----	43
§ 2. საინფორმაციო ცნობის კლასიფიკაცია ჟურნალისტურ ჟანრთა თანამედროვე თეორიაში: საინფორმაციო ცნობის ქვეჟანრული სივრცე-----	48
§ 3. ენობრივ სტრუქტურათა “ემურ” და “ეტურ” დონეების გამიჯვნის პრინციპი და ჟანრობრივი სივრცის ტექსტობრივ სივრცედ ტრანსფორმირების (ამ სივრცის გენერირების) მოდელირება როგორც მეთოდოლოგიური პრობლემა-----	51
მეორე თავის დასკვნები -----	55

თავი III. საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი სივრცე: პრობლემის პრაგმალინგვისტური და ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები	57
§ 1. ინტერპარადიგმულობა როგორც მეთოდოლოგიური პრინციპი და საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი სივრცე პრაგმალინგვისტური თვალსაზრისით	57
§ 2. საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი სივრცის პრაგმალინგვისტური რეკონსტრუქციის პირველი, ანუ თეორიული ეტაპი	59
§ 3. კომუნიკაციის საწყისი პრაგმალინგვისტური მოდელი და ინტერსუბი-ექტურობის პრინციპზე დაყრდნობილი მისი რეგროსპექტულ-პროსპექტული ხედვა	62
§ 4. კომუნიკაციის პრაგმალინგვისტური მოდელი და ჟურნალისტურ ჟანრთა ტიპოლოგია ინტენციონალური თვალსაზრისით	67
§ 5. კომუნიკაციის პრაგმალინგვისტური მოდელი და მისი “ლინგვოკულტუროლოგიური იმპერატივები”: ჟურნალისტურ ტექსტთა პრაგმალინგვისტური ხედვიდან მათ ლინგვოკულტუროლოგიურ ხედვაზე გადასვლის აუცილებლობა	72
§ 6. საინფორმაციო ცნობის როგორც ჟანრის “ტექსტად ქცევის” ფორმულა და ამ ჟანრის ტექსტობრივი სივრცის ტიპოლოგიზაციისათვის აუცილებელ კრიტერიუმთა სისტემა	77
§ 7. საინფორმაციო ცნობის არსებული ტიპოლოგია და მისი მიმართება მოცემული ჟანრის პრაგმალინგვისტურად ინტერპრეტირებულ „ემურ” სტრუქტურასთან	81
მესამე თავის დასკვნები	97
დასკვნები	99
ციტირებული ლიტერატურა	104

შესავალი

§ 1. სადისერტაციო ნაშრომის თემა და პრობლემა

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის თემას წარმოადგენს ისეთი ჟურნალისტური ჟანრის ტექსტობრივი განზომილება, როგორცაა საინფორმაციო ცნობა; საკვლევ პრობლემას კი წარმოადგენს იმ მიმართებათა სისტემა, რომლებიც როგორც ფუნქციური, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით მაკონსტიტუირებელნი არიან იმ ფენომენისათვის, რომელსაც ჩვენ საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივ განზომილებას ვუწოდებთ. მიმართებათა ეს სისტემა მრავალგანზომილებიანია და, შესაბამისად, მრავალგანზომილებიანია ჩვენი საკვლევ პრობლემაც. სქემატური სახით ამ განზომილებათა არსი შეიძლება აღნიშნულ იქნას შემდეგნაირად:

- ა) პირველ რიგში, რა თქმა უნდა, პრობლემად გვესახება ის მიმართება, რომელიც უნდა ვიგულისხმოთ ხსენებულ ტექსტობრივ სივრცესა და იმ ჟანრს შორის, რომლის რეალიზაციასაც ეს სივრცე წარმოადგენს;
- ბ) პრობლემად გვესახება თვით საინფორმაციო ცნობის როგორც ჟანრის ადგილი ჟურნალისტურ ჟანრთა სისტემის საინფორმაციო ქვესისტემის სტრუქტურაში: თავიდანვე, კვლევის უკვე საწყის ეტაპზე ნათლად იკვეთება ის განსაკუთრებული სტატუსი, რომელიც უნდა ეკავოს საინფორმაციო ცნობას ხსენებულ ქვესისტემაში თუნდაც იმიტომ, რომ მისი დასახელება ფაქტობრივად ემთხვევა თვით ქვესისტემის დასახელებას;
- გ) მაგრამ, როგორც ცნობილია, ნებისმიერი ჟანრი არსებობს მხოლოდ ამა თუ იმ ფუნქციური სტილის ფარგლებში და წარმოდგენილია მის გარეშე. აქედან გამომდინარე ჩვენ დავინახავთ, რომ ამ შემთხვევაშიც თავიდანვე, კვლევის უკვე საწყის ეტაპზე, იკვეთება საინფორმაციო ცნობის სრულიად განსაკუთრებული მიმართება არა მხოლოდ ჟანრთა იმ ქვესისტემასთან, რომელსაც იგი უშუალოდ ეკუთვნის, არამედ მთელ ჟურნალისტურ ჟანრულ სისტემასთან და უფრო მეტიც –

თვით ჟურნალისტიკასთან როგორც სოციალური სინამდვილის კონკრეტულ სფეროსთან: საინფორმაციო ცნობის ნომინაცია შეიცავს ცნებას, რომელიც, როგორც ენახავთ, ფუძემდებელია მთელი ჟურნალისტიკისთვის, სახელდობრ ინფორმაციის ცნებას.

მაგრამ გარდა იმ თეორიული განზომილებებისა, რომლებზეც უკვე იქნა მითითებული, ჩვენს მიერ დასმული პრობლემა შეიცავს მეთოდოლოგიურ განზომილებებსაც. ეს განზომილებებია:

ა) როგორ უნდა წარიმართოს საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი განზომილების კვლევა პარადიგმული თვალსაზრისით? როგორც ცნობილია, ლინგვისტური აზროვნების დომინანტურ პარადიგმად დღეისათვის უნდა მივიჩნიოთ ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა, რომლის მიხედვით ენობრივ-ტექსტობრივი ფენომენები განხილულ უნდა იქნან კულტურულ ფენომენებთან ორგანულ კავშირში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენთვის საინტერესო ტექსტობრივი სივრცეც უნდა ვიკვლიოთ ლინგვოკულტუროლოგიურ პერსპექტივაში. მაგრამ ამავე დროს ცხადია ისიც, რომ როგორც ჟანრის, ისე ტექსტის ცნებები გენეტიკურად უკავშირდებიან წინა ლინგვისტურ პარადიგმებს – სისტემურ-სემიოტიკურსა და ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურს. ბუნებრივია, დაისმის კითხვა: როგორ უნდა იქნას გაგებული ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის მიმართება ხსენებულ სხვა პარადიგმებთან ჩვენი კვლევის ფარგლებში;

ბ) და ბოლოს, რა თქმა უნდა, დაისმის პრობლემის თეორიულ და მეთოდოლოგიურ ასპექტთა ერთ კვლევით სისტემაში ინტეგრაციისა და სინთეზის პრობლემა.

როგორც ვხედავთ, ეჭვს არ იწვევს ჩვენს მიერ დასმული პრობლემის თეორიულ-მეთოდოლოგიური მრავალგანზომილებიანობა. ამ მრავალგანზომილებიანობის შესაბამისად ჩვენს წინაშეა კონკრეტულ კვლევით ამოცანათა მთელი სპექტრი. დავასახელოთ ყველაზე მნიშვნელოვანნი მათ შორის:

ა) აუცილებელი იქნება ზოგად პლანში ჟანრსა და ტექსტს შორის არსებული მიმართების კონცეპტუალიზაცია. სხვანაირად რომ

ვთქვათ, დაგვჭირდება იმ მათემატიკური “მექანიზმის” მოდელირება, რომლის საშუალებით ჟანრი “ბადებს” თავის ტექსტობრივ განზომილებას, ანუ თავის ტექსტობრივ სივრცეს;

- ბ) აუცილებელი იქნება ხსენებული ტექსტობრივი სივრცის განსაზღვრა როგორც პარადიგმულ, ისე სინტაგმატურ დონეზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, პარადიგმატულ დონეზე საჭირო იქნება იმ არქიტექსტის დასახელება და დახასიათება, რომელიც ფუნქციურად და სტრუქტურულად შეესაბამება საინფორმაციო ცნობას როგორც ჟანრს და საჭირო იქნება იმის განსაზღვრა, თუ რა ვარიაციებს განიცდის ხსენებული არქიტექსტი სინტაგმატურ დონეზე, ანუ ტექსტობრივი სივრცის ფარგლებში;
- გ) აუცილებელი იქნება ზემოთ დასახული პრობლემის, ანუ არქიტექსტის სინტაგმატური ვარიაციის პრობლემის გააზრება ტიპოლოგიურ პლანში: არქიტექსტის ვარიანტები განხილულ უნდა იქნან როგორც მისი ტიპები;
- დ) როგორც ზემოთ იქნა მინიშნებული, აუცილებელი იქნება იმის განსაზღვრა, თუ როგორ უნდა იქნას დაკავშირებული ჩვენი კვლევის საგნის, ანუ საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი სივრცის ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის დაკავშირება იგივე სივრცის კვლევის იმ შედეგებთან, რომლებიც მიღებულ იქნა ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმის ფარგლებში. თუ გვსურს პარადიგმათა შორის მემკვიდრეობითობის შენარჩუნება, მაშინ ხსენებული ამოცანა მიიღებს შემდეგ სახეს: როგორ უნდა იქნას ტრანსფორმირებული ტექსტთა პრაგმატული ტიპოლოგია მის ლინგვოკულტუროლოგიურ ტიპოლოგიად?
- ე) თუ გავითვალისწინებთ ზემოთ გამოკვეთილ მთელ პრობლემურ კონტექსტს, აუცილებელი იქნება შემდეგი კითხვის დასმა: როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ის სოციოკულტურული სინამდვილე, რომლის სტრუქტურა რელევანტურია ჩვენი საკვლევი საგნისათვის? სხვანაირად რომ ვთქვათ, აუცილებელი იქნება ხსენებული სინამდვილის ისეთი მოდელის აგება, რომელიც თავისი სტრუქტურით შესძლებს ჩვენი პრობლემის იმ თეორიულ

განზომილებათა თავის თავში ინტეგრირებას, რომელთა შესახებ ზემოთ გვექონდა მსჯელობა.

§ 2. პრობლემის აქტუალურობა

პრობლემის აქტუალურობა გამომდინარეობს როგორც მისი ამოსავალი განსაზღვრიდან, ისე მისი იმ მრავალგანზომილებიანობიდან, რომლის შესახებაც ვიმსჯელებთ წინა პარაგრაფში. შეიძლება გამოიყოს ამ აქტუალურობის შემდეგი ძირითადი მომენტები:

ვ) ჩვენს მიერ დასმული პრობლემა აქტუალურია უკვე ზოგადთეორიულ და ზოგადმეთოდოლოგიურ პლანში, რადგან გვაქვს საფუძველი იმის მტკიცებისა, რომ ჯერ არ მომხდარა საინფორმაციო ჟანრის ტექსტობრივი განზომილების (ტექსტობრივი სივრცის) კვლევა ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმაზე დაყრდნობით. სხვანაირად რომ ვთქვათ, არ დასმულა კითხვა: როგორ უნდა გამოიყურებოდეს ამ ჟანრის ტექსტთა პრაგმალინგვისტური ტიპოლოგიის ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაცია?

დ) ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა აქტუალურია შემდეგი უფრო კონკრეტული, მაგრამ ამავე დროს არა ნაკლებ მნიშვნელოვანი თვალსაზრისითაც: მიუხედავად იმისა, რომ ლინგვისტურ ლიტერატურაში (სახელდობრ მ. გვენცაძის შრომაში) ლაპარაკია საინფორმაციო ცნობის დიფერენციალურ ნიშნებზე, ჯერ არ დასმულა კითხვა: როგორ, რომელი მააქტუალიზირებელი “მექანიზმის” საშუალებით ხდება ჟანრობრივ დიფერენციალურ ნიშანთა ტრანსფორმირება შესაბამისი არქიტექსტის დიფერენციალურ ნიშნებად? ამ კითხვის დასმა კი (და, ბუნებრივია, მასზე პასუხის გაცემაც) აქტუალურია არა მარტო საინფორმაციო ცნობის, არამედ ნებისმიერი ჟურნალისტური ჟანრის “გატექსტების” თვალსაზრისით. უფრო მეტიც: მიგვაჩნია, რომ ამგვარი კითხვის დასმა აქტუალურია ზოგადად ენობრივი

სინამდვილის ჟანრობრივ და ტექსტობრივ განზომილებათა ურთიერთმიმართების პლანში;

- გ) ვფიქრობთ, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა აქტუალურია ინტერდისციპლინარულ პლანში: იგი აქტუალურია ლინგვისტიკისთვის, პირველ რიგში კი ფუნქციურ სტილთა ლინგვისტური თეორიისთვის, რადგან ჟანრისა და ტექსტის ურთიერთმიმართების პრობლემა განეკუთვნება ფუნქციურ სტილთა პრობლემურ სივრცეს; იგი აქტუალურია ჟურნალისტურ ჟანრთა თეორიისთვის და ზოგადად ჟურნალისტის თეორიისთვის, რადგან, როგორც ვნახეთ, ჩვენ ვესხებით ამ დისციპლინარული სფეროსთვის მნიშვნელოვან სამ პრობლემას:
- 2) ჟურნალისტის ზოგადი თეორიისა და ჟურნალისტურ ჟანრთა თეორიის ურთიერთმიმართების პრობლემას;
- 3) ჟურნალისტურ ჟანრთა ერთიანი სფეროს შიდა სტრუქტურის პრობლემას და
- 4) ჟურნალისტის ჟანრობრივი სივრცისა და ტექსტობრივი სივრცის ურთიერთმიმართების პრობლემას; და ბოლოს, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა აქტუალურია კულტუროლოგიისთვის, რადგან პირველად ხდება როგორც ჟურნალისტური ფუნქციური სტილის, ისე ჟურნალისტურ ჟანრთა და ტექსტთა არსებითი დაკავშირება იმ ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციურ განზომილებასთან, რომელსაც ისინი განეკუთვნებიან.

§ 3. სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მეცნიერული სიახლე უშუალოდ გამომდინარეობს პრობლემის აქტუალურობიდან და გამოცანათა ერთობლიობიდან, რომლებიც უკავშირდება დასმული პრობლემის გადაჭრას. გამოვეყოფთ ხსენებული სიახლის შემდეგ კონკრეტულ ასპექტებს:

- ვ) ჩვენს ნაშრომში პირველად ხდება საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი განზომილების ლინგვოკულტუროლოგიურ პლანში განხილვა, რაც, ჩვენის აზრით, უნდა ჩაითვალოს

როგორც თეორიულ, ისე მეთოდოლოგიურ სიახლედ კვლევის ამ სფეროში;

- დ) ჩვენს ნაშრომში პირველად ხდება საინფორმაციო ცნობასა და მის ტექსტობრივ განზომილებას შორის მიმართების ისეთი გააზრება, რომელიც შინაგანად უკავშირდება სისტემისა და ტექსტის ურთიერთმიმართების ზოგად პრობლემას. როგორ ხდება მოცემული ჟანრის როგორც მასმედიაური ფუნქციური სტილის ისეთი აქტუალიზირება, რომელიც იძლევა ჟანრის შესაბამის ტექსტობრივ განზომილებას?
- ე) წინა პუნქტში დასახელებულ სიახლესთან ორგანულ კავშირში ხდება ისეთი სიახლის კვლევით პრაქტიკაში შემოტანა, რომელიც უკავშირდება არქიტექსტის ცნებას. არქიტექსტი განიხილება იმ პარადიგმატულ ერთეულად, რომელიც თავის დიფერენციალურ ნიშანთა სისტემით ჰომომორფულად შეესაბამება ჟანრს და რომლის ვარიაცია სინტაგმატურ დონეზე “ბადებს” ჟანრის შესაბამის ტექსტთა ტიპობრივ ვარიანტებს. შესაბამისად ჩვენს ნაშრომში პირველად ისმის საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი განზომილების ისეთი ტიპოლოგიზაციის პრობლემა, რომელიც ეფუძნება არქიტექსტის პარადიგმატულ ცნებას;
- დ) ჩვენს ნაშრომში პირველად ისმის იმ ადგილის პრობლემა, რომელიც უკავია საინფორმაციო ცნობას არა მარტო საინფორმაციო ჟანრთა ქვესისტემაში, არამედ ჟურნალისტურ ჟანრთა მთელ სისტემაშიც კი. შესაბამისად, არა მხოლოდ საინფორმაციო ცნობა, არამედ მთლიანად ჟურნალისტურ ჟანრთა კვლევის პრაქტიკა პირველად უკავშირდება კვლის ზოგადლინგვისტურ ცნებას; შესაბამისად, ჩვენ შემოვიტანთ კვლევით პრაქტიკაში არა მხოლოდ არქიტექსტის, არამედ ასევე არქიჟანრის ცნებასაც და ვიგულისხმებთ შემდეგს: თუ, როგორც ამას ჟურნალისტიკის ზოგადი თეორია გულისხმობს, ინფორმაცია (ინფორმაციულობა) წარმოადგენს ნებისმიერი ჟურნალისტური ჟანრის ცენტრალურ დიფერენციალურ ნიშანს, მაშინ შესაძლებელი და აუცილებელიცაა ვილაპარაკოთ მთელი ჟურნალისტური სფეროსთვის ფუძემდებელ ინფორმაციულ

კონტინუუმზე. მაგრამ, რაკი ამავე დროს, გათვალისწინებულია ის ფაქტორიც, რომ ჟურნალისტურ ჟანრთა თეორია გამოყოფს სამ ჟანრობრივ კატეგორიას (ინფორმაციული, ანალიტიკური და მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრები), უნდა მივიჩნიოთ, რომ ხსენებულ კონტინუუმს მის მთლიანობაში აქვს აგრეთვე ველის სტრუქტურა და ამ სტრუქტურის დარგებში სწორედ საინფორმაციო ცნობა ასრულებს არქიჟანრის ფუნქციას;

- ე) როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ჩვენი კვლევის ძირითად სიახლედ უნდა მივიჩნიოთ საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი განზომილების ლინგვოკულტუროლოგიურ პლანში კვლევა. მაგრამ აღნიშნული ზოგადი სიახლე “ბადებს” არანაკლები მნიშვნელობის ისეთ მეორე სიახლეს, რომელიც უკავშირდება კითხვას: როგორი უნდა იყოს ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის მიმართება თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმულ დინამიკასთან მის მთლიანობაში? შესაბამისად ჩვენ ვსვამთ პარადიგმათა შორის მემკვიდრეობითობის პრობლემას და ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით კვლევით პრაქტიკაში შემოგვაქვს კვლევის მიმართულების განმსაზღვრელი ისეთი ახალი ცნება, როგორიცაა კვლევის ინტერპარადიგმული მეთოდოლოგიის ცნება;
- წ) კვლევის როგორც თეორიული, ისე მეთოდოლოგიური სიახლე თავის ლოგიკურ დასრულებას ჰპოვებს ისეთ კულტუროლოგიურ ცნებაში, როგორიცაა მედიაკულტურის ცნება. ამ ცნების გამოყენებასთან დაკავშირებული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენს კვლევით პრაქტიკაში პირველად ხდება ამ ცნების ორგანული სახით დაკავშირება კვლევის ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმასთან.

§ 4. სადისერტაციო ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ჩვენი კვლევის თეორიული მნიშვნელობა უშუალოდ გამომდინარეობს მეცნიერულ სიახლეთა იმ სპექტრიდან, რომლის შესახებ ვმსჯელობდით წინა პარაგრაფში. ვფიქრობთ, რომ შეიძლება

ვილაპარაკოთ ჩვენი ნაშრომის მნიშვნელობაზე როგორც თეორიული, ისე მეთოდოლოგიური მნიშვნელობით. თეორიული მნიშვნელობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი განზომილება (ტექსტობრივი სივრცე) დანახულია არა მხოლოდ იმ მიმართების თვალსაზრისით, რომელიც იგულისხმება ჟანრსა და ტექსტს შორის, არამედ სოციალური სინამდვილის მთელი იმ განზომილების თვალსაზრისით, რომლის ერთობლივ კუთვნილებად უნდა მივიჩნიოთ როგორც ჟანრი, ისე მის მიერ გენერირებული ტექსტობრივი სივრცე. ჩვენს ნაშრომში კვლევის უშუალო საგანი – საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი სივრცე – აღქმული და გააზრებულია როგორც ვალტის კულტურულ-ცივილიზაციური განზომილების განუყოფელი მომენტი. სწორედ ამგვარი თეორიული საფუძველი იძლევა, ჩვენის აზრით, ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის როგორც კვლევის მეთოდოლოგიის დაფუძნების საშუალებას.

სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მასში გამოყენებული კვლევითი პრინციპები და მიღწეული შედეგები შეიძლება გათვალისწინებულ იქნან როგორც ზოგადი სახის თეორიულ კურსში (თანამედროვე ენათმეცნიერებისა და ფუნქციურ სტილთა თეორიის, ზოგადი ჟურნალისტიკისა და ჟურნალისტურ ჟანრთა თეორიის კურსები), ისე სასემინარო მუშაობის პროცესში, განსაკუთრებით მაშინ, როცა საჭირო ხდება ტექსტთა ლინგვოკულტუროლოგიურ პლანში გაანალიზება.

§ 5. კვლევის მეთოდოლოგია და გამოყენებულ მეთოდთა სისტემა.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგიური მიმართულება უკვე მინიშნებულია იმ პარაგრაფთა შინაარსით, რომლებშიც ლაპარაკი იყო პრობლემის აქტუალობასა და ჩვენი ნაშრომის მეცნიერულ სიახლეზე: ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ეს

არის კვლევის ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგია, ანუ ის მეთოდოლოგია, რომელიც პარადიგმულ სტატუსს იძენს მთელ თანამედროვე ჰუმანიტარულ აზროვნებაში, ხოლო ლინგვისტიკის ფარგლებში კი “ფორმირდება” როგორც აზროვნების ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა. კვლევის ინტერდისციპლინარული ხასიათი განპირობებულია უკვე იმით, რომ ერთმანეთს უკავშირდება სამი ისეთი ჰუმანიტარული დისციპლინა, როგორცაა ლინგვისტიკა, ჟურნალისტიკის თეორია და თანამედროვე კულტუროლოგია. მაგრამ ამავე დროს არა ნაკლებად მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ მებისმიერი ინტერდისციპლინარული კვლევა შეიძლება გადაიზარდოს ეკლექტიკაში, თუ ხსენებული ინტერდისციპლინარიზმი არ იქნება გარკვეული თვალსაზრისით ცენტრირებული. ჩვენს შემთხვევაში ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგია ცენტრირებულია ლინგვოსემიოტიკურად, რაც იმას ნიშნავს, რომ ჟურნალისტურ და კულტუროლოგიურ ცნებათა ერთობლიობა საბოლოო ანგარიშში ემსახურება გარკვეული ჟანრის ტექსტობრივი სივრცის, ანუ ტექსტთა ერთობლიობის ფუნქციური არსისა და ტიპოლოგიის კვლევას.

მეთოდოლოგიის ამგვარი განსაზღვრა განაპირობებს იმ მეთოდთა ხასიათსაც, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ. გამომდინარე ცენტრირებულობის იმ ლინგვოსემიოტიკური ხასიათიდან, რომლის შესახებაც ზემოთ ვმსჯელობდით, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ უპირატესობას ვანიჭებთ ტექსტის ლინგვოსემიოტიკურ თეორიაში შემუშავებულ მეთოდებს, მაგრამ ამავე დროს ვახდენთ მათ სისტემურ შერწყმას ჟურნალისტიკის თეორიასა და კულტუროლოგიაში შემუშავებულ მეთოდებთან.

§ 6. საკვლევი მასალის ზოგადი დახასიათება.

კვლევის ლინგვოკულტუროლოგიური მიმართულება განსაზღვრავს იმ ემპირული ენობრივ-ტექსტობრივი მასალის ხასიათს, რომლის კვლევის პროცესშიც ხდება ზემოთ განსაზღვრული თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების რეალიზაცია. აქდან გამომდინარე, ჩვენ ვიკვლევთ საინფორმაციო ცნობის როგორც ჟანრის

იმ ტექსტობრივ სივრცეს, რომელიც წარმოდგენილია თანამედროვე ინგლისურენოვან პრესაში. მაგრამ მიგვაჩნია, რომ საკვლევი მასალის ამგვარ განსაზღვრას თან უნდა ახლდეს შემდეგი თეორიულ-მეთოდოლოგიური მოსაზრება: ის ტექსტობრივი სივრცე, რომელსაც ჩვენ ვიკვლევთ, წარმოადგენს არა დახშულ, არამედ პრინციპულად ღია (გახსნილ) სისტემას, ე.ი. უსასრულოა თავის რეალურ მოცემულობაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უსასრულოდ უნდა ჩაითვალოს ჩვენს მიერ კონსტრუირებული არქიტექსტის შინაგანი ვარიაციულობის პერსპექტივაც. მაგრამ, ამავე დროს ვფიქრობთ, რომ ამგვარი სისტემური გახსნილობისა და ტიპოლოგიური ვარიაციულობის ფონზე აუცილებელი და აქტუალურია სწორედ ის, რასაც ეძღვნება ჩვენი კვლევა – თვით პრობლემის ადეკვატური სახით დასმა.

§ 7. სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურას განსაზღვრავს როგორც კვლევის ზოგადი მიზანდასახულება, ისე ამ მიზანდასახულებით განპირობებული და ზემოთ უკვე მითითებული პრობლემატიკა. ნაშრომი შედგება შესავლისაგან, სამი თავისგან და ზოგადი დასკვნებისაგან. პირველ თავში, რომლის სათაურია “ჟურნალისტური ჟანრობრივი სივრცე და საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი განზომილება როგორც ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემა”, განსაზღვრულია ის თეორიულ-მეთოდოლოგიური სისტემა, რომელსაც დავეყრდნობით კვლევის უშუალო საგნის, ანუ საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი განზომილების კვლევისას. მოცემულ თავში გაშლილი სახითა და თანმიმდევრულად რეალიზებულია კვლევის ის ინტერდისციპლინარულ-ლინგვოკულტუროლოგიური ორიენტაცია, რომლის განმარტებასა და დაფუძნებასაც ვცდილობთ ამ შესავლის ფარგლებში; ნაშრომის მეორე თავში, რომლის სათაურია “საინფორმაციო კონტინუუმი და ჟურნალისტიკა როგორც ჟანრობრივი ველი: საინფორმაციო ცნობა როგორც ამ ველის სტრუქტურული ცენტრი და ინფორმაციულ ტექსტთა გენერაციის წყარო”, განხილული და რეზიუმირებულია ის

შედეგები, რომელიც დღეისათვის მიღწეულია ტექსტთა ხსენებული ერთობლიობის ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური კვლევის სფეროში, თუმცა ამავე დრის, როცა ლაპარაკია ხსენებულ შედეგებზე, ხაზი გაესმის მათი ახლებური, ანუ ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაციის აუცილებლობას; ნაშრომის მესამე თავში კი, რომლის სათაურია “საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი სივრცე: პრობლემის პრაგმატინგვისტური და ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები”, ვცდილობთ მოვახდინოთ – რა თქმა უნდა, ზემოთ მითითებული ემპირიული მასალის განხილვის საფუძველზე – იმ ამოცანის რეალიზაციას, რომლისთვის აუცილებელი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები შემუშავებული იყო ნაშრომის პირველ თავში და რომლის აუცილებლობაც დასაბუთებული იყო მეორე თავში. ნაშრომის ზოგად დასკვნებში ვახდენთ არა მარტო იმის რეზიუმირებას, რაც გაკეთდა სამივე თავში, არამედ ვცდილობთ კიდევ მივანიჭოთ ჩატარებული კვლევის შედეგებს დასრულებული სისტემური ხასიათი.

თავი I

ჟურნალისტური ჟანრობრივი სივრცე და საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი განზომილება როგორც ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემა.

§ 1. საინფორმაციო ცნობა როგორც ჟურნალისტური ჟანრი და მისი ადგილი ჟურნალისტურ ჟანრთა სივრცეში.

ჩვენი ნაშრომის შესავალმა, ალბათ, საკმარისად მკაფიოდ წარმოაჩინა როგორც ჩვენი კვლევის უშუალო საგანი, ისე ამ საგნის მიმართება ენობრივი სინამდვილის, კერძოდ კი ფუნქციურ სტილთა სისტემისათვის დამახასიათებელ შემდეგ კანონზომიერებასთან: ყოველი ტექსტი წარმოადგენს გარკვეული ტექსტობრივი სივრცის კომპონენტს, ხოლო ყოველი ტექსტობრივი სივრცე – გარკვეულ ჟანრს, რომელიც თავის მხრივ ასევე უნდა განვიხილოთ როგორც გარკვეული ჟანრობრივი სივრცის კომპონენტი. ამ ზოგადი კანონზომიერებიდან გამომდინარე შეუძლებელია არ დავინახოთ ის პრობლემური კავშირი, რომელიც უნდა არსებობდეს, ერთის მხრივ, საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივ სივრცესა და იმ ადგილს შორის, რომელიც უკავია თვით ხსენებულ ჟანრს ჟურნალისტურ ჟანრთა ერთიან სისტემაში. როგორც შესავალში უკვე ითქვა, ჩვენი კვლევის ცენტრალურ მომენტად უნდა მივიჩნიოთ იმ დინამიური მახატუალიზირებული მოდელის გამოვლენა და აღწერა, რომლის ფუნქციონირების შედეგად ხდება ის, რასაც ლაკონურად, მაგრამ არსებითად ჟანრის “გატექსტება” შეიძლება ვუწოდოთ. მაგრამ ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რასაც გულისხმობს ჩვენი კვლევის როგორც თეორიული, ისე მეთოდოლოგიური ასპექტი: თეორიული თვალსაზრისით საკვლევი ტექსტობრივი სივრცე აღქმული და გააზრებული უნდა იქნას არა მხოლოდ ლინგვისტურად, არამედ კულტუროლოგიურადაც (საბოლოო ანგარიშში კი – ლინგვოკულტუროლოგიურად). მეთოდოლოგიური თვალსაზრისით კი ხსენებული გააზრება უნდა მოხდეს უკვე ხსენებულ სამ მეცნიერულ დისციპლინათა მონაცემების სინთეზირების გზით.

მაგრამ კვლევის ამგვარი მიზანდასახულება, ჩვენის აზრით, აუცილებლად გულისხმობს შემდეგი კითხვის ექსპლიციტური ფორმით დასმას: რა მიმართებაშია თვით ის ჟურნალისტური ჟანრი, რომლის ტექსტობრივ განზომილებას ვიკვლევთ, ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციურ განზომილებასთან და თვით ჟურნალისტურ ჟანრთა ერთიან სივრცესთან? თუ ამ კითხვაზე ადეკვატურ პასუხს გავცემთ, მაშინ ასევე ადეკვატური იქნება როგორც იმ არქიტექსტის ფუნქციური არსის განსაზღვრა, რომელმაც პარადიგმულად უნდა წარმოადგინოს საინფორმაციო ცნობა, ისე მისი ტიპოლოგიზაცია სინტაგმატურ-ტექსტობრივ პლანში.

ამგვარად ისმის კითხვა: რას წარმოადგენს საინფორმაციო ცნობა როგორც ჟანრი კულტურულ-ცივილიზაციური თვალსაზრისით და როგორია მისი ადგილი ჟურნალისტურ ჟანრთა ერთიან სივრცეში? მიგვაჩნია, რომ ამ კითხვაზე პასუხი შეგვიქმნის ჩვენი კვლევისათვის აუცილებელ ერთიან სასტარტო საფუძველს.

ზემოთ დასმული კითხვა შეიცავს შემდეგ სამ ურთიერთდაკავშირებულ, მაგრამ, ამავე დროს, განსხვავებულ ასპექტს. ეს ასპექტებია:

- ა) რა მიმართებაშია საინფორმაციო ცნობა ჟურნალისტიკის როგორც ერთიანი სოციალური სფეროს ფუნქციურ არსთან?
- ბ) როგორ განიხილება ჟურნალისტურ ჟანრთა და ჟურნალისტურ ტექსტთა ურთიერთმიმართება თანამედროვე ჟურნალისტიკაში?
- გ) და ბოლოს, როგორ უნდა იქნას განსაზღვრული საინფორმაციო ცნობის ადგილი ჟურნალისტურ ჟანრთა ერთიან სივრცეში, თუ 1) გავითვალისწინებთ თვით ჟურნალისტიკის როგორც ერთიანი სამოღვაწეო სფეროს კულტურულ-ცივილიზაციურ დანიშნულებას და 2) მივიჩნევთ, რომ საინფორმაციო ცნობის (ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ჟანრის) ფუნქციურმა არსმა უნდა ჰპოვოს რეალური გამოვლინება პირველ რიგში მისი ტექსტობრივი სივრცის სახით?

შევეცადოთ გავცეთ პასუხი ზემოთ დასმულ კითხვაზე ამ კითხვის სამივე ასპექტის თანმიმდევრული გათვალისწინების გზით.

§ 2. **ჟურნალისტიკის როგორც სოციალური სამოღვაწეო სფეროს ფუნქციური არსი და საინფორმაციო ცნობა როგორც ჟანრი.**

წინა პარაგრაფში დავსვით კითხვა, რომელზე პასუხმა, როგორც ითქვა, უნდა შეგვიქმნას ჩვენი კვლევისთვის აუცილებელი ერთიანი სასტარტო საფუძველი: რას წარმოადგენს საინფორმაციო ცნობა როგორც ჟანრი კულტურულ-ცივილიზაციური თვალსაზრისით და როგორია მისი ადგილი ჟურნალისტურ ჟანრთა ერთიან სისტემაში? საინფორმაციო ცნობის კულტურულ-ცივილიზაციურ თვალსაზრისზე ვიმსჯელებთ უფრო გვიან, როცა გვექნება ამ მსჯელობისთვის აუცილებელი და საკმარისი კონცეპტუალური საფუძველი. რაც შეეხება კითხვის მეორე ასპექტს, მასზე პასუხისთვის უნდა მივმართოთ, პირველ რიგში, ჟურნალისტიკის როგორც ერთიანი სამოღვაწეო სფეროს ფუნქციური არსის იმ განსაზღვრას, რომელსაც იძლევა ხსენებული სფეროს თანამედროვე თეორია.

ჟურნალისტიკის როგორც სფეროს ფუნქციური არსი ვლინდება იმ ცენტრალური კატეგორიის დასახელებითა და განსაზღვრით, რომელიც უნდა მივიჩნიოთ ჟურნალისტური თეორიის როგორც მეცნიერების მთელი ცნებითი აპარატის საფუძველად. როგორც ე.პროხოროვი აღნიშნავს, “ჟურნალისტიკა როგორც სოციალური მოვლენა წარმოადგენს ერთ მთლიანს და იგი შინაგანად ერთიანია. აქედან გამომდინარე, ამ მოვლენის ამსახველი ცოდნაც უნდა იყოს მაქსიმალურად მთლიანი” (1, 13-14). ნათქვამის შესაბამისად, ჟურნალისტიკის კატეგორიაც, ერთობლიობაც, ავტორის აზრით, უნდა წარმოადგენდეს “ერთ მთლიანურ სისტემას” (იქვე). აქედან გამომდინარე, აუცილებელი ხდება განისაზღვროს ის ცენტრალური კატეგორია, “რომლის გარშემო დაჯგუფდება სისტემის ყველა დანარჩენი კატეგორია და რომელიც ასახავს ჟურნალისტიკის სპეციფიკას, მის ფუნდამენტურ თავისებურებას. ეს ის კატეგორიაა, რომელსაც ძალუძს არა მარტო დაახასიათოს ჟურნალისტიკა მის მთლიანობაში, არამედ მისი ნებისმიერი ასპექტიც და მის სფეროში


განსორციელებული ნებისმიერი ქმედებაც” (იქვე). ასეთი ცენტრალური კატეგორიის როლი, ავტორის აზრით, უნდა შეასრულოს “მასობრივი ინფორმაციის” ცნებამ: “ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და გადაცემა წარმოადგენს ჟურნალისტური მოღვაწეობის სპეციფიკას ყოველ მის გამოვლინებაში, და სწორედ ამ ამოცანის შესრულებას ექვემდებარება ჟურნალისტიკის ორგანიზაციული, ტექნიკური, შემოქმედებითი სტრუქტურები” (იქვე). მაგრამ, ჩვენის აზრით, მნიშვნელოვანია ხსენებული ცენტრალური კატეგორიის არსის ის დაკონკრეტებაც, რომელსაც იძლევა ავტორი: “უნდა გვახსოვდეს, რომ, როცა ლაპარაკია ჟურნალისტიკის ზოგად ბუნებაზე, მხედველობაში აქვთ არა ინფორმაცია ზოგადად, არამედ სწორედ მასობრივი ინფორმაცია. განსაზღვრა “მასობრივი” შეიცავს ღრმა აზრს და მოითხოვს სერიოზულ ანალიზს” (იქვე).

რა თქმა უნდა, ჩვენთვის მთლიანად მისაღებია ინფორმაციის იმ ცენტრალური სტატუსის ხაზგასმა, რომელიც გვქონდა პროსოროვის ზემოთ მოყვანილ მსჯელობაში. მაგრამ, ამავე დროს, მოგვაჩნია, რომ ინფორმაციის როგორც ფენომენისა და კატეგორიის განხილვა უნდა ხდებოდეს იმ ფენომენისა და კატეგორიის განხილვის ფონზე, რომლის სტრუქტურულ კომპონენტს იგი წარმოადგენს. ასეთ ფენომენად უნდა მივიჩნიოთ კომუნიკაციის ფენომენი და ჩავთვალოთ, რომ მასობრივი ინფორმაციის ცნება ჟურნალისტიკის როგორც სოციალური მოღვაწეობის ცნება, როგორც ჟურნალისტური კატეგორია უნდა დაექვემდებაროს მასობრივი კომუნიკაციის ბევრად უფრო ფუნდამენტურ ცნებას. როგორც ქართველი მკვლევარები რ. სურგულაძე და ე. იბერი აღნიშნავენ, “ნებისმიერი საზოგადოება ყოველთვის ორგანიზებული მთლიანობაა. ადამიანები სხვადასხვა სახით ჩაბმული არიან მის მართვაში. ისინი ამ მიზნით ქმნიან სხვადასხვა უწყებებს, დაწესებულებებს, გაერთიანებებს და ა.შ. უველა მათგანი ერთად საზოგადოების ორგანიზაციულ სტრუქტურას წარმოადგენს და მათ შორის აუცილებელი ხდება ინფორმაციული კავშირების დამყარება, ანუ კომუნიკაცია” (2,5).

ჩვენი კვლევითი მიზნებისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე კომუნიკაციის როგორც სოციალური ფენომენის ის ხედვაც, რომლებსაც იძლევიან ქართველი ავტორები ჩვენს მიერ უკვე ციტირებულ ნაშრომში, რადგან მიგვაჩნია, რომ საინფორმაციო ცნობის ტექტობრივი სივრცის აღქმა და გააზრება უნდა გულისხმობდეს იმ ადგილის გათვალისწინებასაც, რომელიც ხსენებულ უანრს უკავია მასობრივი კომუნიკაციის ზოგად სტრუქტურაში. ხსენებულ ავტორებს მიაჩნიათ, რომ “საზოგადოებრივი კომუნიკაციის პროცესი მრავალსაფეხურიანია და მათი “დალაგება” გარკვეული წესის მიხედვით, ანუ იერარქიულად შეიძლება” (იქვე). საჭიროდ მიგვაჩნია იმ სქემის მთლიანად მოყვანაც, რომლის საშუალებით ავტორები ახდენენ მასობრივი კომუნიკაციის იერარქიული სტრუქტურის მოდელირებას. ხდენებული სქემა გამოიყურება შემდეგნაირად:

გლობალური კომუნიკაცია

(მსოფლიოს მასშტაბით საზოგადოებათშორისო კომუნიკაცია)



რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ზემოთ განვითარებული მსჯელობიდან? ვფიქრობთ, დასკვნა შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: როგორც კონცეპტუალურ, ისე ტერმინოლოგიურ დონეზე აღინიშნება ორი მიდგომა ჟურნალისტიკის როგორც სამოღვაწეო სფეროს ცენტრალური კატეგორიის განსაზღვრის თვალსაზრისით – ინფორმაციული და კომუნიკაციური. მაგრამ, ამავე დროს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ორივე ეს ცნება (ინფორმაცია და კომუნიკაცია) იმდენად ღრმა შინაგან კავშირში იმყოფებიან ერთმანეთთან, რომ უფრო სწორი იქნებოდა გველაპარაკა “ინფორმაციულ-კომუნიკაციურ ფენომენზე” როგორც ჟურნალისტური სფეროს მაკონსტიტუირებელ კატეგორიაზე. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ საინფორმაციო ცნობის როგორც ჟანრის და მისი ტექსტობრივი სივრცის კვლევისას ჩვენთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი უნდა იყოს როგორც ინფორმაციის ის ტიპი, რომლის გავრცელებასაც ეს ჟანრი ემსახურება, ისე ის ადგილიც, რომელიც ამგვარი ინფორმაციის შექმნასა და აღქმას უკავია მასობრივი კომუნიკაციის ზოგად სტრუქტურაში. წინასწარ შეიძლება ითქვას შემდეგი: რაკი ჩვენი ინტერდისციპლინარული კვლევა ცენტრირებულია ლინგვისტურად, ჩვენთვის გადამწყვეტი იქნება საინფორმაციო ცნობის როგორც ტექსტის სემანტიკაცა და პრაგმატიკაც; სემანტიკას კი განსაზღვრავს ინფორმაციის ტიპი, ხოლო პრაგმატიკას – ჟურნალისტური კომუნიკაციის ის ტიპი, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა როგორც ინფორმაციის “შექმნა”, ისე მისი აღქმაც.

ამავე დროს მხედველობაში ვიდებთ როგორც ზემოთ ნათქვამს, ე.ი. ინფორმაციისა და კომუნიკაციის ორგანულ ურთიერთკავშირს, ისე იმ გარემოებასაც, რომ “ინფორმაცია” როგორც ტერმინი წარმოადგენს საინფორმაციო ცნობის როგორც ჟანრის ნომინაციურ “ღერძს” და ვიმსჯელებთ როგორც მოცემულ ჟანრზე, ისე მის ტექსტობრივ განზომილებაზე ინფორმაციის ცნებაზე დაყრდნობით. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ინფორმაციული თვალსაზრისი უნდა “გადაიზარდოს” კომუნიკაციურ თვალსაზრისში და საბოლოო ანგარიშში სწორედ იგი უნდა იქცეს იმ კონცეპტუალურ შუალედურ რგოლად, რომლის საშუალებითაც მოხდება ჩვენთვის საინტერესო

ტექსტობრივი სივრცის ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური განხილვიდან მის ლინგვოკულტუროლოგიურ განხილვაზე გადასვლა. რაც შეეხება მასობრივი ინფორმაციის როგორც ცნების “სერიოზულ ანალიზს”, ჩვენც, ბუნებრივია, მოგვიხდება მასზე მსჯელობა საინფორმაციო ცნობასთან დაკავშირებით. კვლევის ამ ეტაპზე კი გვსურს ხაზი გავუსვათ იმ ფუძემდებელ მნიშვნელობას, რომელიც, ჩვენის აზრით, უნდა მიენიჭოს ჟურნალისტიკის ფუნქციური არსის იმ განსაზღვრას, რომელსაც იძლევა პროხოროვი. რა თქმა უნდა, ეს ფუძემდებელი მნიშვნელობა ბოლომდე და მთლიანად ცხადი გახდება მაშინ, როცა გავეცნობით ჟურნალისტურ ჟანრთა ზოგად თეორიასაც და მოგვეცემა იმის საშუალება, რომ დავინახოთ საინფორმაციო ცნობა ფონზე. მაგრამ, ახლავე შეიძლება ითქვას ის, რაც ნაწილობრივ უკვე განსაზღვრავს საინფორმაციო ცნობის ადგილს ხსენებულ სისტემაში: საინფორმაციო ცნობა ერთადერთი ჟანრია, რომელიც უკვე თავისი დასახელებით ისევე შეესაბამება აზრობრივად ჟურნალისტიკის ცენტრალური კატეგორიის შინაარსს, როგორც თვით ამ კატეგორიის შინაარსში – თვით ჟურნალისტიკის ფუნქციურ არსს: თუ ჟურნალისტიკის ფუნქციური არსი ასახულია (მასობრივი) ინფორმაციის ცნებაში, მაშინ შეუძლებელია არ მივიჩნიოთ, რომ საინფორმაციო ცნობას უნდა ეკავოს სრულიად განსაკუთრებული ადგილი ჟურნალისტურ ჟანრთა სისტემაში. როგორ უნდა განისაზღვროს ეს ადგილი, როგორი კონცეპტუალური სახე უნდა მიიღოს ამ განსაზღვრამ და რა მიმართებაში უნდა იყოს იგი ამ ჟანრის ტექსტობრივ განზომილებასთან? ეს ის კითხვებია, რომლებზეც ჩვენ შევეცდებით პასუხი გავცეთ მოცემული თავის შემდგომ პარაგრაფებში.

§ 3. ჟურნალისტურ ჟანრთა ფუნქციური არსი და მისი მიმართება საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი სივრცის ლინგვო-კულტუროლოგიურ კვლევასთან

როგორც წინა პარაგრაფებმა გვიჩვენა, ინფორმაცია (იგულისხმება როგორც თვით ინფორმაციის ფენომენალური არსი, ისე მისი ფუნქციონირების კომუნიკაციური ასპექტი) უნდა მივიჩნიოთ იმ

ცენტრალურ კატეგორიად (შეიძლება ითქვას, მეტაკატეგორია), რომელსაც უნდა დაეყრდნოს და, ფაქტობრივად, ეყრდნობა ჟურნალისტიკის მთელი თეორია. როგორც იქნა აღნიშნული, ინფორმაციის როგორც კატეგორიის ამგვარ ცენტრალურ სტატუსს ჩვენთვის აქვს ორი ურთიერთდაკავშირებული მნიშვნელობა: ერთის მხრივ, თუ შეიძლება ასე ითქვას, წინასწარ განსაზღვრავს და განაპირობებს იმ ტექსტობრივი სივრცის სემანტიკასა და პრაგმატიკას, რომლის ლინგვისტური, უფრო ზუსტად კი ლინგვოკულტუროლოგიური კვლევა წარმოადგენს ჩვენს ძირითად კვლევით მიზანს; მეორეს მხრივ კი – და ეს მომენტი ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია – ინფორმაციის ამგვარი კატეგორიალური სტატუსი მიუთითებს საინფორმაციო ცნობის ასევე ცენტრალურ სტატუსზე ჟურნალისტურ ჟანრთა მთელ სისტემაში, რაც, თავის მხრივ, ქმნის იმის წინაპირობას, რომ მთელ ამ სისტემას მიეცეს ველის სტრუქტურა: ამ შემთხვევაში სწორედ საინფორმაციო ცნობა მოგვევლინება იერარქიულად და, ამავე დროს, გრადუალურად სტრუქტურირებული ჟანრობრივი ველის არქიჟანრად.

მაგრამ, ამავე დროს, გვსურს მივუთითოთ შემდეგ გარემოებაზე: მიუხედავად ინფორმაციის ამგვარი სტატუსისა, იგი, ჩვენის აზრით, არ უნდა ჩაითვალოს იმ ბოლომდე და სიღრმისეულად ცენტრალურ კატეგორიად, რომელიც შეიძლება მთელი ჩვენი კვლევისათვის შემდეგი ფუნდამენტური როლის შესრულებას, ანუ შესძლებდა ერთიან თეორიულ-მეთოდოლოგიურ სისტემაში იმ სამი დისციპლინის “მოქცევას”, რომლებიც, როგორც უკვე ვიცით, წარმოადგენენ ჩვენი ინტერდისციპლინარული კვლევის საფუძველს – ვგულისხმობთ, რა თქმა უნდა, ჟურნალისტიკის თეორიას, ლინგვისტიკასა და კულტუროლოგიას (როგორც უკვე ვიცით, ჩვენი კვლევა ატარებს ძირითადად და მიზანმიმართულად ლინგვისტურ ხასიათს, მაგრამ, ამავე დროს, ვეფუძნებით იმ ფაქტს, რომ სწორედ თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული სიტუაცია მოითხოვს კვლევის ინტერდისციპლინარულობას). აქედან გამომდინარე ისმის კითხვა: რომელია ის ფენომენი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს თვით ინფორმაციის არსისა და ფუნქციონირების სიღრმისეულ საფუძველად,

ანუ მის გენეტიკურ ფაქტორად და, ამავე დროს, შეიძლება მიჩნეულ იქნას ზემოთხსენებულ დისციპლინათა ერთ კვლევით სისტემაში გაერთიანების კონცეპტუალურ გარანტად? ვფიქრობთ, ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ჟურნალისტურ ჟანრთა თანამედროვე თეორია (ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ არა იმდენად ჟანრთა კლასიფიკაციის პრობლემას, არამედ სწორედ იმ სიღრმისეულად ფუნდამენტური კონცეპტის პრობლემას, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს ჟანრთა ნებისმიერი კლასიფიკაცია). ასეთ ფენომენად და, შესაბამისად, კონცეპტად, რომელსაც ძალუძს ერთდროულად იყოს თვით ინფორმაციულობის გენეტიკური ფაქტორი და, ამავე დროს, იყოს ჩვენი კვლევის ინტერდისციპლინარულობის გენეტიკური ფაქტორიც, უნდა მივიჩნიოთ ფაქტის ფენომენი და კონცეპტი. როგორც ჟურნალისტურ ჟანრთა თეორიის ერთ-ერთი წარმომადგენელი, სახელდობრ, ი. კადიკოვა აღნიშნავს, “ნებისმიერი ინფორმაციული მასალის ძირითად მიზანს წარმოადგენს ის, რომ მან უნდა გვაუწყოს ფაქტის შესახებ... ფაქტი უნდა ჩაითვალოს ჟურნალისტიკის საფუძველთა საფუძველად და, შეიძლება ითქვას, რომ ფაქტების გარეშე ჟურნალისტიკა წარმოუდგენელია” (3,2). როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში სწორედ ფაქტი (და არა იმდენად ინფორმაცია, რომელიც თავად საჭიროებს ფაქტს როგორც თავისი არსებობის პირველ წყაროს) მიჩნეულია სინამდვილის იმ ფენომენად, რომელიც საფუძველად უდევს ჟურნალისტიკას; და თუ ეს ასეა, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ ფაქტის კონცეპტიც უნდა ასრულებდეს ჟურნალისტიკის თეორიაში ცენტრალური კატეგორიის (მეტაკატეგორიის) როლს.

§4. ჟანრისა და ტექსტის როგორც ცნებათა ურთიერთმიმართება თანამედროვე ჟურნალისტიკაში და ამ მიმართების მნიშვნელობა ჩვენი საკვლევი პრობლემისთვის.

გავიხსენოთ, თუ როგორია ჩვენი საკვლევი პრობლემის ფორმულირება – ჩვენ ვიკვლევთ საინფორმაციო ცნობის როგორც ჟანრის ტექსტობრივ განზომილებას – და ცხადი გახდება იმ კითხვის მნიშვნელობა, რომელსაც ჩვენ ვსვამთ მოცემულ პარაგრაფში: როგორ

ასახება ამ ორი ცნების, ანუ ჟანრისა და ტექსტის ურთიერთმიმართება თანამედროვე ჟურნალისტიკაში? მაგრამ, სანამ ამ კითხვაზე პასუხს გავცემთ, აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი: ლოგიკური თვალსაზრისით შეუძლებელია ჟურნალისტურ ჟანრთა თეორია არ მივიჩნიოთ ჟურნალისტიკის ზოგადი თეორიის ორგანულ ნაწილად, მაგრამ, ამავე დროს, ასევე შეუძლებელია არ მიეთითოს შემდეგ ფაქტზე: ჟურნალისტიკის თეორიის ამსახვევლ იმ ნაშრომში, რომლის ციტირებასაც ვახდენდით წინა პარაგრაფში (“ჟურნალისტიკის თეორიის შესავალი”), არამც თუ არ განიხილება ჟურნალისტურ ჟანრთა სისტემა, არამედ, შეიძლება ითქვას, რომ არ განიხილება თვით ჟანრის ცნებაც კი. ეს კი ნიშნავს შემდეგს: მართალია, ჩვენ გავითვალისწინეთ ჟურნალისტიკის ფუნქციური არსის ის განსაზღვრა, რომელსაც შეიცავს ხსენებული ნაშრომი და დავეყრდენით მას საინფორმაციო ცნობის როგორც ჟანრის მნიშვნელობის ხაზგასმისას, მაგრამ ვერ დავეყრდნებით იგივე ნაშრომს და, შესაბამისად, ჟურნალისტიკის ზოგად თეორიას ჟანრსა და ტექსტს შორის მიმართების პრობლემის დასმისა და გადაჭრის პროცესში. რა იძლევა ამ მოსაზრების გამოთქმის საფუძველს? იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ დასმულ კითხვაზე, საკმარისია კიდევ ერთხელ გადავხედოთ ჟურნალისტიკის თეორიის ჩვენს მიერ უკვე ციტირებულ სახელმძღვანელოს შემდეგი ორი მიზნით:

ა) ვნახოთ, თუ როგორ არის დანახული ჟანრისა და ტექსტის ურთიერთმიმართება ხსენებულ ნაშრომში და

ბ) ვნახოთ, თუ როგორ არის განსაზღვრული მასში ჟურნალისტური ჟანრი როგორც ფენომენი. როგორც ვიცით, ჩვენი კვლევა ატარებს ინტერდისციპლინარულ ხასიათს, რაც გულისხმობს ლინგვისტიკისა და ჟურნალისტიკის თეორიის ურთიერთდაკავშირებას ყველა იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა ჩვენთვის რელევანტურ ცნებათა შინაარსის და, რაც მთავარია, ამ ცნებებს შორის შინაგანი კავშირის დადგენა.

ზემოთ დასმულ პირველ კითხვაზე პასუხი ჟღერს შენდევნაირად: ხსენებულ ნაშრომში საერთოდ არ ისმის ჩვენთვის ამდენად მნიშვნელოვანი პრობლემა, ანუ ჟურნალისტურ ჟანრთა და ტექსტთა ურთიერთმიმართების პრობლემა. მაგრამ, ჩვენის აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს პასუხს მეორე კითხვაზე, რადგან თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამგვარმა პასუხმა შეუძლებელია არ

გაგვაცდეს: პროხოროვისეულ სახელმძღვანელოში (ვიმეორებთ: ეს არის ჟურნალისტიკის თანამედროვე თეორიის შესავალი) ჟურნალისტური ჟანრი როგორც ფენომენი არ განიხილება იმ ფენომენტა გვერდით, რომლებსაც ავტორი ანიჭებს ჟურნალისტიკისათვის განუსაზღვრელ მნიშვნელობას. ასე, მაგალითად, ავტორი განიხილავს ჟურნალისტიკას როგორც ერთიან სისტემას და გამოყოფს იმ ფენომენებს, რომლებსაც მიიჩნევს ამ სისტემის “მოქმედ” ძალებად. მისი აზრით, “ეს ძალებია გაზეთის ან ჟურნალის დამფუძნებელი, მისი ხელმძღვანელი ორგანოები, თვით ჟურნალისტები, ჟურნალისტური ტექსტები, ჟურნალისტური ინფორმაციის არხი, მასობრივი აუდიტორია და ჟურნალისტურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული ინსტიტუტები” (1,5-7). როგორც ვხედავთ, ჩვენთვის რელევანტურ ცნებათაგან ამ ჩამონათვალში ვხედავთ ჟურნალისტურ ტექსტს, მაგრამ ვერ ვხედავთ ჟურნალისტურ ჟანრს. ბუნებრივია, რომ მსგავს სიტუაციაში შეუძლებელია ვილაპარაკოთ იმის შესახებ, თუ როგორ ვსმის ნაშრომის ავტორს ჟანრისა და ტექსტის ურთიერთმიმართების პრობლემა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს ამ მტკიცებას “ზურგს უმაგრებს” შემდეგი ფაქტიც: პროხოროვის ნაშრომის ათი თავიდან არც ერთი არ ეთმობა ჟანრს როგორც ჟურნალისტურ ცნებას. უფრო მეტიც: ჟანრი როგორც ტერმინი საერთოდ არ გვხვდება ხსენებულ სახელმძღვანელოში.

მაგრამ, მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, პროხოროვი არა მარტო ლაპარაკობს ტექსტზე როგორც ჟურნალისტურ ფენომენზე, არამედ მიიჩნევს კიდევ მას – როგორც ვნახეთ – მთელი ჟურნალისტური სისტემის ერთ-ერთ მაკონსტიტუირებელ სეგმენტად.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბუნებრივია ჩავთვალოთ, რომ ჟურნალისტურ ჟანრთა თეორია უნდა წარმოადგენდეს ჟურნალისტიკის ზოგადი თეორიის ორგანულ ნაწილს. მაგრამ ჩვენ უკვე დავრწმუნდით იმაში, რომ სწორედ ჟანრის ცნებას არ ეთმობა არავითარი ადგილი ჟურნალისტიკის თეორიის ერთ-ერთ უახლეს ვერსიაში. ეს კი, როგორც სჩანს, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ჟურნალისტურ ჟანრთა თეორია ფაქტობრივად ვითარდება ავტონომიურად – თუმცა, ვიმეორებთ, ლოგიკური თვალსაზრისით იგი უნდა მივიჩნიოთ ჟურნალისტიკის ზოგადი თეორიის ორგანულ ნაწილად.

როგორ გამოიყურება ჟურნალისტურ ჟანრთა არსებული თეორია, თუ ჩვენ მას ჟანრისა და ტექსტის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით შევადარებთ ჟურნალისტიკის პროხოროვისეულ ზოგად თეორიას?

იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ ზემოთ დასმულ კითხვაზე, მივმართავთ ხსენებული თეორიის ორ ინტერნეტულ ვერსიას – ლ. შიბაევას სტატიას “ჟანრები ჟურნალისტიკის თეორიასა და პრაქტიკაში” და ი. კადიკოვას სტატიას “ჟურნალისტიკის ჟანრები”. შიბაევას აზრით, “ჟანრი წარმოადგენს ჟურნალისტურ ნაწარმოებში სინამდვილის ასახვის ფორმას” (4,1). როგორც ვხედავთ, ჟურნალისტურ ჟანრს ავტორი ანიჭებს ფუნდამენტურ მნიშვნელობას. მოცემულ სტატიაში იგი აგებს ჟურნალისტურ ჟანრთა როგორც თეორიას, ისე კლასიფიკაციას, მაგრამ ერთი სიტყვითაც არ ეხება ჟურნალისტურ ჟანრსა და ჟურნალისტურ ტექსტს შორის მიმართების პრობლემას. იგივე სიტუაცია გვაქვს ი. კადიკოვას სტატიაში: როგორც გვახსოვს, ავტორის აზრით, ჟურნალისტიკის საფუძველს წარმოადგენს ინფორმაციისთვის განკუთვნილი ფაქტი, “ჟურნალისტური ჟანრები კი წარმოადგენენ ფაქტთა განსხვავებული სახით გაშუქების საშუალებებს” (3,1). როგორც წინა სტატიის ავტორი, კადიკოვაც მსჯელობს მხოლოდ ჟურნალისტურ ჟანრებზე და ერთი სიტყვითაც არ ეხება ჩვენთვის საინტერესო პრობლემას – მიმართებას ჟანრსა და ტექსტს შორის.

როგორც ვხედავთ, ჟურნალისტიკის ზოგადი თეორიისა და ჟურნალისტურ ჟანრთა თეორიის ამ თუნდაც სქემატურმა მიმოხილვამ ნათლად დაგვანახა, რომ ჩვენთვის ცენტრალური პრობლემის – საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი განზომილების – კვლევისას ჩვენ ვერ დავეყრდნობით ზემოთ განხილულ თეორიებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ მოგვიხდება ხსენებული პრობლემის სრულიად დამოუკიდებლად დასმაცა და გადაჭრაც.

§ 5. საინფორმაციო ცნობა და მისი ტექსტობრივი სივრცე: პრობლემის თეორიული ასპექტი.

წინა პარაგრაფის შინაარსმა დაგვანახა, რომ ვერც ჟურნალისტიკის ზოგად თეორიაში და ვერც ჟურნალისტურ ჟანრთა თეორიაში ვერ მოინახება ჟანრისა და ტექსტის ურთიერთმიმართების პრობლემის არამც თუ გადაჭრის, არამედ აღეკვამურად დასმის

საფუძველიც კი. აქედან გამომდინარე, ჩვენ შევეცდებით – იმ თეორიულ და მეთოდოლოგიურ პრინციპებზე დაყრდნობით, რომელთა ფორმულირება მოვახდინეთ ნაშრომის შესავალში – სრულიად ახლებურად დავსვათ ხსენებული პრობლემა, ხოლო შემდეგ დავსახოთ მისი გადაჭრის ცდებიც. პრობლემის, ერთის მხრივ, სირთულისა და, გარკვეულწილად, სიახლის გამოც შევეცადოთ ჯერ განცალკევებით განვიხილოთ მისი თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტები, შემდეგ კი შევეცადოთ განვახორციელოთ მათი სინთეზი. როგორც პარაგრაფის სათაური გვიჩვენებს, კვლევის ამ ეტაპზე შევეცდებით სქემატური სახით მაინც მოვხაზოთ პრობლემის თეორიული ასპექტი.

როგორც ზემოთ ნათქვამიდან ცხადი გახდა, ჩვენს ძირითად და საბოლოო მიზანს წარმოადგენს ისეთი ორი ფენომენის ურთიერთმიმართების განსაზღვრა, როგორცაა ჟურნალისტური საინფორმაციო ცნობა და მისი ტექსტობრივი განზომილება. როცა ვხმარობთ ტერმინს “ტექსტობრივი განზომილება”, მხედველობაში გვაქვს ჟანრის ტექსტობრივი რეალიზაციის ორი ურთიერთდაკავშირებული მომენტი. ეს მომენტებია:

- ა) ის ტექსტობრივი სივრცე, რომელიც იქმნება ჟანრის ხსენებული რეალიზაციით და რომელიც მუდამ წარმოადგენს ტექსტთა გარკვეულ და შინაგანად დაუსრულებელ ერთობლიობას და
- ბ) იგულისხმება, რომ, მიუხედავად ტექსტობრივი სივრცის შინაგანი დაუსრულებლობისა, იგი მუდამ წარმოადგენს ერთი რომელიმე ფუძემდებელი ტექსტობრივი ტიპის ანუ არქიტექსტის ვარიაციას. თვით არქიტექსტი, რა თქმა უნდა, წარმოადგენს აზრობრივ კონსტრუქტს, მაგრამ ისეთს, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა როგორც მოცემული ჟანრის ტექსტობრივი სივრცის საზღვართა დადგენა, ისე მისი ტიპოლოგიზაცია.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ნებისმიერი პრობლემის როგორც დასმა, ისე გადაჭრა უნდა მოხდეს გარკვეულ თეორიაზე და მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით. როგორი უნდა იყოს საინფორმაციო ცნობისა და მისი ტექსტობრივი განზომილების ურთიერთმიმართების დადგენისთვის აუცილებელი თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველები და, რაც მთავარია, როგორ უნდა იქნას დანახული თვით

ამ საფუძველთა ურთიერთმიმართება? შევეცადოთ თანმიმდევრულად გავცეთ პასუხი ზემოთ ფორმულირებულ კითხვას.

პირველ რიგში, ბუნებრივია, უნდა განისაზღვროს, თუ როგორი იქნება ჟანრისა და მისი შესაბამისი ტექსტობრივი სივრცის ურთიერთმიმართების თეორიული ხედვა. თუ ამ ხედვის განსაზღვრის ფუძემდებელ მომენტად მივიჩნევთ სივრცის მეტაფორულ ცნებას, მაშინ შევძლებთ “დავინახოთ” ჩვენთვის საინტერესო ტექსტობრივი სივრცე იმ ფენომენებთან ურთიერთკავშირში, რომელთა გარეშე შეუძლებელი იქნებოდა როგორც მისი კვლევა, ისე თვით მისი არსებობაც. პირველ ასეთ ფენომენს, რა თქმა უნდა, წარმოადგენს თვით საინფორმაციო ცნობა როგორც ჟანრი – სწორედ იგი თავისი ფუნქციური არსის შესაბამისად “წარმოშობს” საკვლევ ტექსტობრივ სივრცეს. მაგრამ ასევე ცხადია, რომ თვით საინფორმაციო ცნობა არ არსებობს მთლიანად ავტონომიურად – იგი არსებობს როგორც გარკვეული ჟანრობრივი სივრცის კომპონენტი და შეუძლებელი იქნებოდა მის გარეშე. მაგრამ, თუ განვაგრძობთ მსჯელობას ამ ლოგიკის მიხედვით, მაშინ თვით ჟანრობრივი სივრცეც უნდა წარმოვიდგინოთ ამა თუ იმ ფუნქციური სტილის მიერ “წარმოშობილ” რეალობად და ა.შ. რა უნდა წარმოვიდგინოთ ამგვარად ჩვენს მიერ კონსტრუირებული მაკროსივრცის იერარქიის უმაღლეს “ინსტანციად”? რა თქმა უნდა, ის ეპოქა, რომელიც თავისი კულტურულ-ცივილიზაციური არსიდან გამომდინარე “ბადებს” ფუნქციურ სტილთა გარკვეულ სივრცეს, რომელიც, როგორც უკვე ვიცით, თავის მხრივ ქმნის სივრცეთა მთელ შემდგომ იერარქიას. სივრცეთა ზემოთხსენებული იერარქიული ურთიერთქმედება შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგი იერარქიული სქემის სახით:

ეპოქა (მისი კულტურულ-ცივილიზაციური განზომილება)



ფუნქციურ სტილთა სივრცე (იმ ფუნქციურ სტილთა ერთობლიობა, რომელიც თავისი წარმოშობით და არსებობით შეესაბამება მოცემულ

ეპოქას)



ჟანრობრივი სივრცე (ანუ იმ ჟანრთა ერთობლიობა, რომელსაც
წარმოშობს ესა თუ ის ფუნქციური სტილი)



თითოეული ჟანრის მიერ “გენერირებულ” ტექსტთა სივრცე

როგორ შეიძლება დახასიათდეს ზემოთ მოცემული სქემა იმ პრინციპულად განსხვავებულ მიზანდასახულებათა თვალსაზრისით, რომლებსაც გულისხმობს ლინგვისტური აზროვნების თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა და რომელთა არსი ზემოთ იქნა ფორმულირებული? ვფიქრობთ, ამ “გადასახედიდან” შეიძლება ვილაპარაკოთ გვერცაძისეული სქემის (რომელიც ამავე დროს შეიძლება მიჩნეულ იქნას ტიპურ ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ სქემადაც) შემდეგ პარადიგმულ ნიშანზე:

ტექსტისა და ჟანრის ურთიერთმიმართების ხედვა მთლიანად მოქცეულია ისეთი ფენომენის თეორიულ კორიზონტში, როგორიცაა ფუნქციური სტილი. ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის მიხედვით კი, როგორც უკვე ითქვა, ენობრივი ფაქტები (და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ტექსტობრივი სფერო) დანახულ უნდა იქნან კულტურულ პერსპექტივაში. ამ პერსპექტივის ბოლომდე გააზრებისას კი უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნებისმიერ ფუნქციურ სტილს ისევე წარმოშობს (“ბადებს”) ესა თუ ის ეპოქა (უფრო კონკრეტულად კი, ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციური განზომილება), როგორც ჟანრთა გარკვეულ ერთობლიობას “ბადებს” ესა თუ ის ფუნქციური სტილი, ხოლო ტექსტთა გარკვეულ ერთობლიობას კი – ესა თუ ის ჟანრი.

§ 6. საინფორმაციო ცნობა და მისი ტექსტობრივი სივრცე: პრობლემის მეთოდოლოგიური ასპექტი.

მაგრამ ზემოთ წარმოდგენილი და ჩვენს მიერ ამგვარად კომენტირებული იერარქიული სქემა არა მარტო გვიჩვენებს, თუ რომელი (და როგორი) მაკრორეალობის სტრუქტურულ ელემენტად უნდა მივიჩნიოთ ჩვენი კვლევის უშუალო საგანი – საინფორმაციო ჟანრით გენერირებული ტექსტობრივი სივრცე. სქემა გვიჩვენებს, თუ როგორ ფართოვდება საკვლევი ობიექტის ხედვის დიაპაზონი – იგი არა

მარტო სცილდება შესაბამისი ჟანრის და შესაბამისი ფუნქციური სტილის საზღვრებს, არამედ მოიცავს იმ ფენომენალურ “ინსტანციებსაც”, რომელსაც “ეპოქა” ეწოდება (ბუნებრივია, იგულისხმება ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციური განზომილება). სხვანაირად რომ ვთქვათ, მოცემულმა სქემამ მთელი თავისი სტრუქტურით უნდა განაპირობოს საკვლევი ფენომენის, ანუ საინფორმაციო ცნობასთან დაკავშირებული ტექსტიბრივი სივრცის ჩვენეული თეორიული ხედვა, მაგრამ, როგორც ცნობილია, თეორია განსაზღვრავს მეთოდოლოგიასაც. როგორი უნდა იყოს ჩვენს მიერ წარმართული კვლევის მეთოდოლოგია, თუ ამგვარად ფართოვდება ხედვის არეალი? ვფიქრობთ, უკვე წარმოდგენილი და ჩვენი თეორიის განმსაზღვრელი სქემა მოითხოვს თავის ანალოგს მეთოდოლოგიურ პლანშიც. რა უნდა გაითვალისწინოს ამგვარმა მეთოდოლოგიურმა სქემამ? პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ის, რომ ნებისმიერი ჟანრის ტექსტიბრივი სივრცე თავისი ფუნქციური არსითა და სტრუქტურით გენერირებულია არა მხოლოდ მისთვის ფუძემდებელი ჟანრით, არამედ სქემის მიერ მოდელირებული რეალობის იმ უმაღლესი დონის ფენომენითაც, რომელსაც ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციური განზომილება ეწოდება და რომლის გარეშე ვერ იარსებებდა ვერც ერთი ჟანრი და ვერც ჟანრისთვის ფუძემდებელი ფუნქციური სტილი. ამ მოსაზრებიდან უშუალოდ გამომდინარეობს ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიისათვის უმთავრესი და გადამწყვეტი მომენტი: კვლევა უნდა ატარებდეს ლინგვოკულტუროლოგიურ ხასიათს, ე.ი. უნდა დაეფუძნოს ლინგვისტიკისა და კულტუროლოგიის მონაცემთა თანმიმდევრულად რეალიზებულ სინთეზს. მაგრამ, ჩვენის აზრით, ამგვარი სინთეზი შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკვლევი ობიექტისადმი ლინგვოკულტუროლოგიურ მიდგომას მიეცემა პარადიგმული სტატუსი, ხოლო თვით ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა დანახული იქნება თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების პარადიგმული დინამიკის ფარგლებში. თუ ამ პარადიგმულ დინამიკას სქემის სახით წარმოვიდგენთ, მაშინ ერთდროულად მივიღებთ სწორედ ჩვენთვის აუცილებელი მეთოდოლოგიის განმსაზღვრელ სქემასაც:

სისტემურ-სემიოტიკური პარადიგმა



ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმა



ლინგოკულტუროლოგიური პარადიგმა

ამ სქემის თეორიულ-მეთოდოლოგიური კომენტარი შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: “მოძრაობა სტრუქტურული ლინგვისტიკიდან ფუნქციურისკენ, ფუნქციურიდან პრაგმა-ლინგვისტიკისკენ, შემდეგ კი კულტუროლოგიური ლინგვისტიკისკენ” (5,5). მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც ციტირებული ავტორი აღნიშნავს, ხსენებული პარადიგმული დინამიკა არ უნდა აღვიქვათ როგორც “პრიმიტიული სწორი ხაზი” (იქვე). მაგრამ როგორ გავიგოთ დინამიკის ეს “არაპრიმიტიული” ხასიათი? ისე, როგორც გამომდინარეობს ჰუმანიტარული აზროვნების ზოგადი არსიდან: ახალი პარადიგმა წარმოადგენს არა წინა პარადიგმის უბრალო უარყოფას, არამედ მის მიღწევათა შენარჩუნებასა და გათვალისწინებასაც (თუმცა, რა თქმა უნდა, საბოლოო ანგარიშში ახალი პარადიგმისთვის მთავარია პრობლემათა ახლებური ხედვის განხორციელება). აქედან გამომდინარე, წინამდებარე სტატიაში ჩვენ მივეყვებით ჟურნალისტური ჟანრისა და ჟურნალისტური ტექსტის ურთიერთმიმართების პრობლემის დასმის შემდეგ დინამიურ სქემას:

1. დასაწყისში უნდა ითქვას ზოგადი სახით, თუ რაში უნდა მდგომარეობდეს ლინგოკულტუროლოგიური პარადიგმის არსი, თუ მას დავაკონკრეტებთ ჩვენი პრობლემის გათვალისწინებით;
2. პრობლემის დასმის მეორე ეტაპზე უნდა ვუჩვენოთ, თუ როგორ განიხილებოდა (თუ განიხილებოდა საერთოდ ექსპლიციტური სახით) ჟანრისა და ტექსტს შორის მიმართება სისტემურ-სემიოტიკური პარადიგმის ფარგლებში;
3. პრობლემის დასმის მესამე ეტაპზე დაგვჭირდება იმის ჩვენება, თუ როგორ ხდებოდა (უკვე ექსპლიციტური სახით)

ჟურნალისტური ჟანრისა და ჟურნალისტური ტექსტის ურთიერთ-მიმართების კვლევა ლინგვისტიკის ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმის ფარგლებში;

4. და პრობლემის დასმის დამასრულებელ ეტაპზე კვლავ უნდა მოხდეს იმის განმარტება, თუ რაში უნდა მდგომარეობდეს პრობლემისადმი მიდგომის ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის ის ძირითადი მაკონსტიტუირებელი ნიშანი, რომელიც არსებითად განასხვავებს მას წინა პარადიგმებისაგან. ბუნებრივია ჩავთვალოთ, რომ პრობლემის დასმის ამ ეტაპზე ახალი პარადიგმის არსი უნდა დაკონკრეტდეს შემდეგი ორი მომენტის გათვალისწინებით: უნდა აღინიშნოს იმ პარადიგმათა ის მიღწევები, რომლებსაც ითვალისწინებს ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა და გათვალისწინების ეს მომენტი ზოგადი სახით მაინც დაკონკრეტდეს იმ ჟანრთა მიმართებაში, რომელიც წარმოადგენს ჩვენი კვლევის ძირითად საგანს, ანუ ინფორმაციულ ცნობასთან მიმართებაში.

როგორც ჩვენს მიერ კონსტრუირებული მეთოდოლოგიური სქემა არა მარტო გვიჩვენებს ჩვენი კვლევისთვის განმსაზღვრელი ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის ადგილს ლინგვისტურ პარადიგმათა ერთიანი დინამიკის ფარგლებში, არამედ იძლევა იმის საშუალებასაც, რომ ადექვატურად დავინახოთ ხსენებული პარადიგმის შინაარსობრივი სტრუქტურა. როგორ უნდა გავიგოთ ამ პარადიგმის პრინციპული განსხვავება წინა პარადიგმებისგან? “ლინგვოკულტუროლოგია ეფუძნება იმ ფაქტის აღიარებას, რომ ენა, მენტალიტეტი და კულტურა ორგანულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი და ერთმანეთს გულისხმობენ. არც ერთის გამორიცხვა არ შეიძლება და არც ერთს არ უნდა მიენიჭოს დომინანტური სტატუსი” (6,28). იგივე ავტორის აზრით “ლინგვოკულტუროლოგია წარმოადგენს ინტერდისციპლინარულ მეცნიერებას. იგი ცდილობს იმის გამორკვევას, თუ როგორ ხდება სიტყვაში კულტურულ მნიშვნელობათა აკუმულირება და როგორ ეყრდნობა კულტურა სიტყვას თავისი ფუნქციონირების პროცესში” (იქვე). როგორც ვხედავთ, გამოიკვეთა კულტუროლოგიის, როგორც პარადიგმის ის სამი მაკონსტიტუირებელი ნიშანი, რომელთა

ერთობლიობა საშუალებას მოგვცემს რელიეფურად წარმოვაჩინოთ ამ პარადიგმის პრინციპული განსხვავება წინა პარადიგმებისაგან. ეს ნიშნებია:

- ა) ლინგვოკულტუროლოგია არის ინტერდისციპლინარული მეცნიერება და ამით კვლევის ეს პარადიგმა მკვეთრად განსხვავდება არა მარტო სისტემურ-სემიოტიკური, არამედ ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმისგანაც;
- ბ) ლინგვოკულტუროლოგიის ინტერდისციპლინარული ხასიათი ამავე დროს გულისხმობს მისი ორივე კომპონენტის (ლინგვისტიკისა და კულტუროლოგიის) თანაბარ სტატუსს, რაც იმას ნიშნავს, რომ ლინგვოკულტუროლოგიურად წარმართული კვლევის ფარგლებში, ე.ი. ლინგვისტიკისა და კულტუროლოგიის მონაცემთა სინთეზის პროცესში თანაბარი მოცულობით უნდა გაავითვალისწინოთ ორივე მეცნიერების მონაცემთა ერთობლიობა.

ზემოთ ჩვენს მიერ განვითარებული მსჯელობის გზით ჩვენ განვსაზღვრეთ – თუ შეიძლება ასე ითქვას – ჩვენი საკვლევი ობიექტის, ანუ საიფორმაციო ცნობის ტექსტობრივი განზომილების ხედვისა და კვლევის მაკროდონე – სწორედ ამ თეორიულ-მეთოდოლოგიური მაკროდონის განსაზღვრასა და შინაარსობრივ დაკონკრეტებას ემსახურებოდა ორივე ჩვენი სქემის სინთეზური განხილვა. მაგრამ, როგორც ცნობილია, ხედვისა და კვლევის ნებისმიერი მაკროდონე შეიძლება იქცეს მხოლოდ და მხოლოდ განყენებულ ფაქტად, თუ იგი არ დაკონკრეტდა კვლევის უშუალო საგნის შესაბამისად და თუ ამ გზით არ შეიძინა გარკვეული მიკროდონეებრივი განზომილება. როგორ უნდა გავიგოთ ჩვენს შემთხვევაში ეს მიკროდონეებრივი განზომილება – რა თქმა უნდა, უკვე განსაზღვრული მაკროგანზომილების ფონზე? ბუნებრივია, ამგვარ მაკროგანზომილებად უნდა მივიჩნიოთ ჩვენთვის საინტერესო ტექსტობრივი სივრცის მიმართება მის “წარმომშობ” ჟანრთან – საიფორმაციო ცნობასთან. ამავე დროს შეუძლებელია არ გაავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ თვით საიფორმაციო ცნობა წარმოადგენს უფრო “ტევადი” ჟანრობრივი სივრცის – საიფორმაციო ჟანრთა სისტემის ერთ-ერთ ელემენტს. აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად აუცილებლად მიგვაჩნია – თუ გვსურს მივაღწიოთ

ჩვენთვის რელევანტური ტექსტობრივი სივრცის ადეკვატურ ხედვას – რაც შეიძლება მეტი კონკრეტულობით დავინახოთ როგორც ფუნქციონალური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით საინფორმაციო ცნობის ადგილი საინფორმაციო ცნობათა სისტემაში. როგორც ცნობილია, ეს სისტემა მოიცავს შემდეგ ოთხ “წევრს” – ცნობას, რეპორტაჟს, ანგარიშსა და ინტერვიუს. მაგრამ ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ბევრად მეტი მნიშვნელობა აქვს ჟანრთა ამ კატეგორიის იმ ზოგად დახასიათებას, რომელსაც იძლევა ავტორი და რომელსაც, ჩვენის აზრით, საფუძვლად უდევს თემის ფუნქციისა და მეთოდის როგორც მაკლასიფიცირებელ კრიტერიუმთა ერთობლივი გათვალისწინება. მ. გვენცაძე იძლევა ინფორმაციულ ჟანრთა შემდეგ ზოგად დახასიათებას: “ეს ჟანრები წარმოადგენენ ერთი რომელიმე ფაქტის, ხდომილების, ახალი ამბის ოპერატიულ, შეკუმშულ შეტყობინებას. აქედან გამომდინარეობს ამ ჟანრთა დროითი პარამეტრის მონოხდომილებრიობა და რეგლამენტირებულობა” (7,108).

პირველი თავის დასკვნები

1. საინფორმაციო ცნობის (ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ჟურნალისტური ჟანრის) ტექსტობრივი განზომილება განხილულ უნდა იქნას როგორც ჟანრის მიერ გენერირებული ტექსტობრივი სივრცე, რომელიც წარმოადგენს ამ სივრცის მაკონსტიტუირებელი არქიტექსტის ვარიაციული გაშლისა და რეალიზაციის შედეგს. მაგრამ თვით ხსენებული არქიტექსტი როგორც “ემური” დონის კონსტრუქტი უნდა წარმოვიდგინოთ არა როგორც საინფორმაციო ცნობის “ქვეჟანრობრივი” სივრცის უშუალოდ ამ არქიტექსტად ტრანსფორმირების შედეგი: ქვეჟანრული სივრცე უნდა “დაუბრუნდეს” მის მაკონსტიტუირებელ არქიჟანრს როგორც ასეთივე “ემური” დონის კონსტრუქტს, ხოლო საკვლევი ტექსტობრივი სივრცე

კი უნდა განხილულ იქნას როგორც ხსენებული ორი კონსტრუქტის დინამიური ურთიერთმოქმედების შედეგი;

2. საინფორმაციო ცნობის როგორც ჟანრის და მისი ტექსტობრივი განზომილების (ტექსტობრივი სივრცის) ურთიერთმიმართება უნდა განხილულ იქნას როგორც ეპოქალური სივრცის იმ ვერტიკალურად და იერარქიულად სტრუქტურირებული განზომილების კომპონენტი, რომლის დომინანტურ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ ინფორმაციული კონტინუუმის ფენომენი;
3. ორი ცნების – ინფორმაციული კონტინუუმისა და მედიაკულტურის ცნებათა – კონცეპტუალურ სინთეზს მივყავართ დასკვნამდე, რომ საინფორმაციო ცნობა უნდა განვიხილოთ არა როგორც მხოლოდ ერთ-ერთი შურნალისტური ჟანრი, არამედ როგორც ჟანრი, რომელსაც როგორც ფუნქციური, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით უნდა მიენიჭოს დომინანტური სტატუსი მთელ შურნალისტურ სისტემაში.

თავი II

საინფორმაციო კონტინუუმი და ჟურნალისტიკა როგორც ჟანრობრივი ველი: საინფორმაციო ცნობა როგორც ამ ველის სტრუქტურული ცენტრი და ინფორმაციულ ტექსტთა გენერაციის წყარო

§ 1. ველის თეორია და საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი სივრცე როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი: პრობლემის სინთეზური ხედვის ცდა.

როგორ გავიგოთ ინფორმაციული ცნობის ადგილი საინფორმაციო ჟანრთა სისტემაში? სანამ შევეცდებით ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემას, მივუთითოთ იმ შინაგან კავშირზე, რომელიც არსებობს ამ კითხვასა (ვგულისხმობთ კითხვას იმ ადგილის თაობაზე, რომელიც ფუნქციურ-სტრუქტურული თვალსაზრისით უნდა მიუჩინოთ ინფორმაციულ ცნობას ინფორმაციულ ჟანრთა სისტემაში) და იმ კითხვას შორის, რომლის ფორმულირება მოვახდინეთ სტატიის დასაწყისშივე კვლევის ეტაპობრივი სტრუქტურის განსაზღვრისას: როგორ უნდა “გამოიყურებოდეს” ის “მექანიზმი”, რომლის საშუალებითაც ხდება ჟანრის “გატექსტება”, ანუ ჟანრისთვის დამახასიათებელ დიფერენციალურ ნიშანთა სისტემის ტრანსფორმირება ტექსტობრივ სივრცეში და, შესაბამისად, ტექსტობრივ “რეგისტრში”? როგორც ცნობილია, ტექსტის ლინგვოსემიოტიკურ თეორიას შემუშავებული აქვს დიფერენციალურ ნიშანთა ისეთი ზოგადი სისტემა, რომელზე დაყრდნობითაც უნდა ხდებოდეს ყოველი ცალკე ადგილი ტექსტის ტიპოლოგიურ პარამეტრთა აღწერა და გააზრება. მაგრამ, როგორც ვნახეთ, იმ დიფერენციალურ ნიშანთა სისტემით, რომელსაც გამოყოფს მ. გვენცაძე, ხასიათდება არა რომელიმე ცალკე ადგილი ინფორმაციული ჟანრი, არამედ ამგვარ ჟანრთა მთელი ერთობლიობა: ეს ის სისტემაა, რომლითაც ხსენებული ერთობლიობა უპირისპირდება ჟანრთა ანალიტიკურ და მხატვრულ-პუბლიცისტურ ჟანრთა ჯგუფებს,

მაგრამ იგი ჯერ კიდევ არაფერს გვეუბნება იმის თაობაზე, თუ როგორ (რომელ უფრო კონკრეტულ დიფერენციალურ ნიშნებზე დაყრდნობით) უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან ცალკე აღებული ინფორმაციული ჟანრები. ვფიქრობთ, ეს ის პრობლემაა, რომლის დასმისა და გადაჭრის გარეშე შეუძლებელი იქნება იმ კითხვაზე პასუხის გაცემა, რომელიც გულისხმობს ჟანრის “გატექსტების” მექანიზმის განსაზღვრას. მაგრამ ასევე ცხადია, რომ ინფორმაციულ ჟანრთა ის სისტემურ-მთლიანური კვალიფიკაცია, რომელსაც გეთავაზობს მ. გვენცაძე, უნდა “მიესადაგებოდეს” ხსენებული ჯგუფის ყველა “წევრს” – სხვანაირად ვერ შედგება თვით ეს ჯგუფი როგორც ჟურნალისტურ ჟანრთა სისტემის ქვესისტემა.

შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ დასმული კითხვებით განპირობებული პრობლემა წარმოადგენს იმ კარგად ცნობილი ზოგადთეორიული პრობლემის ვარიანტს, რომელსაც სისტემურობისა და ჯგუფის პრინციპთა ურთიერთმიმართების პრობლემა ეწოდება. ამ პრობლემის მეთოდოლოგიური განზომილება ეფუძნება ენობრივ ელემენტთა კლასიფიკაციის (თუ ტიპოლოგიზაციის) ისეთი ორი პრინციპის განსხვავებას, როგორცაა, ერთის მხრივ, ოპოზიციის, მეორეს მხრივ კი გრადუალურობის პრინციპი. თუ მოვინდომებთ რომელიმე ინფორმაციული ჟანრის ოპოზიციურ პრინციპზე დაყრდნობით დახასიათებას, მაშინ გარდუვალად მივიღებთ მთელი ამ ჯგუფის დიქტომიზაციას, რის შედეგადაც ისეთი ჟანრი, როგორცაა, მაგალითად, საინფორმაციო ცნობა, მისთვის – და მხოლოდ მისთვის – დამახასიათებელ დიფერენციალურ ნიშანთა საფუძველზე უნდა დაუპირისპირდეს ჯგუფის ყველა დანარჩენ “წევრს”. მაგრამ, თუ ჩვენ ასე მოვიქცევით, თითქმის შეუძლებელი გახდება იმ ფუნქციურ-სტრუქტურული დახასიათების იმგვარად გავრცელება ჯგუფის ყველა “წევრზე”, რომ ამავე დროს გვეკონდეს მათი ერთმანეთისგან გამიჯვნის საშუალებაც. სწორედ ამგვარ კლასიფიკაციურ და ტიპოლოგიზაციურ პრობლემათა ერთობლიობა განაპირობებს იმის აუცილებლობას, რომ მოხდეს ოპოზიციის პრინციპის შერწყმა გრადუალურობის პრინციპთან, ანუ იმ პრინციპთან, რომელზე დაყრდნობითაც არა მარტო დავინახავთ იმას, თუ რა აერთიანებს სისტემის ყველა წევრს, ე.ი. რა ქმნის

მოცემულ შემთხვევაში თვით ინფორმაციულობას, არამედ იმასაც, თუ რა გამიჯნავს მათ ერთმანეთისაგან იმგვარად, რომ ამ გამიჯვნამ არ დაარღვიოს თვით სისტემა როგორც მთლიანი. ბუნებრივია, რომ პრინციპთა ამგვარი შერწყმის შედეგად მივიღებთ არა უბრალოდ დიქტომიას, არამედ ველს, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში კი ინფორმაციულობის ჟანრობრივ ველს.

ზემოთ განვითარებული ზოგადთეორიული და ზოგადმეთოდოლოგიური მსჯელობის შემდეგ შეგვიძლია, ალბათ, დავსვათ უფრო კონკრეტული სახით კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა განისაზღვროს საინფორმაციო ცნობის ადგილი იმ ჟანრობრივი ველის ფარგლებში, რომელსაც “საინფორმაციო ჟანრთა სისტემა” ეწოდება. მიგვაჩნია, რომ ამ კითხვაზე ადექვატური პასუხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ იმ იერარქიული სოციალური სივრცის დონეთა სინთეზზე დაყრდნობით, რომელსაც თავისი არსებობით და ფუნქციონირებით უკავშირდება საინფორმაციო ცნობა. როგორც ზემოთ ითქვა, ამ შემთხვევაში პრობლემურ მიკროდონედ უნდა მივიჩნიოთ საინფორმაციო ცნობის მიმართება იგივე სისტემაში შემავალ სხვა ჟანრებთან, მაკროდონედ კი – მისი მიმართება მთელ ჟურნალისტურ სფეროსთან როგორც მედიაკულტურულ ფენომენტთან. ხსენებული სინთეზი გულისხმობს შემდეგს: საინფორმაციო ცნობის ადგილი ჟანრთა ინფორმაციული კატეორიის შიგნით განისაზღვრება მისი ადგილით მთელი მედიაკულტურის სტრუქტურულ სივრცეში. მაგრამ როგორია თვით ეს უკანასკნელი სივრცე იმ ფუნქციის თვალსაზრისით, რომელსაც იგი ასრულებს საზოგადოებაში როგორც ერთ სისტემურ მთლიანში? თუ საინფორმაციო ცნობას როგორც ჟანრს ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, დავინახავთ, რომ შეუძლებელია არ მივანიჭოთ მას იმ ველის ცენტრალური სეგმენტის სტატუსი, რომელსაც საინფორმაციო ჟანრთა ველი ვუწოდებთ. მის ამ ცენტრალურ სტატუსზე მიუთითებს უკვე ის გარემოება, რომ საინფორმაციო ცნობა ერთადერთია არა მარტო “საინფორმაციოდ” წოდებულ, არამედ საერთოდ ჟურნალისტურ ჟანრთა შორის, რომლის დასახელება (ნომინაცია) ემთხვევა მთელი მედიასისტემის თუ მედიაკულტურის ფუნქციის დასახელებას, ანუ ამ სისტემისა თუ კულტურის ფუნქციურ

განსაზღვრას: ჟურნალისტიკის თანამედროვე თეორიაში “ჟურნალისტიკა როგორც სისტემა განისაზღვრება როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ისეთი სისტემა, რომლის კომპონენტები ურთიერთდაკავშირებულნი არიან და ფუნქციონირებენ პირდაპირ- და უკუკავშირთა საფუძველზე” (1,11). როგორც ვხედავთ, საინფორმაციო ცნობის ფუნქციური არსი ნომინაციური თვალსაზრისით ემთხვევა ჟურნალისტიკის როგორც მედიაკულტურის ფუნქციურ არსს. მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჩვენს მიერ უკვე “ფიქსირებული” ნომინაციური დამთხვევა დასტურდება კონცეპტუალური დამთხვევით. რას გულისხმობს ეს უკანასკნელი (და, ჩვენის აზრით, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი) დამთხვევა? ჩვენს მიერ ზემოთ ციტირებულ ნაშრომში აღინიშნება: “რაკი ჟურნალისტიკა როგორც სოციალური მოვლენა შინაგანად მთლიანი და ერთიანია, მისი ამსახველი ცოდნის სისტემაც მაქსიმალურად ერთიანი უნდა იყოს” (1,13). მაგრამ იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს ცოდნის ამგვარი სისტემის აგება, აუცილებელია, ავტორის აზრით, “განისაზღვროს ის ცენტრალური კატეგორია, რომლის გარშემო უნდა დაჯგუფდეს სხვა მასთან დაკავშირებული კატეგორიები” (1,15). ავტორის აზრით, “ამგვარი ცენტრალური კატეგორიის როლში შეიძლება გამოვიდეს ისეთი ზოგადი ცნება, რომელიც გახსნიდა ჩვენი საკვლევი სფეროს – ჟურნალისტიკის სპეციფიკურობას, მის ფუნდამენტურ თავისებურებას” (იქვე). და იგივე ავტორის აზრით სწორედ “ამგვარი კატეგორიის ძირითად მოთხოვნებს პასუხობს მასობრივი ინფორმაციის ცნება” (იქვე).

როგორც ვხედავთ, სწორედ ის საინფორმაციო ცნობა როგორც ნომინაციური, ისე კონცეპტუალური თვალსაზრისით უნდა მივიჩნიოთ არა მარტო საინფორმაციო ჟანრთა მიკროველის, არამედ მთელი ჟურნალისტური მაკროველის ცენტრდაც, ანუ ამ ველის ისეთ ფუნქციურ და სტრუქტურულ სეგმენტად, რომელიც “თავის თავზე იღებს” მთელი სისტემის “სპეციფიკისა და ფუნდამენტალური თავისებურებების კონცეპტუალურ გამოხატვასა და ფუნქციურ რეალიზაციას”. გავისხენოთ საინფორმაციო ჟანრთა ის ზოგადი დახასიათება, რომელსაც იძლევა მ. გვენცაძე: “ეს ჟანრები წარმოადგენენ ერთი რომელიმე ფაქტის, ხდომილების, ახალი ამბის

ოპერატიულ, შეკუმშულ შეტყობინებას. აქედან გამომდინარეობს ამ უანრთა ღროითი პარამეტრის მონოხდომილებრიობა და რეგლამენტირებულობა” (7,108). მაგრამ ჩვენი კვლევის კონტექსტში საინტერესოდ მიგვაჩნია აგრეთვე იმ შინაგან მიმართებაზე მითითება, რომელიც, ჩვენის აზრით, უნდა დანახულ იქნას საინფორმაციო უანრთა მ. გვენცადის მიერ ხაზგასმულ დიფერენციალურ ნიშნებსა და მასობრივი ინფორმაციის როგორც ცნების იმ დაკონკრეტებას შორის, რომელსაც იძლევა ე. პროხოროვი. მისი აზრით, “განსახდვრა თავის თავში ატარებს ღრმა მნიშვნელობას და მოითხოვს სერიოზულ ანალიზს. პირველ რიგში იგი მიუთითებს იმაზე, რომ ინფორმაცია მიმართულია მასისკენ, ე.ი. ყველასკენ ან უმრავლესობისკენ” (1,14). მიგვაჩნია, რომ ინფორმაციის ამგვარად ხაზგასმული მასობრივი ხასიათი ყველაზე უფრო პირდაპირ და ფუნქციურად ადექვატურ გამოხატულებას პოვებს სწორედ საინფორმაციო ცნობაში, რადგან სწორედ იგი შეიცავს თავის თავში ზემოთ მითითებულ დიფერენციალურ ნიშანთა ერთობლიობას. სხვანაირად რომ ვთქვათ, “ფაქტის, ხდომილების, ახალი ამბის ოპერატიული შეკუმშული სახით” მკითხველისთვის მიწოდება უნდა მივიჩნიოთ საინფორმაციო უანრთა იმ მაინტეგრირებულ შინაარსობრივ-ფუნქციურ ნიშნად, რომელიც შეესაბამება ინფორმაციის ზემოთ აღნიშნულ მასობრივ ხასიათს და რომელიც აკონკრეტებს ამ მასობრიობას უკვე არა მხოლოდ უანრობრივ, არამედ ტექსტობრივ დონეზეც.

მაგრამ, ჩვენის აზრით, არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ინფორმაციის მასობრივი ხასიათის შინაარსობრივი დაკონკრეტების მეორე ვექტორიც, სახელდობრ ის ვექტორი, რომელსაც მივყავართ არა იმდენად უანრთა ტექსტობრივი, არამედ კულტურული განზომილებისკენ. როგორც ჩვენს მიერ უკვე ციტირებული ავტორი ამბობს, “მასობრივი ინფორმაცია მიმართულია მასობრივი ცნობიერებისკენ” (1,15). მაგრამ ნიშნავს თუ არა მასობრივი ცნობიერების ამ დამაკონკრეტებელი როლის ხაზგასმა იმას, რომ მასობრივი ინფორმაცია უნდა ემსახურებოდეს კულტურის იმ ტიპს, რომელსაც “მასობრივი კულტურა” ეწოდება? ვფიქრობთ, ამ კითხვის დასმით მკვიდრდება კონცეპტუალური კავშირი საინფორმაციო უანრთა

ტექსტობრივ და კულტურულ განზომილებებს შორის და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, იქნება იმის კონცეპტუალური საფუძველი, რომ განსაზღვრულ იქნას მედიაკულტურის თანმიმდევრული და ადეკვატური განსაზღვრისათვის. “დღეისათვის მედიაკულტურა განისაზღვრება, როგორც იმ საინფორმაციო კომუნიკაციურ საშუალებათა მატერიალურ და ინტელექტუალურ ღირებულებათა... ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებრივი ცნობიერებისა და პიროვნების სოციალიზაციის ფორმირებას. მედიაკულტურა გულისხმობს როგორც ინფორმაციის გადაცემის, ისე მისი აღქმის კულტურასაც” (8,8). ჩვენთვის, რა თქმა უნდა, მისაღებია მედიაკულტურის ამგვარი განსაზღვრა, მაგრამ ამავე დროს მიგვაჩნია, რომ იგი ატარებს მხოლოდ ამოსავალ და, ამდენად, ჯერ კიდევ განყენებულ, აბსტრაქტულ ხასიათს. კვლევის ის ორიენტაცია, რომელიც ზემოთ იქნა განსაზღვრული, უნდა მივიჩნიოთ ჩვენთვის ამ ფუნდამენტური ცნების – მედიაკულტურის – კონცეპტუალური დაკონკრეტების გზად და საშუალებად: მიგვაჩნია, რომ სწორედ ჟურნალისტური ტექსტი წარმოადგენს ჟურნალისტიკის როგორც კომუნიკაციური სფეროს იმ განზომილებას, რომლის ფარგლებში მედიაკულტურა როგორც ფენომენი იქნეს კონკრეტულ რეალიზაციას.

საინფორმაციო ცნობა როგორც საინფორმაციო ველის ფუნქციურ-სტრუქტურული ცენტრი უნდა მივიჩნიოთ მთელი ჟურნალისტური სფეროს როგორც ერთიანი ჟანრობრივ-ტექსტობრივი მაკროველის იმ სეგმენტად, რომელიც მოწოდებულია მოახდინოს ორი ურთიერთდაკავშირებული ფენომენის – მედიაკულტურისა და მედიატექსტის – არა აბსტრაქტულ-განყენებული, არამედ მუდამუამს კონკრეტული სინთეზირება.

§ 2. საინფორმაციო ცნობის კლასიფიკაცია ჟურნალისტურ ჟანრთა თანამედროვე თეორიაში: საინფორმაციო ცნობის ქვეჟანრული სივრცე

როგორც არა ერთხელ იქნა აღნიშნული, ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანია საინფორმაციო ჟანრის ტექსტობრივი სივრცის

ისეთი კვლევა, რომლის მეთოდოლოგია დაექვემდებარება ერთდროულად ორ ურთიერთდაკავშირებულ პრინციპს:

- ა) ლინგვისტიკის შიდაპარადიგმული დინამიკის პრინციპს: ამ პრინციპის მიხედვით ხსენებული სივრცის ლინგვოკულტუროლოგიური კვლევა უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე ლინგვისტიკის მიერ უკვე “გავლილი” პარადიგმების მონაცემთა ტრანსფორმაციასა და სინთეზს, ე.ი. ერთდროულად უნდა ხდებოდეს როგორც ამ მონაცემთა შენარჩუნება, ისე მათი კონცეპტუალური გარდაქმნა;
- ბ) მეორე მეთოდოლოგიური პრინციპი კი უნდა გულისხმობდეს კვლევის პრინციპულ ინტერდისციპლინარულობას: ლინგვოკულტუროლოგიური მეთოდოლოგია ჩვენს შემთხვევაში გულისხმობს ჟურნალისტიკის თანამედროვე თეორიასა და თანამედროვე ლინგვისტიკის კატეგორიათა სინთეზს, რაც თავისთავად უკვე ნიშნავს კვლევის ინტერდისციპლინარულ მიმართებას; მაგრამ მიგვაჩნია, რომ არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის, რასაც შეიძლება ვუწოდოთ ხსენებული ინტერდისციპლინარულობის “შიდა სტრუქტურა”: ინტერდისციპლინარული კვლევა საბოლოო ანგარიშში უნდა იყოს ლინგვისტურად ცენტრირებული, ე.ი. საინფორმაციო ცნობის კვლევისას ძირითად თეორიულ საყრდენს ჩვენთვის უნდა წარმოადგენდეს ტექსტის თანამედროვე ლინგვისტიკა – რა თქმა უნდა, ტექსტობრივ კატეგორიათა ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაციის ნიშნით.

ზემოთ კონცენტრირებული სახით ფორმულირებული კვლევითი პროგრამა გულისხმობს, რომ კვლევის საბოლოო და გადამწყვეტ სტადიად უნდა მივიჩნიოთ ჩვენთვის საინტერესო ტექსტობრივი სივრცის ისეთი ტიპოლოგიზაცია, რომელიც დაეყრდნობა ტექსტის ლინგვისტიკის მიერ შემუშავებულ კრიტერიუმთა სისტემას; ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ კვლევის ჩვენეული ინტერდისციპლინარიზმი, როგორც აღინიშნა, ცენტრირებულია ლინგვისტურად, უნდა მივიჩნიოთ, რომ სწორედ

კრიტერიუმთა ხსენებული სისტემა იქნება ჩვენთვის გადამწყვეტი და ფუძემდებელი. მაგრამ ცენტრირებულობის ამ პრინციპმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაჩრდილოს თვით ინტერდისციპლინარულობის პრინციპი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თავიდანვე უნდა გავითვალისწინოთ საინფორმაციო ცნობის ის ტიპოლოგია, რომელსაც შეიცავს ჟურნალისტურ ჟანრთა თანამედროვე თეორია: ჟურნალისტური ტიპოლოგია “წინ უნდა უსწრებდეს” ლინგვისტურს (ლინგვოკულტუროლოგიურს) როგორც მისი ადეკვატური სახით აგების ერთ-ერთი წინაპირობა. როგორც მოცემული თავის წინა პარაგრაფებმა გვიჩვენა, არ არის საკმარისი – როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ჟურნალისტურ ჟანრთა განხილვისას – მივაკუთვნოთ საინფორმაციო ცნობა ჟანრთა ინფორმაციულ კატეგორიას. ჟურნალისტიკის თანამედროვე თეორიისა და ველის თეორიის პრინციპთა იმ სინთეზმა, რომლის რეალიზაციაც მოვახდინეთ წინა პარაგრაფში, გვიჩვენა, რომ საინფორმაციო ცნობა უნდა ჩაითვალოს ჟურნალისტურ ჟანრთა სივრცის როგორც ერთიანი სისტემის სტრუქტურულ ცენტრად: თუ გამოვიყენებთ ველის თეორიის მიერ შემუშავებულ ტერმინოლოგიას, საინფორმაციო ცნობა შეიძლება მიჩნეულ იქნას ჟურნალისტურ ჟანრთა “არქიქანრად”. სწორედ ამიტომ იმ ამოცანათა ერთობლიობას, რომელთა შესრულება ჩვენ მოგვიხდება ნაშრომის შემდეგ თავებში, წინ უნდა წავუძღვაროთ საინფორმაციო ცნობის ის ჟურნალისტური ტიპოლოგია, რომელიც ეყრდნობა სწორედ ინფორმაციულ კრიტერიუმს და, შესაბამისად, პასუხობს საინფორმაციო ცნობის იმ არქიქანრულ სტატუსს, რომლის შესახებაც უკვე გვქონდა მსჯელობა.

ჟურნალისტურ ჟანრთა თეორიის ერთ-ერთი წარმომადგენელი ა. ტერტიჩნი (А. А. Тертыйный) სწორედ ინფორმაციულ კრიტერიუმზე დაყრდნობით გამოყოფს საინფორმაციო ცნობის შემდეგ ტიპებს:

- 1) საინფორმაციო ცნობა, რომელიც ძირითადად შეიცავს ფაქტოლოგიურ ინფორმაციას;

- 2) საინფორმაციო ცნობა, რომელიც ძირითადად შეიცავს ალბათობის პრინციპზე დაფუძნებულ ინფორმაციას;
- 3) საინფორმაციო ცნობა, რომელიც ძირითადად შეიცავს პრევენციულ ინფორმაციას;
- 4) საინფორმაციო ცნობა, რომელიც ძირითადად შეიცავს შეფასებით ინფორმაციას;
- 5) საინფორმაციო ცნობა, რომელიც ძირითადად შეიცავს ნორმატიულ ინფორმაციას;
- 6) საინფორმაციო ცნობა, რომელიც ძირითადად შეიცავს პროგრამულ ინფორმაციას.


§ 3. ენობრივ სტრუქტურათა “ემურ” და “ეტურ” დონეების გამიჯვნის პრინციპი და ჟანრობრივი სივრცის ტექსტობრივ სივრცედ ტრანსფორმირების (ამ სივრცის გენერირების) მოდელირება როგორც მეთოდოლოგიური პრობლემა

მაგრამ, როგორც ვიცით, ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს არა საკუთრივ ჟანრობრივი სივრცის, არამედ ამ სივრცესთან “გენეტიკურად” დაკავშირებული ტექსტობრივი სივრცე და, ბუნებრივია, ჩვენთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს შემდეგი კითხვის დასმა: როგორ აისახება საინფორმაციო ცნობის ქვეჟანრთა ის სიმრავლე, რომელსაც გვთავაზობს ა. ტერტიჩნი, საკვლევი ტექსტობრივი სივრცის სტრუქტურაში? სხვანაირად რომ ვთქვათ, რას იძლევა საინფორმაციო ცნობის როგორც ჟანრის შინაგანი ვარიაციულობა, როცა ხდება მისი პროეცირება ტექსტობრივ სივრცეში? მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ხსენებული პროეცირება, ანუ ის, რასაც შეიძლება ვუწოდოთ ჟანრის ტექსტად “ქცევა”, შეუძლებელია მოხდეს ერთი კატეგორიულური სივრცის (ამ შემთხვევაში – ჟანრობრივი სივრცის) მეორე კატეგორიულურ სივრცეში (ამ შემთხვევაში – ტექსტობრივ სივრცეში) უშუალო და პირდაპირი გადასვლის გზით. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ამ ორი სივრცის არსებითი კორელაციურობისა (ისინი ერთმანეთს გულისხმობენ), საქმე გვაქვს მართლაც არსებითად და თვისობრივად განსხვავებულ ისეთ სივრცეებთან, რომლებსაც

შეისწავლიან განსხვავებული მეცნიერული დისციპლინები: ერთის მხრივ, ჟურნალისტურ ჟანრთა თეორია, მეორეს მხრივ კი – ლინგვისტიკა (უფრო კონკრეტულად კი – ტექსტის ლინგვისტიკა); და ხსენებულ სივრცეთა სწორედ ამგვარი კატეგორიული განსხვავება ქმნის იმ სრულიად ახალი მეთოდოლოგიის გამოყენების აუცილებლობას, რომელსაც ჩვენ “ინტერდისციპლინარულ პარადიგმას” ვუწოდებთ და რომელმაც, საბოლოო ანგარიშში, უნდა მიიღოს ლინგვოკულტუროლოგიის სახე. როგორც ვნახეთ, არც ჟურნალისტურ ჟანრთა თეორიაში და არც ტექსტის ლინგვისტიკაში არ არის დასმული ექსპლიციტური სახით ჟანრობრიობასა და ტექსტობრიობას შორის იმ მიმართების პრობლემა, რომლის შესახებაც ზემოთ ვილაპარაკეთ და რაც უტყუარად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ამ მიმართულებით ჯერ არანაირი სახით არ განხორციელებულა ინტერდისციპლინარული კვლევა.

მაგრამ ამავე დროს მიგვაჩნია, რომ, თუ ჩვენს კვლევით მიზნებს გაავითვალისწინებთ, არ არის საკმარისი გაკეთდეს აქცენტი მეთოდოლოგიის მხოლოდ იმ ასპექტებზე, რომელზე მსჯელობისას ჩვენ ინტერდისციპლინარულობას და ინტერპარადიგმულობას ვგულისხმობთ. ზემოთ განხილულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით (ვგულისხმობთ ორი განსხვავებული კატეგორიული სივრცის ურთიერთმიმართებას) აუცილებლად მიგვაჩნია თანამედროვე ლინგვისტური თეორიის იმ პრინციპის გახსენებაც, რომლის მიხედვითაც უნდა გაემიჯნოს ემპირიული მასალის გააზრების ორი დონე – “ეტური” და “ემური”. როგორც ცნობილია, “ემური” დონე მუდამ წარმოადგენს აზრობრივ კონსტრუქტს, “ეტური” კი – მის ვარიაციას ემპირიულ სინამდვილეში. როცა ვამბობთ, რომ შეუძლებელია მოხდეს ჟანრობრივი სივრცის ტექსტობრივ სივრცეში უშუალოდ პროექცირება, ვგულისხმობთ შემდეგს: ეს პროექცირება უნდა მოხდეს “ჯერ” ერთი კატეგორიული სივრცის “ემური” დონის კონსტრუქტის მეორე სივრცის კონსტრუქტად გარდაქმნის (ტრანსფორმაციის) გზით და მხოლოდ ამის “შემდეგ” ხდება ის, რის გარეშეც შეუძლებელია ამა თუ იმ კატეგორიული სივრცის (ჩვენს შემთხვევაში ტექსტობრივი სივრცის) “დაბადება” – “ემური” ერთეულის “ეტურ” დონეზე ვარიაცია.

მთელი ეს ჩვენი მსჯელობა შეიძლება თავისი შინაარსით მოექცეს შემდეგი ფორმულის ფარგლებში: ყოველი “ეტური” სივრცე წარმოადგენს იმ “ემური” ერთეულის შინაგანი “ეტური” პოტენციის რეალიზაციის შედეგს, როელიც მას განსაზღვრავს კატეგორიალურად; მაგრამ იმისთვის, რომ მოხდეს ამ სივრცის იერარქიულად “ქვემოთ” მდგომ სივრცედ ტრანსფორმირება, საჭიროა ეს ტრანსფორმირება ჯერ მოხდეს “ემურ” დონეზე, ე.ი. “ჯერ” შეიქმნას ამ მომდევნო სივრცის მაკონსტიტუირებელი “ემური” კონსტრუქტი და “შემდეგ” მოხდეს მისი “ეტურ” სივრცედ გაშლა. ნათქვამი შეიძლება გამოვხატოთ შემდეგნაირად:



ამ ფორმულამ (რომელიც, ალბათ, ამავე დროს მოდელიც არის, რადგან იგი ახდენს ჩვენი ნაშრომის პირველ თავში აგებული იერარქიული სივრცის დინამიურ ექსპლიკაციას), თუ ჩვენ მას დავაკონკრეტებთ ჩვენი კვლევის საგანთან მიმართებაში, უნდა მიიღოს შემდეგი ინტერპრეტაცია:

“ემური” კონსტრუქტი 1 მოცემულ შემთხვევაში უნდა გავიგოთ როგორც საინფორმაციო ცნობის მთელი ქვეყანრული სივრცის მაკონსტიტუირებელი საინფორმაციო ცნობა როგორც კონსტრუქტი;

ამ კონსტრუქტის შესაბამისი “ეტური” სივრცე უნდა გავიგოთ, როგორც ზემოთ ხსენებული კონსტრუქტის ვარიაციული გაშლა;

ამ გაშლის შემდეგ მოცემული “ემური” კონსტრუქტი 1^2 უნდა გავიგოთ როგორც ზემოთ მოცემული კონსტრუქტი 1 -ს ისეთი “ადღენა” (რეკონსტრუქცია), რომელიც აუცილებელია შემდგომი, ანუ ამ ჟანრის შესაბამისი ტექსტობრივი სივრცის მაკონსტიტუირებელი კონსტრუქტის (არქიტექსტის) “დაბადებისთვის”;

კონსტრუქტთა ვერტიკალურად განლაგებული და დინამიურად სტრუქტურირებული წყვილი გვიჩვენებს, თუ როგორ წარმოიშობა (“იბადება”) ახალი “ემური” კონსტრუქტი;

ფორმულა-მოდელის ბოლო “ბჭკარი” კი მიუთითებს იმ ტექსტობრივი სივრცის არსებობაზე, რომელიც კონსტიტუირდება “ემურ” კონსტრუქტ 2-ის ვარიაციული გაშლის შედეგად.

ვფიქრობთ, გვაქვს შემდეგი მოსაზრების გამოთქმის საფუძველი: ჟანრთა და ტექსტთა ურთიერთმიმართების ამგვარი მოდელირების შედეგად არა მარტო შევძინეთ ახალი განზომილება ჩვენს კვლევით მეთოდოლოგიას, რომელიც აქამდე ნიშნავდა ინტერდისციპლინარულობისა და ინტერპარადიგმულობის სინთეზს, არამედ გავადრმავეთ კიდევ იგი იმით, რომ “გამოვამუღავნეთ” “ემურ” და “ეტურ” დონეთა უკვე ცნობილი ურთიერთმიმართების ახალი და მნიშვნელოვანი ფუნქცია. ეს ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ სწორედ ამ მიმართების საფუძველზე და მისი “წყალობით” ხდება ჟანრობრივი სივრცის ტექსტობრივ სივრცედ ტრანსფორმირება.

ნაშრომის მომდევნო თავში, სადაც უწყვეტად, თუმცა განსხვავებული რაკურსით, გვექნება მსჯელობა საინფორმაციო ცნობასა და მის ტექსტობრივ განზომილებას შორის მიმართებაზე (და სწორედ ეს ტექსტობრივი განზომილება გახდება ჩვენი კვლევის ძირითადი საგანი) თანმიმდევრულად დავეყრდნობით ამ პარაგრაფში ჩვენს მიერ შემუშავებულ მოდელს.

მეორე თავის დასკვნები

1. საინფორმაციო კონტინუუმის როგორც ჟურნალისტურ ჟანრთა სისტემის გამჭოლად მოქმედი ფუნქციურ-სტრუქტურული პრინციპისა და ამ სისტემაში საინფორმაციო ცნობის დომინანტური სტატუსის გათვალისწინებით ხსენებული სისტემა უნდა წარმოვიდგინოთ როგორც კვდი და ვიკვლიოთ იგი ველის პრინციპზე დაყრდნობით. ამ პრინციპის კვლევითი რეალიზაციის შედეგად საინფორმაციო ცნობა მოექცევა არა მხოლოდ საინფორმაციო ჟანრთა, არამედ როგორც ჟურნალისტურ ჟანრთა მთელი ერთობლიობის ველის სახით წარმოდგენილი სტრუქტურის ცენტრში. შესაბამისად, უნდა განვასხვავოთ ჟურნალისტური ჟანრობრივი ველის როგორც მაკრო-, ისე მიკრო-დონეები. საინფორმაციო ცნობის როგორც ჟანრის სტატუსს განსაზღვრავს ფაქტი, რომლის თანახმად იგი გვევლინება ორივე დონის ველის ცენტრად;
2. საინფორმაციო ცნობის როგორც ჟანრის ტექსტობრივი განზომილების კვლევა უნდა ხდებოდეს ინტერდისციპლინარულობის და ინტერპარადიგმულობის პრინციპებზე დაყრდნობით. ინტერდისციპლინარულობა გაგებულ უნდა იქნას როგორც სამი დისციპლინის – ლინგვისტიკის, ჟურნალისტიკის თეორიის და კულტუროლოგიის – მონაცემთა ისეთი სინთეზი, რომლის შედეგად მივიღებთ საკვლევო ფენომენის ლინგვოკულტუროლოგიურ კვლევას; რაც შეეხება კვლევის ინტერპარადიგმულობას, იგი უნდა ნიშნავდეს ფენომენის ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური კვლევის შედეგთა ლინგვოკულტუროლოგიურ ინტერპრეტაციას. შესაბამისად, საკვლევო ფენომენის ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური კვლევა უნდა წარმოადგენდეს მის რეტროსპექტულ და პროსპექტულ ხედვათა სინთეზს. ამგვარი სინთეზი წინ უნდა უსწრებდეს ფენომენის საკუთრივ ლინგვოკულტუროლოგიურ ინტერპრეტაციას.

3. ჟურნალისტურ ჟანრთა სისტემაში საინფორმაციო ცნობის დომინანტური სტატუსისა და ველის თეორიაზე დაყრდნობის შედეგად საკვლევი ჟანრი უნდა განხილულ იქნას სხენებული სისტემის სტრუქტურულ ცენტრად, მის არქივანრად. უნდა ვიგულისხმოდ, რომ საინფორმაციო ცნობის ჟურნალისტური ტიპოლოგია უნდა მიუთითებდეს ინფორმაციულ კრიტერიუმზე დაფუძნებულ საინფორმაციო ცნობის ქვეჟანრთა შემდეგ ერთობლიობაზე:

1. საინფორმაციო ცნობა, რომელიც ძირითადად შეიცავს ფაქტოლოგიურ ინფორმაციას;
2. საინფორმაციო ცნობა, რომელიც ძირითადად შეიცავს აღბათობის პრინციპზე დაფუძნებულ ინფორმაციას;
3. საინფორმაციო ცნობა, რომელიც ძირითადად შეიცავს პრევენციულ ინფორმაციას;
4. საინფორმაციო ცნობა, რომელიც ძირითადად შეიცავს შეფასებით ინფორმაციას;
5. საინფორმაციო ცნობა, რომელიც ძირითადად შეიცავს ნორმატიულ ინფორმაციას;
6. საინფორმაციო ცნობა, რომელიც ძირითადად შეიცავს პროგრამულ ინფორმაციას.

4. ჟანრობრივ და ტექსტობრივ სივრცეთა ურთიერთმიმართების განსაზღვრისას უნდა დავეყუძნოდ ლინგვისტური თეორიის იმ ზოგად დებულებას, რომლის მიხედვითაც ხდება ემპირიული მასალის გააზრება ორ დონეზე – “ეტურ” და “ემურ” დონეებზე. ჟანრობრივი სივრცის ტექსტობრივ სივრცეში პროეცირება ხდება “ჯედ” ერთი კატეგორიულური სივრცის “ემური” დონის კონსტრუქტის მეორე სივრცის კონსტრუქტად გარდაქმნის (ტრანსფორმაციის) გზით და მხოლოდ ამის “შემდეგ” ხდება იმ ტექსტობრივი სივრცის ისეთი გენერირება, რომლის ფუნქცია და სტრუქტურა შეესაბამება მის მაკონსტიტუირებელ “ემურ” ერთეულს, ანუ ამ სივრცის არქიტექტს.

თავი III

საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი სივრცე:

პრობლემის პრაგმალინგვისტური და ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები

§ 1. ინტერპარადიგმულობა როგორც მეთოდოლოგიური პრინციპი და საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი სივრცე პრაგმალინგვისტური თვალსაზრისით

როგორც უკვე ჩვენი ნაშრომის შესავალმა გვიჩვენა, ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიურ პარადიგმას წარმოადგენს საკვლევი ფენომენისადმი ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომა. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, ერთის მხრივ, ლინგვისტური პარადიგმის ფუნქციურ არსს, მეორეს მხრივ კი – თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ისტორიას, აუცილებელი ხდება შემდეგი დასკვნის გაკეთება: თუ გვსურს, რომ ლინგვოკულტუროლოგიამ “უზრუნველყოს” ლინგვისტური აზროვნების პრინციპთა და შედეგთა მემკვიდრეობითობა, ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა გაგებულ უნდა იქნას არა როგორც ენობრივ ფენომენტთა მიმართ უშუალოდ განხორციელებული კულტუროლოგიური მიდგომა, არამედ როგორც წინა პარადიგმათა ფუნქციონირების გზით მიღებული კვლევის შედეგთა კულტუროლოგიური ინტერპრეტაცია. ვფიქრობთ, სწორედ ასე უნდა წარმოვიდგინოთ ლინგვოკულტუროლოგიის შიდამეთოდოლოგიური მთავარი, ანუ ის მთავარი, რომლის კვლევითი აქტუალიზაცია უნდა მოხდეს გარკვეული ეტაპობრივი გზით. თუ გავითვალისწინებთ ნაშრომის პირველ თავში ჩამოყალიბებულ კვლევით პრინციპთა ერთობლიობას, მაშინ ხსენებული ეტაპობრივი სტრუქტურა მიიღებს შემდეგ სახეს:

- ა) პირველ ეტაპზე უნდა შეიქმნას საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი განხომილების პრაგმალინგვისტური განხილვის

ისეთი თეორიულ-მეთოდოლოგიური მოდელი, რომელიც თავისი შინაარსობრივი სტრუქტურით არა მარტო შესაძლებელს გახდის, არამედ მოითხოვს კიდევ ლინგვოკულტუროლოგიურ მოდელად ტრანსფორმაციას. მიგვაჩნია, რომ ხსენებული პრაგმალინგვისტური მოდელი თავისი შინაარსით უნდა წარმოადგენდეს არა უბრალოდ საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი განზომილების დღეისათვის უკვე არსებული პრაგმალინგვისტური კვლევის რეფერირება-გამეორებას, არამედ მის ისეთ რეკონსტრუქციას, რომელსაც პირველ თავში განვითარებული მსჯელობის მიხედვით ექნება როგორც რეტროსპექტული, ისე პროსპექტული ასპექტები;

- ბ) როგორც პირველი ეტაპის შინაარსობრივი სტრუქტურა გვიჩვენებს, იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც ნაშრომის პირველ და მეორე თავს შორის გადებული თეორიულ-მეთოდოლოგიური “ხიდი”. როგორ უნდა იქნას კონკრეტულად განხორციელებული ის, რასაც ჩვენ საკვლევი ფენომენის “რეკონსტრუქცია” ვუწოდებთ? ვფიქრობთ, ხსენებული რეკონსტრუქციის პრაქტიკული განხორციელების ეტაპი უნდა მოიცავდეს იმ აზრობრივ კონსტრუქციას, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ჩვენი რეკონსტრუქციული მოდელის “ჩარჩოლ”. როგორც ვნახავთ, ხსენებული “ჩარჩოს” იდეა ეფუძნება კვლევის “ემურ” და “ეტურ” დონეთა დინამიურ- “გენეტიკური” ურთიერთმიმართების იმ მოდელს, რომელიც ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა პირველი თავის ბოლო პარაგრაფში;
- გ) კვლევის შემდგომ ეტაპზე უნდა განხორციელდეს საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი განზომილების საკუთრივ რეტროსპექტული რეკონსტრუქცია, ე.ი. კონცეპტუალურად კონცენტრირებული სახით წარმოდგენილი უნდა იქნას საკვლევი ფენომენის პრაგმალინგვისტური კვლევის ის შედეგი, რომელიც უკვე იქნა მიღებული ენობრივ ფენომენტა კვლევის ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმის დომინირების ეტაპზე;
- დ) შემდგომ ეტაპზე უნდა განხორციელდეს იგივე ფენომენის, ანუ საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი განზომილების

პროსპექტული რეკონსტრუქცია: უნდა გამოვლენილ იქნას ხსენებული ტექსტობრივი სივრცის პრაგმალინგვისტურად გააზრებული კონცეპციის ის მომენტები, რომლებიც შინაარსობრივად და ფუნქციურად, ე.ი. არსებითად მოითხოვენ ლინგვოკულტუროლოგიურ ინტერპრეტაციას. ამგვარ მომენტებს, ალბათ, შეიძლება ვუწოდოთ პრაგმალინგვისტური მოდელის “ლინგვოკულტუროლოგიური იმპერატივები”;

- ე) ნაშრომის მეორე თავში განსახორციელებელი კვლევის ბოლო ეტაპზე აუცილებელი იქნება რეკონსტრუქციული “ჩარჩოს” ზემოთ ფორმულირებული კონცეპციის საფუძველზე მოვახდინოთ წინა ეტაპზე გამოვლენილ ლინგვოკულტუროლოგიური იმპერატივების განახლებული ფორმულირება საკვლევი ტექსტობრივი სივრცის არქიტექსტთან მიმართებაში.

§ 2. საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი სივრცის პრაგმალინგვისტური რეკონსტრუქციის პირველი, ანუ თეორიული ეტაპი.

თუ მხედველობაში მივიღებთ, ერთის მხრივ, თანამედროვე ლინგვისტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტის ისტორიას, მეორეს მხრივ კი – ამ ისტორიის ინტერპრეტაციის იმ მოდელს, რომელსაც ჩვენ ერთდროულად ვერისტიკული ფუნქციაც მივანიჭეთ, მაშინ აუცილებელი იქნება გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი სივრცის პრაგმალინგვისტური ინტერპრეტაციის სამი ეტაპობრივი ვარიანტი: 1) ის ვარიანტი, რომელიც არსებობდა ჩვენი ინტერპარადიგმული მეთოდოლოგიისაგან დამოუკიდებლად, ე.ი. არსებობდა როგორც წმინდა “ისტორიული” ფაქტი მისდამი ყოველი რეკონსტრუქციული მიდგომის გარეშე; 2) ხსენებული ტექსტობრივი სივრცის ასევე პრაგმალინგვისტური, მაგრამ უკვე რეტროსპექტულად რეკონსტრუქციული ინტერპრეტაცია: ხსენებული ტექსტობრივი სივრცის “ისტორიულად” არსებული და თეორიულად თვითკმარი ინტერპრეტაცია უნდა დავინახოთ ლინგვისტიკის დღევანდელი

პარადიგმული სიტუაციის თვალსაზრისით. ამ უკანასკნელი თვალსაზრისის მიხედვით ის თვითკმარი სახით არსებული ინტერპრეტაცია ვეღარ “გამოიყურება” თვითკმარად. ლინგვისტიკის პარადიგმულმა დინამიკამ გვიჩვენა, რომ ენობრივი ფაქტის წმინდა პრაგმატიკული ინტერპრეტაცია სულაც არ არის ბოლო სიტყვა: პრაგმატიკა თავად მოითხოვს ლინგვოკულტუროლოგიურ ინტერპრეტაციას და სწორედ ამგვარად მკვიდრდება ლინგვისტური კვლევის ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა. როგორც ვხედავთ, რეტროსპექტული რეკონსტრუქცია უშუალოდ გადადის პროსპექტულში და, როგორც ჩანს, თავიდანვე გულისხმობს მას; 3) კვლევის მესამე ეტაპზე უნდა მოხდეს ის, რაც წინა ეტაპზე უკვე იგულისხმებოდა რეტროსპექციისა და პროსპექციის სინთეზურმა ხედვამ – უნდა მოხდეს საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი სივრცის პრაგმატიკის ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაცია.

ჩვენი კვლევის ფარგლებში, ბუნებრივია, გვერდს ავუვლით ჩვენთვის საინტერესო ტექსტობრივი სივრცის “ისტორიულად” არსებულ და, ამდენად, თვითკმარ პრაგმატიკულ ინტერპრეტაციას, რადგან საწინააღმდეგო შემთხვევაში მოგვიხდება იმ კვლევის უბრალო რეფერირება, რომელიც უკვე ჩატარებულა ამ მიმართულებით. როგორც მთელი ჩვენი მსჯელობიდან გამომდინარეობს, ჩვენი მიზანი მოცემულ ეტაპზე უნდა იყოს ზემოთ ხსენებული ინტერპრეტაციის რეტროსპექტულ-პროსპექტული რეკონსტრუქცია.


მაგრამ ისმის ბუნებრივი კითხვა: როგორ უნდა გამოიყურებოდეს ეს რეკონსტრუქცია, თუ გვსურს, რომ იგი სრულად პასუხობდეს ერთის შეხედვით განსხვავებულ, მაგრამ, ამავე დროს, ორგანულად ურთიერთდაკავშირებულ შემდეგ ორ მოთხოვნას:


- ა) მან უნდა ასახოს თანამედროვე ლინგვისტიკის ობიექტურად არსებული პარადიგმული დინამიკა და
- ბ) იგი უნდა შეესაბამებოდეს ჩვენი კვლევის შინაგან ლოგიკას.

ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხს გავცემთ, თუ მივმართავთ ჩვენი ნაშრომის წინა თავის ბოლო პარაგრაფში გამომუშავებულ “ფორმულას”, ანუ იმ ფორმულას, რომელიც ახდენდა ჟანრის ტექსტად


ქცევის აქტისა და პროცესის მოდელირებას. რა შეიძლება ითქვას იმ ფორმულა-მოდელზე, თუ შევეცდებით მის დანახვას პარადიგმულ დინამიკასთან მიმართებაში? ვფიქრობთ, ჩვენი კვლევის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც შეიძლება მასზე ითქვას, არის ის, რომ ეს ფორმულა-მოდელი შინაარსობრივი შევსების პლანში ნეიტრალურია პარადიგმული დინამიკის მიმართ როგორც ჟურნალისტური თეორიის, ისე ლინგვისტიკის თვალსაზრისით: როგორც ჟანრობრივი, ისე ტექსტობრივი სივრცის “ემური” ერთეული (არქიერთეული – არქიჟანრი თუ არქიტექსტი) წარმოადგენს მაკონსტიტუირებელ-დიფერენციალურ ნიშანთა “კონას” (სისტემას) და მისი ასეთი დეფინიცია, ბუნებრივია, უცვლელი დარჩება ნებისმიერი პარადიგმის დომინირების მომენტში, მაგრამ, სამაგიეროდ, შეიცვლება ხსენებულ ნიშანთა შინაარსობრივი ასპექტი და მათი იერარქიული ურთიერთმიმართება. უნდა ვიფიქროთ, რომ პარადიგმული დინამიკა – თუ იგი რეალურად არსებობს – უნდა აისახოს სწორედ “ემურ” ერთეულთა შინაარსობრივ ცვალებადობაში. თუ დავეყრდნობით ჩვენს ამ მოსაზრებას, მაშინ უკვე არსებული ფორმულის საფუძველზე და მეცნიერული აზროვნების (იქნება ეს ჟურნალისტური თუ სხვა აზროვნება) პარადიგმული ასპექტის საფუძველზე, შეგვიძლია გამოვიყვანოთ ფორმულა-მოდელი, რომლის შინაარსობრივი შევსებაც იქნება მთელი ჩვენი შემდგომი კვლევის მიზანი. გამოვხატოთ ორივე ეს ფორმულა ერთი მეორეს მიყოლებით ისე, რომ მკაფიოდ ჩანდეს მათი შინაგანი “გენეტიკური” ურთიერთმიმართება (მეორე ფორმულის გამოსატვისას წმინდა ფორმალური თვალსაზრისით იგნორირებას გაუკეთებთ “ეტურ” დონეს და ვიგულისხმებთ, რომ იგი თავისთავად და აუცილებლად არსებობს):

I. ჟანრის ტექსტად ქცევის ფორმულა “ემურ” და “ეტურ” ერთეულთა ურთიერთმიმართების თვალსაზრისით





II. “ემურ” ერთეულთა შინაარსობრივი სტრუქტურის პარადიგმულ-დინამიკური ცვალებადობის ფორმულა



როგორც უკვე ითქვა, მთელი ჩვენი შემდგომი კვლევის მიზანი უნდა იყოს ზემოთ გრაფიკულად გამოსახული მეორე ფორმულა-მოდელის შინაარსობრივი შევსება და შევსების ეს პროცესი უნდა დაიწყოს უკვე შემდეგი პარაგრაფიდან.


§ 3. კომუნიკაციის საწყისი პრაგმალინგვისტური მოდელი და ინტერსუბიექტურობის პრინციპზე დაყრდნობილი მისი რეტროსპექტულ-პროსპექტული ხედვა.

როგორც არა ერთხელ ითქვა, კვლევის ამ ეტაპზე ჩვენი მიზანია მოვახდინოთ საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი სივრცის პრაგმალინგვისტური რეკონსტრუქციის რეტროსპექტული ასპექტის რეალიზაცია. თუმცა, როგორც უკვე იქნა აღნიშნული, რეტროსპექტია გულისხმობს პროსპექციას და განუყოფელია მისგან (მაგრამ, რამდენადაც რეკონსტრუქციის ეს ორი ასპექტი დაკავშირებულია

პარადიგმათა ურთიერთმიმართებასთან, ჩვენ მაინც განვიხილავთ მათ ცალცალკე).

ეფიქრობთ, საინფორმაციო ცნობის როგორც ჟანრის პრაგმატინგვისტური, ანუ ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური ხედვის ყველაზე უფრო სრული ვარიანტი წარმოდგენილია მ. გვენცაძის მონოგრაფიაში “კომუნიკაციური ლინგვისტიკა და ტექსტის ტიპოლოგია” და ამიტომ ჩვენი კვლევის რეკონსტრუქციულ ეტაპზე დავეყრდნობით ძირითადად ხსენებულ მონოგრაფიას. თუმცა, ამავე დროს, აღსანიშნავია შემდეგიც: მიუხედავად ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური ორიენტაციის სრული სახით რეალიზაციისა, ამ მონოგრაფიაში არ არის დასმული ჟანრისა და ტექსტის ურთიერთმიმართების პრობლემა ისე, როგორც იგი ზემოთ იქნა ჩვენს მიერ წარმოდგენილი. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, ხსენებული ურთიერთმიმართება არ არის განხილული “ემური” და “ეტური” დონის ერთეულთა ურთიერთმიმართების თვალსაზრისით და, შესაბამისად, არ ხდება ამ ურთიერთმიმართების ფორმალიზაცია. მაგრამ ჩვენ გამოვიყენებთ გვენცაძის მიერ მიღებულ შედეგებს სწორედ იმისთვის, რომ შევაგსოთ ჩვენს მიერ “გამოყვანილ” “ემურ” ერთეულთა შინაარსობრივი სტრუქტურის პარადიგმულ-დინამიკური ცვალებადობის ფორმულა და ამით მივაღწიოთ ინტერპარადიგმულობის როგორც კვლევითი პრინციპის მაქსიმალურად სრული სახით რეალიზაციას.

სანამ კონკრეტულად შევეხებოდეთ საინფორმაციო ცნობისა და მისი ტექსტობრივი განზომილების იმ ანალიზს, რომელსაც იძლევა მ. გვენცაძე, დავისესხოთ მისგან კომუნიკაციური აქტის ის მოდელი, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ყოველი პრაგმატინგვისტური კვლევა. როგორც თვით ავტორი ამბობს, “კომუნიკაციური აქტის ამ მოდელის წარმოდგენისას იგი ცდილობდა გადმოეცა ამ აქტის მხოლოდ ბაზისური კომპონენტები, ანუ საკომუნიკაციო აქტის ის სტრუქტურული მინიმუმი, რომელიც განსაზღვრავს ტექსტის ტიპის ძირითად დომინანტურ ნიშნებს” (7, 99). ხსენებული მოდელი კი გამოიყურება შემდეგნაირად:



(7,100)

როგორც უკვე არაერთხელ ითქვა, ინტერპარადიგმულობის პრინციპი, რომელიც ჩვენი მეთოდოლოგიის ერთ-ერთ უმთავრეს ასპექტს წარმოადგენს, გულისხმობს წინა პარადიგმათა რეკონსტრუქციულ ხედვას, ეს უკანასკნელი კი განუყოფელია ხედვის რეტროსპექტულ და პროსპექტულ ასპექტთა ერთიანობისგან. მაგრამ, თუ ეს ასეა, ამგვარად გაგებული რეკონსტრუქციული ხედვა სათავეს უნდა იღებდეს სწორედ კომუნიკაციური აქტის იმ მოდელის ხედვაში, რომელიც თვით მ. გვენცაძის მიხედვით საფუძვლად უდევს არა მხოლოდ საინფორმაციო ცნობის, არამედ საინფორმაციო უანრთა მთელი სპექტრის ტექსტობრივი განზომილების (და საერთოდ ნებისმიერი ტექსტობრიობის) პრაგმალინგვისტურ გააზრებას. აქედან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია მოვახდინოთ ზემოთ წარმოდგენილი მოდელის იმ თეორიული კომენტარის ციტირებაც, რომელსაც იძლევა ავტორი, რადგან, ჩვენის აზრით, ეს სწორედ ის კომენტარია, რომელიც კონცენტრირებული სახით ასახავს ჩვენთვის რელევანტური კონტექსტის პრაგმალინგვისტურ ხედვას. ავტორის

მიხედვით, “კომუნიკაციური აქტის მის მიერ წარმოდგენილი მოდელი ასახავს ადრესანტისა და ადრესატის ურთიერთმიმართებათა სისტემას (ჩვენ დაგაკონკრეტებთ ამ აზრს და ვიტყვით, რომ ხსენებული მოდელი ასახავს ადრესანტისა და ადრესატის ურთიერთმიმართებას სწორედ პრაგმატულიზმის თვალსაზრისით, რაც იმას ნიშნავს, რომ ურთიერთმიმართებათა იგივე სისტემა სხვა პარადიგმის, მაგალითად, ლინგვოკულტუროლოგიის პარადიგმის პრიზმით, შეიძლება დანახული იქნეს სხვანაირად – ზ. ჩ.). ორივე ეს კომპონენტი ერთნაირადაა აუცილებელი სამეტყველო აქტის განსახორციელებლად, მაგრამ თანამედროვე ლინგვისტური მეცნიერება მაინც ხედავს მათ შორის გარკვეულ იერარქიას: ნებისმიერი სამეტყველო ურთიერთობის თავდაპირველ ცენტრად ითვლება მეტყველი სუბიექტი, მეტყველების, ტექსტის შემქმნელი ადამიანი, ხოლო მსმენელი კი არის გამონათქვამის ობიექტი და მიზანი და არა მისი შემქმნელი, ის არის სამეტყველო აქტის პასიური მხარე, მისი აუცილებელი, თუმცა არც თუ იშვიათად პოტენციური მონაწილე. ნათქვამის შესაბამისად სამეტყველო აქტის მოდელში (რაც იმას ნიშნავს, რომ ტექსტის შემქმნის დროსაც) განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ადრესანტის სფეროს, რომლის მნიშვნელოვან კომპონენტად მკვლევარები მიიჩნევენ კომუნიკაციური მიზანდასახულობის (ინტენციის) ფაქტორს” (7,100-101).

მიგვაჩნია, რომ კომუნიკაციის ეს ზოგადი მოდელი, რომელსაც გვთავაზობს მ. გვენცაძე იმ კომენტართან ერთად, რომელიც ერთვის ამ მოდელს, საჭიროებს რეკონსტრუქციის ეტაპობრივ განხორციელებას. პირველ ეტაპზე აუცილებლად მიგვაჩნია შევხედოთ ამ მოდელს რეკონსტრუქციულად თვით იმ პარადიგმის გათვალისწინებით, რომელიც განმსაზღვრელია ციტირებული ავტორისათვის, ანუ პრაგმატულიზმის პარადიგმის გათვალისწინებით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ პარადიგმას აქვს თავისი შიდა ისტორია და, როგორც მოდელის ავტორისეული კომენტარი გვიჩვენებს, მის მიერ გათვალისწინებულია მხოლოდ ხსენებული შიდა ისტორიის პირველი ეტაპი; რეკონსტრუქციული ხედვის მეორე ეტაპზე კი დავსვამთ ისეთ კითხვებს, რომლებზე პასუხის გაცემითაც უნდა რეალიზებულ იქნას მისი საკუთრივ ლინგვოკულტუროლოგიური ეტაპი.

კომუნიკაციის ზემოთ მოცემული მოდელის პრაგმალინგვისტურ-ინტერსუბიექტური რეკონსტრუქცია

ციტატაში ზემოთ განხორციელებული ჩართვით ჩვენ, ფაქტობრივად, უკვე შევუდექით მ. გვენცაძის მიერ წარმოდგენილი მოდელის რეკონსტრუქციულ ინტერპრეტაციას. ამ ინტერპრეტაციის გადრმაგებისა და მისი პარადიგმული ასპექტის ხაზგასმის მიზნით კი უნდა ითქვას, რომ ადრესატის როგორც სამეტყველო აქტის პასიურად აღმქმნელის მხარის გააზრება არ პასუხობს არა მარტო ლინგვისტური აზროვნების ლინგვოკულტუროლოგიურ ეტაპს – იგი არ პასუხობს თვით პრაგმალინგვისტური პარადიგმის განვითარების იმ ფაზასაც, რომლის ფარგლებში მოხდა “ეგოცენტრისტული” პრაგმალინგვისტიკის ინტერსუბიექტურად ორიენტირებული პრაგმალინგვისტიკით ჩანაცვლება: “თუ დასაწყისში პრაგმატიკა ნიშნავდა კავშირს სუბიექტსა და ნიშნებს შორის, დღეს კი აუცილებელია ვიგულისხმეთ უკვე მინიმუმ ორი სუბიექტი, ე.ი. გვაქვს უკვე არა მარტო სუბიექტურობა, არამედ **ინტერსუბიექტურობა**. ეს უკვე თვისობრივი ცვლილებაა – ორი სუბიექტი. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს არა მარტო მიმართება ორ სუბიექტს შორის, რომელიც აისახება გამონათქვამში. უფრო მეტიც, არის მიმართება მეტყველ სუბიექტს და გამონათქვამში ასახულ სიტუაციას შორის, ასევე მსმენელ სუბიექტსა და ასახულ სიტუაციას შორის. თუ პრაგმატიკის ბირთვად მივიჩნევთ სუბიექტს, მაშინ სუბიექტისა და სუბიექტურობის შინაარსი ბევრად უფრო რთული ხდება და საქმე გვაქვს მთელ სტრუქტურასთან: ორმაგი მიმართება სუბიექტებს შორის, მეტყველ სუბიექტსა და ასახულ სიტუაციას შორის, მსმენელ სუბიექტსა და ასახულ სიტუაციას შორის” (9, 253-254). როგორც ვხედავთ, ადრესატის “პასიურობაზე” და “პოტენციურობაზე” ლაპარაკი შეესაბამება პრაგმატიკის განვითარების მხოლოდ საწყის, ე.წ. ეგოცენტრისტულ ეტაპს, ანუ ეტაპს, როცა პრაგმატიკულად გაგებული სუბიექტურობა ჯერ არ აღიქმებოდა როგორც ინტერსუბიექტურობა.

§ 4. კომუნიკაციის პრაგმატინგვისტური მოდელი და ჟურნალისტურ ჟანრთა ტიპოლოგია ინტენციონალური თვალსაზრისით

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ის, თუ რა წარმოადგენს ჩვენს ძირითად მიზანს მოცემული პარაგრაფის ფარგლებში: უნდა განხორციელდეს საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი განზომილების პრაგმატინგვისტური ინტერპრეტაციის ისეთი რეკონსტრუქციული ხედვა, რომელიც, საბოლოო ანგარიშში, საშუალებას მოგვცემს ავსახოთ ამ ხედვის ძირითადი მონაცემები ჩვენს მიერ დადგენილ “ემურ” ერთეულთა შინაარსობრივი სტრუქტურის პარადიგმულ-დინამიკური ცვალებადობის ფორმულაში. მაგრამ ჩვენ ისიც დავინახეთ, რომ ხსენებული რეკონსტრუქციის ანალიტიკურ-პრაქტიკული რეალიზაცია ვერ იქნება ერთჯერადი აქტი – იგი, პირიქით, წარმოადგენს ისეთ ანალიტიკურ გზას, რომელიც, როგორც გვახსოვს, დაიწყო საკომუნიკაციო აქტის ზოგადი მოდელის რეკონსტრუქციით და რომელმაც უნდა მიგვიყვანოს ზემოთ ხსენებული ფორმულის შევსების პირველ ეტაპამდე. სწორედ ამიტომ არა მხოლოდ სასურველად, არამედ აუცილებლადაც მიგვაჩნია წარმოვადგინოთ ხსენებული გზის ყველა რელევანტური “მონაკვეთი”. მონაკვეთს, რომელიც უშუალოდ უნდა მოსდევდეს კომუნიკაციის ზოგად მოდელს, წარმოადგენს, ჩვენი აზრით, ჟურნალისტურ ჟანრთა გვენცადიხეული კლასიფიკაცია:

ჟანრთა საინფორმაციო ჯგუფი	ჟანრთა ანალიტიკური ჯგუფი	ჟანრთა მხატვრულ-პუბლიცისტური ჯგუფი
ცნობა რეპორტაჟი ანგარიში ინტერვიუ	კორესპონდენცია სტატია მიმოხილვა რეცენზია პრესის მიმოხილვა წერილი	ნარკვევი ჩანახატი ფელიეტონი პამფლეტი ეპიგრამა (7,107)

მაგრამ ჩვენთვის, რა თქმა უნდა, მთავარი იყო არა ჟურნალისტურ ჟანრთა ამ გვერცაძისეული კლასიფიკაციის სრული სახით წარმოდგენა, არამედ ჟურნალისტურ კატეგორიათა იმ მაკონსტიტუირებელ-დიფერენციალურ ნიშანთა შემაჯამებელი სურათი, რომელიც მოჰყვება ზემოთ წარმოდგენილ კლასიფიკაციას (თვით კლასიფიკაციის შემაჯამებელი სურათის მოცემას კი უნდა უზრუნველყო ჩვენს მიერ გასავლელი რეკონსტრუქციული გზის ის უწყვეტობა, რომლის შესახებ უკვე გვქონდა მსჯელობა).

როგორც ავტორი ამბობს, “ჟანრობრივი ჯგუფების გამოყოფის საფუძვლად იდება შემდეგი მახასიათებლები” (იქვე) (როგორც ვხედავთ, მ. გვერცაძე ლაპარაკობს “მახასიათებლებზე” და არა “მაკონსტიტუირებელ-დიფერენციალურ” ნიშნებზე, ჩვენთვის კი ეს უკანასკნელი ტერმინი აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ვახდენთ ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის არა უბრალო რეფერირებას, არამედ რეკონსტრუქციასაც):

ჟანრთა საინფორმაციო ჯგუფი	ჟანრთა ანალიტიკური ჯგუფი	ჟანრთა მხატვრულ-პუბლიცისტური ჯგუფი
<p>ოპერატიული, შეკუმშული ცნობა ცალკეული ფაქტის, მოვლენის, ამბის შესახებ; აქდან: დროითი პარამეტრის მონომოვლენისობისა და რეგლამენტირებულობის ნიშანი</p>	<p>ფაქტთა ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენა და მათ შორის კავშირის ხარისხის ანალიზი და განზოგადება; აქედან: ანალიზის შესაძლო მასშტაბურობა და სიღრმე, არგუმენტაციის მრავალმხრივობა, დროითი პარამეტრის შედარებითი არარეგლამენტირებულობა</p>	<p>მიმართვა მხატვრული ტიპიზაციის საშუალებებისადმი, ოპერირება როგორც ცნებითი, ისე ხატოვან-გამომხატველობითი საშუალებებით (7, 108)</p>

ავტორი შემდეგ კომენტარს უკეთებს ჟურნალისტურ ჟანრთა ზემოთ მოცემულ მოდელურ დახასიათებას: “ჩამოთვლილი ნიშან-

თვისებებით ერთიანდებიან საგაზეთო ჟანრები, რომლებიც მიეკუთვნებიან შესაბამის ჯგუფებს. მათი სპეციფიკაცია ჯგუფის ფარგლებში ხდება კერძო ნიშან-თვისებათა საფუძველზე. ასე, ჟანრები, რომლებიც საინფორმაციო ჯგუფში შედიან ზემოთ ხსენებული განზოგადებული ისეთი ნიშან-თვისებების საფუძველზე, როგორცაა “გვაუწყოს ცალკეული ფაქტის შესახებ”, განსხვავდება შემდეგი სპეციფიკური ნიშან-თვისებებით: გვაუწყოს ახალი ფაქტის, მოვლენის შესახებ – ცნობა; გვაუწყოს მოცემული მოვლენის დეტალების ასახვით – ანგარიში; გვაუწყოს მოვლენის განვითარების შესახებ პირის – მონაწილის ან თვითმხილველის – სახელით – რეპორტაჟი; გვაუწყოს მოვლენის შესახებ მესამე პირთა მიერ კომენტირებასთან ერთად – ინტერვიუ” (იქვე).

როგორც ავტორისეული კომენტარი გვიჩვენებს, ინფორმაციულ ჟანრთა მთელ სისტემას აქვს ერთი მაინტეგრირებელი ნიშან-თვისება – ყოველი მათგანი წარმოადგენს ამა თუ იმ მოვლენის შეტყობინებას და ამიტომ მოვლენასთან ინფორმაციული მიმართება შეიძლება მივიჩნიოთ მთელი ამ ჟანრობრივი კატეგორიის მაკონსტიტუირებელ ნიშნად. რაც შეეხება იმ ნიშან-თვისებებს, რომლებიც დამახასიათებელია ყოველი მათგანისათვის ცალ-ცალკე, ისინი შეიძლება ჩავთვალოთ ჟანრთა დოფერენციალურ ნიშნებად. მაგრამ ხაზი უნდა გაესვას შემდეგ გარემოებასაც: ის ინტეგრალური ნიშანი, რომელიც აერთიანებს ხსენებული ჯგუფის ყველა ჟანრს, გამოყოფილია სწორედ ინფორმაციული ცნობის საფუძველზე, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ თუ კი განვიხილავთ მთელ საინფორმაციო ჯგუფს როგორც ჯგუფს, მაშინ სწორედ საინფორმაციო ცნობა მოგვევლინება ამ ველის უქველ ცენტრად (თუმცა, თუ გავიხსენებთ ინფორმაციული კონტინუუმის ჩვენს მიერ შემოტანილ ცნებას და ჩავთვლით – რა თქმა უნდა, თანამედროვე ჟურნალისტურ თეორიაზე დაყრდნობით – რომ ჟურნალისტურ ჟანრთა მთელ სისტემას აკონსტიტუირებს სწორედ ეს პრინციპი, აღმოჩნდება, რომ საინფორმაციო ცნობა წარმოადგენს მთელი ხსენებული სისტემის ცენტრს: ნებისმიერი სხვა ჟურნალისტური ჟანრი შეიცავს მაინტეგრირებელი ნიშნის სახით საინფორმაციო ცნობას როგორც თავის სტრუქტურულ ბირთვს. რაც შეეხება ჟანრთა დიფერენციალურ

ნიშნებს, ისინი მხოლოდ აკონკრეტებენ ამ ბირთვის ნაგულისხმევ ჟანრობრივ შინაარსს).

იმის შემდეგ, რაც მოგვცა ჟურნალისტურ ჟანრთა დიფერენციალური ნიშნების სისტემურ-პანორამული სურათი, ავტორი მსჯელობს ჟანრთა კლასიფიკაციის ინტენციონალურ პრინციპზე, ანუ იმ პრინციპზე, რომელზე დაყრდნობასაც მოითხოვს კვლევის პრაგმატინგვისტური პარადიგმა. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: “ჟანრთა კლასიფიკაციური სისტემა ინტენციონალურია თავისი შინაარსით – ინტენციონალური პრინციპი საფუძვლად უდევს როგორც საგაზეთო ჟანრების (ფუნქცია, ჟანრის დანიშნულება), ისე ჟანრობრივი ჯგუფების (ინფორმირება, არგუმენტირება-შეფასება, მხატვრული ზემოქმედება) გამოყოფას” (7, 110). როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს, ამ თვალსაზრისით ჟურნალისტურ ჟანრთა და, შესაბამისად, მათ ტექსტობრივ განზომილებათა კვლევა ხასიათდება ისეთი ნეგატიური მაჩვენებლებით, როგორიცაა “ტიპოლოგიზაციის ბაზისის არასისრულე” (იქვე) და “ინტენციონალური პრინციპის რეალიზაციისას არათანამიმდევრობა” (იქვე). ავტორის ამგვარი კრიტიკული დამოკიდებულება იმ კვლევითი სიტუაციის მიმართ, რომელიც ხსენებული თვალსაზრისით გვქონდა მისი ნაშრომის გამოქვეყნების პერიოდში (1986 წ.), ამ შემთხვევაშიც უნდა აიხსნას იმით, რომ ხსენებული, ანუ პრაგმატინგვისტური პარადიგმა იმყოფებოდა თავისი შინაგანი დინამიკის ჯერ კიდევ პირველ ეტაპზე და, გარდა ამისა, ჯერ კიდევ არ არსებობდა კომუნიკაციურად და ამავე დროს მედიაკულტურულად ორიენტირებული ჟურნალისტური თეორია (ჩვენ უკვე ნაწილობრივ გვქონდა მსჯელობა ამგვარი ორიენტაციის მქონე, ანუ თანამედროვე ჟურნალისტურ თეორიაზე და უკვე ვიცით, რომ ჟურნალისტურ ჟანრთა ინტენციონალური ასპექტი განპირობებულია, ერთის მხრივ, ინფორმაციულობის პრინციპით, მეორეს მხრივ კი ამ ინფორმაციულობის მასობრივ-კულტურული ხასიათით). მაგრამ ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ ჟურნალისტურ ჟანრთა ინტენციონალური დახასიათება-კლასიფიკაციის საფუძვლად ავტორი მიიჩნევს “ექსტრატექსტუალური მაკროკონტექსტუალურობის” პრინციპს. მიგვაჩნია, რომ ამ ზოგადი პრინციპის გაშლილი სახით

ინტერპრეტაცია უნდა დაეფუძნოს ჩვენს მიერ უკვე ხსენებულ ორ კრიტერიუმს – ინფორმაციულობასა და მასიურ კულტურაზე გამიზნულობას.

ვფიქრობთ, რომ ჟურნალისტურ ჟანრთა მათი ტექსტობრივი განზომილების პრაგმატინგვისტური კვლევის რეკონსტრუქციული ხედვისა და ინტერპრეტაციის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს კვლევის იმ ასპექტს, რომელსაც ავტორი უწოდებს “კომუნიკანტთა ურთიერთმიმართების ტიპს” (7, 112). ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც თავს იჩენს ის გარემოება, რომ პრაგმატინგვისტური პარადიგმა ავტორის კვლევით კონტექსტში წარმოდგენილია მისი ჯერ კიდევ პირველი სტადიით. ავტორი შემდეგ კვალიფიკაციას აძლევს კომუნიკანტთა ურთიერთმიმართებას ჟურნალისტური კომუნიკაციის სფეროში: “ლინგვისტურად რელევანტური მაკროკონტექსტის თვალსაზრისით, პირველ რიგში, უნდა შევჩერდეთ შემდგომ მომენტებზე, რომელიც ახასიათებს როგორც კომუნიკანტებს, ისე მათ ურთიერთმიმართებას. ეს, უპირველეს ყოვლისა, არის ადრესანტისა და ადრესატის სახეთა კოლექტიურობა” (7, 113). შეუძლებელია, რა თქმა უნდა, ჟურნალისტურ სფეროში კომუნიკანტთა კოლექტიურობის როგორც პრინციპის უარყოფა, რადგან, როგორც ავტორი ამბობს, “საგაზეთო შეტყობინების ადრესატი მუდამ კრებითია – ეს არის ისეთ ინდივიდუუმთა მასა, რომლებიც გაერთიანებულნი არიან კლასობრივი და სოციალურ-პოლიტიკური ინტერესებით, იდეოლოგიური და სულიერი ორიენტაციით” (7, 114). თუმცა, ამავე დროს, უნდა აღინიშნოს შემდეგიც: ის, რომ ამგვარად, ჯერ კიდევ მაქსიმალურად მარტივად გაგებულ კოლექტიურობას ავტორი აკონკრეტებს შემდეგი აზრით: “მართალია, ადრესანტი მიმართავს ამგვარ მასას მთლიანობაში, მაგრამ უშუალოდ მის შეტყობინებას აღიქვამენ ცალკეული ადამიანები. აქედან გამომდინარე უნდა მივიჩნიოთ: კრებითი სუბიექტის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მასის საშუალებით მიმართოს ინდივიდუუმს” (იქვე).

§ 5. კომუნიკაციის პრაგმალინგვისტური მოდელი და მისი “ლინგვოკულტუროლოგიური იმპერატივები”: ჟურნალისტურ ტექსტთა პრაგმალინგვისტური ხედვიდან მათ ლინგვოკულტუროლოგიურ ხედვაზე გადასვლის აუცილებლობა.

შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ კომუნიკაციის წარმოდგენილი მოდელი იმპლიციტურად (ქვეტექსტურად) უკვე შეიცავს შინაარსობრივ სტრუქტურულ ასპექტებს, რომლებიც, თუ მათ დავინახავთ “დღევანდელი”, ანუ ლინგვისტიკის ლინგვოკულტუროლოგიური ეტაპის “გადასახედიდან”, ხასიათდებიან იმით, რასაც ჩვენ “ლინგვოკულტუროლოგიური იმპერატივები” ვუწოდეთ: ისინი მოითხოვენ ლინგვოკულტუროლოგიურ ინტერპრეტაციას. ამიტომ დავსვათ კითხვები, რომელთა ერთობლიობა შექმნის ჩვენთვის აუცილებელ რეკონსტრუქციულ კონტექსტს:

- ა) ეპოქის რომელ (როგორ) კულტურულ-ცივილიზაციურ განზომილებას წარმოადგენენ ადრესანტი და ადრესატი როგორც კომუნიკაციის სუბიექტები?
- ბ) რამდენად (და როგორ) განსაზღვრავს ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციური განზომილება კომუნიკაციურ ინტენციას?
- გ) რამდენად (და როგორ) განსაზღვრავს ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციური განზომილება კომუნიკაციის საგანს (შინაარსს)?
- დ) რამდენად (და როგორ) განსაზღვრავს ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციური განზომილება ადრესანტსა და ადრესატს შორის მიმართებას?
- ე) რამდენად (და როგორ) განსაზღვრავს ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციური განზომილება კომუნიკანტთა ფონურ ცოდნას?
- ვ) რამდენად (და როგორ) განსაზღვრავს ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციური განზომილება კავშირის არსს?

როგორც ვხედავთ, ჟურნალისტური კომუნიკაცია ერთდროულად ხასიათდება ორი ურთიერთდაპირისპირებული ნიშნით – იგი პრინციპულად მასობრივია და, ამავე დროს, მისთვის არსებითია ინდივიდუალური ადრესაცია. მაგრამ, თუ ეს ასეა, მისთვის ამ

შემთხვევაშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ინტერსუბიექტურობის იმ ლინგვოპრაგმატიკულ პრინციპს, რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა. მაგრამ, ამავე დროს, ჟურნალისტური კომუნიკაციის გვერცაძისეული კვლევის რეკონსტრუქციული ხედვა უნდა გულისხმობდეს ამ ხედვის გაფართოებასა და გაღრმავებას იმ “ლინგვოკულტუროლოგიურ იმპერატივებზე” დაფუძნებით, რომლებიც უკვე ფიგურირებდნენ ჩვენს კვლევით კონტექსტში. სხვანაირად რომ ვთქვათ, უნდა მოხდეს არა მხოლოდ ინტერსუბიექტურობის პრინციპის რეკონსტრუქციული ხაზგასმა, არამედ ამ პრინციპის კულტუროლოგიური ინტერპრეტაციაც, ანუ ის ინტერპრეტაცია, რომელიც დაეყრდნობა მედიაკულტურის თანამედროვე ცნებას.

რეკონსტრუქციული თვალსაზრისით არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის, რაც გვერცაძის ნაშრომში ნათქვამია საგაზეთო კომუნიკაციის შინაარსობრივ ასპექტზე. ეს ასპექტი დახასიათებულია შემდეგნაირად:

“1) ფაქტოლოგიურობა, დოკუმენტურობა – ნიშნებია, რომლებიც ახასიათებს არამხატვრულ ტექსტებს მხატვრული გამონაგონის საპირისპიროდ და ამ ნიშანთა რეალიზაცია ხდება საგაზეთო კომუნიკაციის სფეროში ძირითადად მოვლენით – კონკრეტული სინამდვილის ფაქტებით...”

2) საგაზეთო კომუნიკაციის საგანი სტერეოტიპულია: ეს, ძირითადად, ტიპური მოვლენებია, რომლებიც მეორდება სოციუმის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მკითხველისთვის, როგორც წესი, ცნობილია არა მხოლოდ თვით მოვლენის ინვარიანტული შინაარსობრივი სტრუქტურა, არამედ გაზეთის გვერდზე მისი წარმოდგენის კანონიზირებული სქემაც” (7,120).

როგორც უკვე ითქვა, ამ შემთხვევაშიც აუცილებელია ავტორის მიერ ნათქვამის რეკონსტრუქციული ხედვა, თუმცა, ამავე დროს, საჭიროდ მიგვაჩნია გარკვეული კორექტივის შეტანა თვით ამ ხედვის სტრუქტურაში: თუ წინა შემთხვევებში მუდმივად ერთმანეთს ვუკავშირებდით ხედვის პრაგმატიკულ და კულტუროლოგიურ ასპექტებს, ამ შემთხვევაში, ე.ი. მაშინ, როცა ვლაპარაკობთ ჟურნალისტურ ჟანრთა შინაარსობრივ ასპექტზე, მოგვიხდება

ერთმანეთს დაუკავშიროთ ტექსტოლოგიური (ანუ ტექსტის ლინგვისტიკასთან დაკავშირებული) და კულტუროლოგიური ასპექტები (თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ არსებობს მჭიდრო და ორგანული კავშირი პრაგმატიკულ და ტექსტოლოგიურ თვალსაზრისებს შორის). იმისთვის, რომ ბოლომდე გასაგები გახდეს ნათქვამი, დავეყრდნობით ტექსტის ლინგვისტიკის ორ წარმომადგენელს: ა. პაპინას და ლ. ნოზდრინას. ტექსტის (იგულისხმება ნებისმიერი ქანრის ტექსტი და, შესაბამისად, ჟურნალისტური ტექსტიც) შინაარსობრივი ასპექტის კონცეპტუალიზაციისას ა. პაპინა იყენებს “გლობალური კატეგორიის ცნებას” და როგორც კომუნიკაციის აქტის მონაწილეთა, ისე ხდომილებათა და სიტუაციათა მონაწილეთა ერთობლივად დასახელების მიზნით ხმარობს ტერმინს “ტექსტის პირველი გლობალური კატეგორია” (10, 93). როგორც ვხედავთ, ავტორს ძალიან ფართოდ ესმის ტექსტის შინაარსი და ჩვენ მოგვიხდება ამგვარად გაგებული შინაარსის დაკონკრეტება, რადგან, ვფიქრობთ, არ შეიძლება ერთი და იგივე შინაარსობრივ დონეზე განხილულ იქნან კომუნიკაციის მონაწილენი და კომუნიკატის, ანუ ტექსტით გადმოცემული შეტყობინების და სიტუაცია-ხდომილებასთან უშუალოდ დაკავშირებული მონაწილეები. მაგრამ, ამავე დროს, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ავტორი იმ მონაწილეთა შორის, რომლებიც არ წარმოადგენენ კომუნიკაციური აქტის სუბიექტებს, მაგრამ წარმოადგენენ “სიტუაციათა ობიექტებს”, ასახელებს “სულიერ და უსულო საგნებს, პიროვნებებს, რეალებს” და ა.შ. (იქვე). ავტორის სიტყვით, “სიტუაციათა ის ობიექტები, რომლებიც ავსებენ მეტყველი სუბიექტის გარეგან და შინაგან სამყაროს, გამოიხატება კონკრეტული და აბსტრაქტული არსებითი სახელებით, ნაცვალსახელითი არსებითი სახელებით, ზედსართავ სახელთა სუბსტანტივირებული ფორმებით და მიმდებარებით. ტექსტის ამგვარი ობიექტის ფორმალურ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ პირითი, ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელების მესამე პირის ფორმა, ანუ ის ფორმები, რომლებიც წარმოადგენენ არსებით სახელთა ექვივალენტებს...” (10, 94).

როგორც ითქვა, მეორე ავტორი, რომელზე დაყრდნობითაც ჩვენ ვგსურს მოვამზადოთ საფუძველი ჟურნალისტურ ტექსტთა

ლინგოკულტუროლოგიური ინტერპრეტაციისთვის, არის ლ. ნოზდრინა. რას იძლევა ამისთვის ტექსტის ამ ავტორისეული კონცეპცია? რა აქვს ამ კონცეპციას კავშირი პაპინას ზემოთ დასახელებულ “გლობალურ კატეგორიასთან”? და, რაც მთავარია, რა გაგებით იძლევა ეს კონცეპცია იმის საშუალებას, რომ ტექსტთა პრაგმატოლოგიური ხედვიდან გადავიდეთ მათ ლინგოკულტუროლოგიურ ხედვაზე? ზოგადად თუ ვიტყვით, ხსენებული ავტორის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ გვიჩვენოს “გრამატიკულ კატეგორიათა როლი ტექსტის სტრუქტურაში ისე, რომ ამავე დროს გათვალისწინებული იქნას გრამატიკული ასპექტის ფუნქციური კავშირი ლექსიკურ სიტყვათწარმოებით და ფონეტიკურ ასპექტებთან” (11, 6). ავტორის ყურადღების ცენტრში იმყოფება ოთხი ისეთი კატეგორია, როგორცაა “დროის, კილოს, პირისა და განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობის კატეგორიები”. ყოველი ამ კატეგორიათაგანი განიხილება როგორც ტექსტის შესაბამისი სტრუქტურის შექმნის საშუალება: გრამატიკული დრო ქმნის ტემპორალურ სტრუქტურას, კილო – მოდალურს, პირი – პერსონალურს, განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობა და, პირველ რიგში, არტიკლი – ტექსტის რეფერენტულ სტრუქტურას (იქვე).

როგორც ჟურნალისტურ ტექსტთა შემდგომი ანალიზი გვიჩვენებს, ჩვენ რამდენადმე დავეყრდნობით ხსენებულ კონცეპციას – თუნდაც იმიტომ, რომ მის მიხედვით გრამატიკული კატეგორიები განხილულ უნდა იქნან ტექსტის სხვა ასპექტებთან ერთად, რაც ქმნის მათი სინთეზური ხედვის საშუალებას. მაგრამ, ამავე დროს, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც: თვით ნაშრომში ხსენებულ კონცეპციაზე დაყრდნობით ნოზდრინა ახორციელებს მხატვრულ ტექსტთა ანალიზს (თუმცა, ამავე დროს – და ზემოთ მოყვანილი ციტატაც ამაზე მეტყველებს – ნოზდრინასეული კონცეპცია მიესადაგება ნებისმიერი ჟანრის ტექსტს). აქედან გამომდინარე ჩვენ შევეცდებით გამოვიყენოთ ტექსტის რეფერენტული სტრუქტურის ნოზდრინას მიერ შემოთავაზებული ცნება – რა თქმა უნდა, საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი სივრცის ლინგოკულტუროლოგიური ხედვის რეალიზაციისთვის, მაგრამ ერთი ჩვენთვის მნიშვნელოვანი კორექტივის შეტანით: ჩვენ არ გამოვიყენებთ მთელ იმ


შინაარსობრივ სპექტრს, რომელიც ავტორის კონცეპციის მიხედვით თანახმად სხენებულ ტექსტობრივ კატეგორიას, მაგრამ გავაკეთებთ აქცენტს მის იმ ასპექტზე, რომელიც ა) იმყოფება გარკვეულ კავშირში ზემოთ ხსენებულ პაპინასეულ “გლობალურ კატეგორიასთან” და ბ) განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი ჟანრის ტექსტთა დახასიათებისას, როგორცაა საინფორმაციო ცნობის ამსახველი ტექსტები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტექსტის (ჩვენს შემთხვევაში, ბუნებრივია, ჟურნალისტური ტექსტის) რეფერენტული სტრუქტურის ანალიზისას ჩვენთვის ამოსავალი და გადამწყვეტი იქნება ზოგადლინგვისტური მნიშვნელობის ის ცნება, რომელიც საფუძვლად უდევს რეფერენტულ სტრუქტურას როგორც ტექსტოლოგიურ კატეგორიას, ანუ რეფერენციის ცნებას. რეფერენცია, როგორც ცნობილია, განისაზღვრება როგორც “შეტყველებაში აქტუალიზირებულ სახელთა ან სახელით გამოთქმათა მიმართებულობა სინამდვილის ობიექტებთან (რეფერენტებთან, დენოტატებთან)” (12, 411). თუ ჟურნალისტური ტექსტის რეფერენტული სტრუქტურის განსაზღვრისას ჩვენთვის ძირითადი კონცეპტუალური საყრდენის როლში გამოვა სწორედ რეფერენცია ზემოთ განსაზღვრული გაგებით, მაშინ რეფერენტულ სტრუქტურად მიჩნეულ იქნება გასაანალიზებელ ტექსტში შემავალ იმ რეფერენტთა ერთობლიობა, რომელთა დასახელება ხდება არსებით სახელთა ან სახელად კონსტრუქციათა საშუალებით. როგორც ვხედავთ, ამგვარად გაგებული რეფერენტული სტრუქტურა შინაგანად უკავშირდება იმ სახელთა ნომინაციურ ფუნქციას, რომლებიც წარმოადგენენ ტექსტის ლექსიკური ასპექტის ერთ-ერთ და, ამავე დროს, უმნიშვნელოვანეს ასპექტს.

ტექსტის რეფერენტულ სტრუქტურაზე ამგვარი მსჯელობით ჩვენ შევქმენით ჟურნალისტურ ტექსტთა (კერძოდ კი საინფორმაციო ჟანრის ტექსტობრივი სივრცის) პრაგმალინგვისტური ანალიზიდან ლინგვოკულტუროლოგიურ ანალიზზე გადასვლის მეთოდოლოგიური საფუძველი, თვით ხსენებული გადასვლა კი რეალურად მოხდება მაშინ, როცა საინფორმაციო ცნობის არსებული ჟურნალისტური ტიპოლოგიისა და ჟანრის ტექსტად ქცევის ჩვენს მიერ დადგენილი ფორმულის

საფუძველზე რეალიზებული იქნება ხსენებული სივრცის ლინგ-ვოსემიოტიკური (ძირითადად პრაგმალინგვისტური) ტიპოლოგიზაცია.

§ 6. საინფორმაციო ცნობის როგორც ჟანრის “ტექსტად ქცევის” ფორმულა და ამ ჟანრის ტექსტობრივი სივრცის ტიპოლოგიზაციისათვის აუცილებელ კრიტერიუმთა სისტემა.

წინა პარაგრაფში შევეცადეთ შეგვექმნა თეორიული საფუძველი იმისთვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ის, რასაც გულისხმობს ჩვენი კვლევის ინტერპარადიგმული პრინციპი – ხსენებული ჟანრის ტექსტობრივი სივრცის პრაგმალინგვისტური ხედვიდან ლინგვოკულტუროლოგიურ ხედვაზე გადასვლა. ამავე დროს ითქვა, რომ ამგვარი გადასვლის რეალური განხორციელების ერთ-ერთ წინაპირობად უნდა მივიჩნიოთ ჟანრის ტექსტად ქცევის ჩვენს მიერ ერთ-ერთ წინა პარაგრაფში შემუშავებული ის ფორმულა, რომელიც შეიცავდა როგორც ჟანრულ, ისე ტექსტობრივ დონეთა “ემური” და “ეტური” ერთეულების ურთიერთმიმართების დინამიურ სქემას. როგორც გვახსოვს, ამ ჩვენს მიერ შემუშავებულ ფორმულას (მოდელს) ქონდა ორი სტრუქტურული დონე – პირველ დონეზე ხდებოდა “ემურ” კონსტრუქტთა და შესაბამის “ეტურ” სივრცეთა ურთიერთმიმართების მოდელირება, მეორეზე კი გამოხატული იყო “ემურ” ერთეულთა შინაარსობრივი სტრუქტურის პარადიგმულ-დინამიური ცვალებადობა. იმისათვის, რომ შევძლოთ ხსენებული ფორმულის ეფექტური გამოყენება, გავიმეოროთ მოცემულ პარაგრაფში მისი მეორე სტრუქტურული დონე მაინც:



როგორ შეივსება შინაარსობრივად ფორმულა-მოდელის ეს მეორე დონე, თუ კი ვიგულისხმებთ საინფორმაციო ცნობისა და მისი შესაბამისი ტექსტობრივი განხორციელების “ემურ” დონეებს (რაც შეეხება

შესაბამის “ეტურ” დონეებს, მათზე ვიმსჯელებთ მაშინ, როცა შევეხებით შესაბამისი ტექსტობრივი სივრცის ტიპოლოგიზაციის პრობლემას)?

სანამ ფორმულის შევსების აქტი კონკრეტულ სახეს მიიღებს, უნდა გავიხსენოთ, რომ იგი გულისხმობს ა) როგორც ჟანრობრივ, ისე ტექსტობრივ დონეზე ჯერ “ემური” კონსტრუქტის ლინგვოპრაგმატულ, შემდეგ კი ლინგვოკულტუროლოგიურ გააზრებას და ბ) “ემურ” კონსტრუქტთა გააზრება უნდა მოხდეს როგორც ჟანრობრივ, ისე ტექსტობრივ დონეზე (როგორც უკვე ითქვა, “ეტური” დონის გააზრება მოხდება ტიპოლოგიზაციის პრობლემასთან უშუალო დაკავშირებით). ამავე დროს გასათვალისწინებელია შემდეგიც: “ემურ” კონსტრუქტთა ლინგვოკულტუროლოგიური გააზრება (ანუ, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, გადააზრება) შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა შევეცდებით პასუხი გავცეთ წინა პარაგრაფში ფორმულირებულ ლინგვოკულტუროლოგიურ იმპერატივებს. მოცემულ პარაგრაფში კი “ემურ” კონსტრუქტებს გაავიზრებთ პრაგმატულინგვისტურ იმპერატივთა შესაბამისად.

როგორც უკვე ვიცით, ინფორმაციულ ჟურნალისტურ ჟანრთა პრაგმატულინგვისტური კვლევა განხორციელებული მ. გვენცაძის უკვე არაერთხელ ციტირებულ მონოგრაფიაში. ჩვენ უკვე გვქონდა ციტირებული დიფერენციალურ ნიშანთა ის სისტემა, რომელიც გვენცაძის აზრით დამახასიათებელია ჟურნალისტურ ჟანრთა მთელი მაინფორმირებელი ქვეკლასისათვის. სწორედ ამ სისტემის გათვალისწინებით ავტორი იძლევა ჩვენთვის უშუალოდ საინტერესო ჟანრის, ანუ საინფორმაციო ცნობის დიფერენციალური ნიშნის შემდეგ სისტემას:

“საინფორმაციო ცნობა:

დომინანტური კომუნიკაციური ინტენცია – მიაწოდოს მკითხველს ინფორმაცია მოკლედ და ოპერატიულად;

კომუნიკაციის შინაარსი – ცალკეული ფაქტი/მოვლენა-სიახლე;

ადრესატი – ოფიციალური ინსტიტუტი/საინფორმაციო
სამსახური (გაზეთის რედაქცია)”
(7,126-127).

როგორც ვხედავთ, საინფორმაციო ცნობის დიფერენციალურ ნიშანთა სისტემის გვერცხისეული ვარიანტი პასუხობს კომუნიკაციის აქტისადმი პრაგმატისეული მიდგომის სამივე ძირითად კომპონენტს – კომუნიკაციურ ინტენციას, კომუნიკაციის ობიექტს და ადრესატს, თუმცა, ამავე დროს, უნდა მივიჩნიოთ, რომ ეს სისტემა მეტისმეტად “შეკუმშულია”, რაც, ჩვენის აზრით, უარყოფით გავლენას ახდენს სისტემის სტრუქტურაზე. ასე, მაგალითად, სისტემაში ექსპლიციტური ფორმით ნახსენებია ადრესატი, მაგრამ არ არის ასევე ექსპლიციტურად დასახელებული ადრესანტი – როგორც სჩანს, ავტორს მიაჩნია, რომ ინტენციის ცნება იმპლიციტურად შეიცავს ადრესანტს და ამიტომ აღარ არის საჭირო ამ ცნების ვერბალური ექსპლიკაცია. მაგრამ, თუ ასე მიუხედავად დიფერენციალურ ნიშანთა დასახელების პრობლემას, მაშინ ასევე შეიძლებოდა “ადრესატის” მაგივრად გვეთქვა “ინფორმაციის ოპერატიული მიღება”. მაგრამ, როგორც ვიცით, ავტორმა ამ შემთხვევაში ამჯობინა ადრესატის პირდაპირი, ექსპლიციტური ფორმით დასახელება.

ამ კრიტიკული შენიშვნის შესაბამისად შევეცდებით, ერთის მხრივ, გამოვიყენოთ საინფორმაციო ცნობის დიფერენციალურ ნიშანთა გვერცხისეული ვარიანტი, მაგრამ, ამავე დროს, შევიტანოთ მასში ისეთი კორექტივები, რომლებიც შექმნიან ამგვარი სისტემის მოდელირების უფრო ზუსტ და საიმედო წინაპირობას. შესაბამისად, ჟანრის დონეზე იმ “ემური” ერთეულის შინაარსი, რომლის საფუძველზე იქმნება მისი შესაბამისი “ეტური” სივრცე, უნდა გამოიყურებოდეს შემდეგნაირად:

ჟურნალისტი – ადრესანტი

მკითხველი – ადრესატი

დომინანტური კომუნიკაციური ინტენცია – მოკლედ და ოპერატიულად
შეტყობინება

კომუნიკაციის შინაარსი – ცალკეული ფაქტი

როგორც ვხედავთ, საჭირო გახდა გვენცადისეულ სისტემაში ორი ძირითადი კორექტივის შეტანა:

- ა) ექსპლიციტურად დასახელდა როგორც ადრესატი, ისე ადრესანტი და
- ბ) ადრესატად მივიჩნიეთ არა ოფიციალური ინსტიტუტი, არამედ ის მასობრივი მკითხველი, რომლისთვისაც რეალურად და გამიზნულად იქმნება საინფორმაციო ცნობა.

ამის შედეგად მივიღეთ, ჩვენის აზრით, საინფორმაციო ცნობის “ემური” რეპრეზენტაციის ისეთი ვარიანტი, რომელიც, ერთის მხრივ, იძლევა შესაბამისი “ეტური” სივრცის, ანუ ამ ჟანრის ქვეჟანრული სივრცის წარმოდგენის საშუალებას, მეორეს მხრივ კი იძლევა “ემური” კონსტრუქტის კულტუროლოგიური გადააზრების რეალურ საფუძველს, რაშიც ჩვენ დავრწმუნდებით მაშინ, როცა შევეცდებით რეალური პასუხი გავცეთ წინა პარაგრაფში ფორმულირებულ ლინგვოკულტუროლოგიურ იმპერატივებს.

თუ საინფორმაციო ცნობის “ემური” კონსტრუქტის ჩვენს მიერ მიღებულ “ვერსიას” ჩავსვამთ “ემურ” კონსტრუქტთა იმ დინამიურ მწკრივში, რომელიც ჩვენ ფორმულის სახით ზემოთ მოვიყვანეთ და, ამავე დროს, თვით ფორმულის სტრუქტურიდან გამომდინარე ვიგულისხმებთ, რომ შემდგომ უნდა მოხდეს პრაგმალინგვისტურად ორიენტირებული კონსტრუქტის ლინგვოკულტუროლოგიულად ორიენტირებული კონსტრუქტით შეცვლა. მაშინ ნათქვამის კონკრეტიზაცია მიიღებს შემდეგ სახეს:

“ემური” I = ჟურნალისტი – ადრესანტი “ემური” I¹ = ?
მკითხველი – ადრესატი
დომინანტური კომუნიკაციური
ინტენცია – მოკლედ და
ოპერატიულად შეტყობინება
კომუნიკაციის შინაარსი –
ცალკეული ფაქტი

როგორც ვხედავთ, ჩვენ შინაარსობრივად ინტერპრეტირებული გვაქვს საინფორმაციო ცნობის როგორც ჟანრის “ემური” კონსტრუქტი ისე, როგორც ამას მოითხოვს და გულისხმობს ჟანრის

პრაგმატინგვისტური გაგება; კითხვის ნიშანი კი გულისხმობს იმას, რომ იმ ლინგოკულტუროლოგიურ იმპერატივთა საპასუხოდ, რომელთა სისტემა უკვე აგებული გვაქვს, უნდა მოხდეს “ემური” კონსტრუქტის ლინგოკულტუროლოგიური გადააზრება.

მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ ნებისმიერი “ემური” კონსტრუქტი გარდა თავისი პირდაპირი და უშუალო შინაარსისა ვირტუალურად უნდა შეიცავდეს ამ კონსტრუქტით ნაგულისხმევი ფენომენის (ჟანრისა და ტექსტის) ტიპოლოგიზაციის კრიტერიუმთა სისტემასაც. რა თქმა უნდა, ეს თეორიული მოსაზრება ვრცელდება ჩვენს მიერ შინაარსობრივად ინტერპრეტირებულ კონსტრუქტზეც და შეიძლება ითქვას, რომ ამგვარ კრიტერიუმთა შესაძლო სისტემას “ბადებს” ნებისმიერი იმ დიფერენციალურ ნიშანთაგან, რომლებიც ჩვენ ზემოთ დავასახელეთ: ყოველი მათგანი შეიძლება განიცდიდეს გარკვეულ ვარიაციას და სწორედ შესაძლო ვარიაციებზე ამგვარი წარმოდგენა უნდა მივიჩნიოთ ტიპოლოგიზაციის შესაძლო კრიტერიუმად.

§ 7. საინფორმაციო ცნობის არსებული ტიპოლოგია და მისი მიმართება მოცემული ჟანრის პრაგმატინგვისტურად ინტერპრეტირებულ “ემურ” სტრუქტურასთან.

როგორც ვიცით, ჩვენი საბოლოო და უშუალო მიზანია არა თვით საინფორმაციო ცნობის როგორც ჟანრის ფუნქციური არსისა და მისი ტიპოლოგიის კვლევა, არამედ იმის განსაზღვრა, თუ როგორ უნდა იქნას წარმოდგენილი ამ ჟანრის ტექსტობრივი განზომილება “ემური” კონსტრუქტის დონეზე და როგორი უნდა იყოს ამ სივრცის ტიპოლოგიზაციისათვის აუცილებელ კრიტერიუმთა სისტემა. მაგრამ, ამავე დროს, ისიც ვიცით, რომ ნებისმიერი ტექსტობრივი განზომილება (ტექსტობრივი სივრცე) წარმოადგენს ჟანრობრივ-დიფერენციალურ ნიშნათა ამ სივრცეში პროეცირების შედეგს და, გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ თვით ტექსტობრივი განზომილების “ეტური” დონეც (ანუ ის, რაც, ფაქტიურად, წარმოადგენს ტიპოლოგიას ტექსტის დონეზე) საბოლოო ანგარიშში დამოკიდებულია იმაზე, თუ

როგორია “ემურ” და “ეტურ” დონეთა ურთიერთმიმართება ჟანრის ფარგლებში. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია გავიხსენოთ საინფორმაციო ცნობის ის ტიპოლოგია, რომელსაც გვთავაზობს ჟურნალისტურ ჟანრთა თანამედროვე თეორია, რაც საშუალებას მოგვცემს დავინახოთ, თუ როგორ ხდება ზემოთ ჩვენს მიერ სტრუქტურირებული ჟანრობრივი “ემური” კონსტრუქტის რეალური სახის ვარიაცია “ეტურ” დონეზე. როგორც უკვე ვიცით, ა. ტერტიჩნი გვთავაზობს საინფორმაციო ცნობის შემდეგ ტიპოლოგიას:

- ფაქტოლოგიური საინფორმაციო ცნობა;
- სავარაუდო საინფორმაციო ცნობა;
- პრევენციული საინფორმაციო ცნობა;
- შეფასებითი საინფორმაციო ცნობა;
- ნორმატიული საინფორმაციო ცნობა;
- პროგრამული საინფორმაციო ცნობა.

დავინახოთ ეს ტიპოლოგია საინფორმაციო ცნობის “ემური” კონსტრუქტის ჩვენს მიერ ინტერპრეტირებელი სტრუქტურის ფონზე და დავსვათ კითხვა: ინტერპრეტირებული კონსტრუქტის რომელ კომპონენტს ეფუძნება ეს ტიპოლოგია, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ კომპონენტთან რომელი განიცდის ამ ტიპოლოგიის დამფუძნებელ ვარიაციას?

მიგვაჩნია, რომ იმ ვარიაციას, რომელიც იქცევა საინფორმაციო ცნობის ტიპოლოგიზაციის საფუძვლად, წარმოადგენს დომინანტური კომუნიკაციური ინტენცია. დავაკონკრეტოთ ნათქვამი საინფორმაციო ცნობის ზემოთ ხსენებულ ტიპთა მიხედვით:

- 1) “ფაქტოლოგიური” ნიშნავს: ჟურნალისტს სურს შეგვატყობინოს რომელიღაც ერთი (ცალკეული) ფაქტის როგორც რაღაც რეალურად არსებულის შესახებ;
- 2) “სავარაუდო” ნიშნავს: ჟურნალისტს სურს გამოთქვას ვარაუდი რომელიღაც ფაქტის შესახებ არსებობის შესახებ (ე.ი. ვარაუდი იმის თაობაზე, ქონდა მართლაც ამ ფაქტს ადგილი თუ არა);

- 3) “პრევენციული” ნიშნავს: ჟურნალისტს სურს გააფრთხილოს მკითხველი ამა თუ იმ მოსალოდნელ ფაქტთან დაკავშირებით;
- 4) “შეფასებითი” ნიშნავს: ჟურნალისტს სურს შეაფასოს ესა თუ ის მომხდარი ფაქტი;
- 5) “ნორმატიული” ნიშნავს: ჟურნალისტს სურს გამოთქვას მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რამდენად შეესაბამება მომხდარი ფაქტი არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ თუ მორალურ ნორმებს;
- 6) “პროგრამული” ნიშნავს: ჟურნალისტს სურს გარკვეული პროგრამის სახით ურჩიოს საზოგადოებას, თუ როგორ უნდა მოიქცეს იგი გარკვეული ფაქტის არსებობის სიტუაციაში და, რაც მთავარია, ამ ფაქტთან მიმართებაში.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიღებთ ზოგადი სახით საინფორმაციო ცნობის ამ ტერმინისეულ ტიპოლოგიას, თუმცა აუცილებლად მიგვაჩნია შევიტანოთ მასში შემდეგი კორექტივი: ჩვენის აზრით, საკმაოდ ძნელია გაავლო მკვეთრი და არსებითი ხაზი საინფორმაციო ცნობის ისეთ ორ ქვეჯანრს შორის, როგორცაა ნორმატიული და პროგრამული საინფორმაციო ცნობა. როცა ჟურნალისტი გამოთქვამს მოსაზრებას იმის თაობაზე, თუ რამდენად შეესაბამება ესა თუ ის ფაქტი არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ ნორმებს, ამით იგი ირიბი სახით მაინც (შეიძლება ითქვას – ქვეტექსტურად მაინც) გამოთქვამს მოსაზრებას იმის თაობაზეც, თუ რა სახე უნდა მიიღოს – ამ სიტყვის პოზიტიური გაგებით – მოვლენათა მსვლელობამ. ამიტომ არ მიგვაჩნია, რომ ამ ქვეჯანრთა ერთი მეორესგან იზოლირებულად გამოყოფა აუცილებლად პასუხობს საინფორმაციო ცნობის ტიპოლოგიზაციის მოთხოვნებს.

როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება ტერმინის მიერ შემოთავაზებული ტიპოლოგიისადმი? მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ამ კითხვის დასმა მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უკვე გამოვიყენეთ ეს ტიპოლოგია საინფორმაციო ცნობის “ემური” დონის დასაკონკრეტებლად. მიგვაჩნია, რომ ეს დამოკიდებულება უნდა გამოიხატოს იმ პრინციპზე დაყრდნობით, რომელმაც თავიდანვე მოგვცა იმის შესაძლებლობა, რომ დაგვენახა საინფორმაციო ცნობის ადგილი

არა მხოლოდ მის კატეგორიალურ ჯგუფში (გულისხმობთ საინფორმაციო ჟანრთა ჯგუფს), არამედ ჟურნალისტურ ჟანრთა მთელი სისტემის ფარგლებში. როგორც უკვე ვიცით, ეს პრინციპი ველის პრინციპია და თავის დროზე მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ველის პრინციპი გამოყენებული უნდა იქნეს როგორც მაკრო-, ისე მიკროდონეებზე. რაკი ცენტრალურ ცნებად მთელი ჟურნალისტური სისტემისათვის მიხნეულ იქნა ინფორმაციის ცნება და გამოითქვა ვარაუდი, რომ ყველა დანარჩენი ფუნქცია, საბოლოო ანგარიშში, უნდა წარმოადგენდეს ამ ძირითადი ფუნქციის ისეთ დაკონკრეტებას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ავტორისეული ინტენციისა და კომუნიკაციური სიტუაციის ერთობლივ მოთხოვნებს.

რას მოგვცემს ველის პრინციპი მოცემულ შემთხვევაში, ანუ მაშინ, როცა გვსურს შევაფასოთ საინფორმაციო ცნობის ზემოთ განხილული ტიპოლოგია? ხსენებული პრინციპის თანახმად “ფაქტოლოგიური საინფორმაციო ცნობა” (როგორც ტიპოლოგიის ავტორი მას უწოდებს) ვერ განიხილება ტიპოლოგიის მხოლოდ ერთ-ერთ (თუნდაც პირველ ნომრად ხსენებულ) წევრად. რაკი ინფორმაცია საერთოდ ატარებს ფაქტოლოგიურ ხასიათს, ხოლო თვით ჟანრის დასახელება (“საინფორმაციო ცნობა”) გულისხმობს ინფორმაციის ობიექტად ქცეული გარკვეული ფაქტის აუცილებელ არსებობას, ეს იმას ნიშნავს, რომ ფაქტოლოგიურობა როგორც დომინანტური და აუცილებელი სემანტიკურად მაკონსტიტუირებელი ნიშანი, უნდა გვქონდეს ნებისმიერ საინფორმაციო ცნობაში – როგორც თვით ჟანრის კატეგორიალური ნიშან-თვისება. მაგრამ, ამავე დროს, ცხადია ისიც, რომ ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში საინფორმაციო ცნობის ავტორის დომინანტური კომუნიკაციური ინტენცია გულისხმობდეს არა უბრალოდ და არა მხოლოდ ფაქტოლოგიურობას, ანუ გარკვეული ფაქტის არსებობას, არამედ მისდამი დამოკიდებულების (ავტორისეული მოდალობის) გარკვეული სახის გამოხატვას. მსგავს შემთხვევაში გვექნება საპირისპირო ინტენციათა შერწყმა: ობიექტურად საქმე გვექნება საინფორმაციო ცნობასთან და სწორედ ეს განსაზღვრავს ამ შემთხვევაში ჟანრის იდენტობას, მაგრამ სუბიექტურად საქმე გვექნება ავტორისეული მოდალობის დომინირებასთან.

ამგვარად, ველის პრინციპზე დაყრდნობით, შეიძლება ვილაპარაკოთ საინფორმაციო ცნობის ტიპოლოგიურ ველზე, რომლის ცენტრში, რა თქმა უნდა, მოექცევა “სუფთა” სახის ფაქტოლოგიური საინფორმაციო ცნობა, ანუ ისეთი ცნობა, რომელიც “თავისუფალია” ავტორისეული მოდალობის ნებისმიერი ფორმისაგან. რაც შეეხება საინფორმაციო ცნობის სხვა ტიპებს, მათი არსებობა ამ ჟანრის კონკრეტულ სიტუაციაში მეტყველებს იმაზე, რომ ხდება ჟურნალისტურ ჟანრთა კატეგორიულური ჯგუფების ურთიერთგადაკვეთა: პირველ რიგში, ინფორმაციულ ჟანრთა კატეგორიისა და ანალიტიკურ ჟანრთა კატეგორიის ურთიერთგადაკვეთა. იმის გამო, რომ ჟურნალისტურ ჟანრთა მთელი სისტემა ეფუძნება ინფორმაციულობას როგორც ცენტრალურ კატეგორიას, ამგვარ ურთიერთგადაკვეთათა შემთხვევაში “უპირატესობა” რჩება საინფორმაციო ცნობის მხარეზე, რადგან, როგორც თავიდანვე ითქვა, სწორედ იგი განასახიერებს ინფორმაციულობას “სუფთა” სახით. მაგრამ, ამავე დროს, ხსენებული ურთიერთგადაკვეთის შედეგად მუდამ შეიძლება მივიღოთ იგივე ჟანრის შერეული ტიპებიც, რომლებიც, ბუნებრივია, მოექცევიან ხსენებული ტიპოლოგიური ველის პერიფერიაზე.

ქვემოთ წარმოვადგენთ თანამედროვე ინგლისურენოვანი პრესიდან ამოკრეფილ საინფორმაციო ცნობათა ისეთ კომპლექსს, რომელიც თავისი შემადგენლობით მოახდენს ხსენებული ტიპოლოგიური ველის ვერბალურ გამოსატვას. ველის პრინციპის თანახმად, ჯერ დაუთმობთ ადგილს “სუფთა” სახით წარმოდგენილ საინფორმაციო ცნობას, შემდეგ კი ისეთ შერეულ ტიპებს, რომლებიც მთლიანობაში წარმოგვიდგენენ ხსენებულ ტიპოლოგიურ ველს. ამასთან შევეცდებით, რომ ტექსტთა წარმოდგენილი თანმიმდევრობა დაემთხვეს ტერტინის მიერ საინფორმაციო ცნობის ტიპთა წარმოდგენის თანმიმდევრობას (ტექსტები ამოღებულია გაზეთებიდან: The Guardian Weekly, The International Herald Tribune, The Georgian Times).

1) ფაქტოლოგიური საინფორმაციო ცნობა

“Tories dilute tax pledge”

David Cameron's new-look Conservative party announced its latest policy U-turn this week when it admitted that sorting out Britain's public finances and ensuring economic stability might make tax cuts impossible in its first term in office.

In a keynote speech in the City, the shadow chancellor, George Osborne, gave no guarantees that the Conservatives would be able to lower taxes in one parliament – providing only a pledge that there would be reductions over an entire economic cycle as and when they could be afforded.

The latest assessment by the chancellor, Gordon Brown, is that the current economic cycle will last 12 years, but Mr Osborne said that his profligacy had forced the Conservatives to put one of their main policy objectives on the back burner.

იქედან გამომდინარე, რომ ზემოთ მოცემული ტექსტი რიგით პირველია გასაანალიზებელ ტექსტებს შორის, საჭიროდ მიგვაჩნია სქემატურად მაინც ჩვენი ანალიზის ეტაპობრივი სტრუქტურა, რომელიც რეალიზებული იქნება დანარჩენ ტექსტთა შემთხვევაშიც:

- 1) პირველ რიგში უნდა განისაზღვროს გასაანალიზებელი ტექსტის ის საკუთრივ ენობრივი ასპექტი, რომელიც უნდა ჩაითვალოს საინფორმაციო ცნობის მაკონსტიტუირებელ-დიფერენციალურ ნიშანთა ტექსტობრივ სივრცეზე პროექტირების შედეგად. სხვანაირად რომ ვთქვათ, საჭირო იქნება იმის ჩვენება, თუ როგორ ხდება ტექსტობრივ ემპირიაში, ერთის მხრივ, ხსენებული პროექტირების ფაქტის, მეორეს მხრივ კი, როგორ მოჰყვება მას პროექტირების მეორე ეტაპი – “ემური” დონის “ეტურზე” პროექტირება. ძირითად ენობრივ სტრუქტურად, რომელსაც უნდა დავეყრდნოთ ამგვარად გამიზნული ანალიზის განხორციელებისას უნდა მივიჩნიოთ სამეტყველო კომპოზიციური ფორმა. ხსენებულ პრობლემასთან დაკავშირებული ჩვენი ვარაუდი მდგომარეობს შემდეგში: ამა თუ იმ კომპოზიციური ფორმის (ან ფორმების) მოცემულობა ტექსტის სტრუქტურაში პირდაპირი ან ირიბი სახით მიუთითებს იმაზე, თუ საინფორმაციო ცნობის რომელი ქვეჟანრის ტექსტობრივ განზომილებასთან გვაქვს საქმე მოცემულ შემთხვევაში. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ტექსტთა ანალიზის ხსენებული მომენტი აერთიანებს თავის თავში ტექსტობრივ იმპერატივთა გათვალისწინების ორ სახეს:

- ა) ვითვალისწინებთ პრაგმატიკულ იმპერატივს იმდენად, რამდენადაც ტექსტის ავტორის ინტენცია გარკვეულად უნდა იყოს ასახული ტექსტის კომპოზიციურ სტრუქტურაში;
- ბ) ხსენებული პრაგმატიკული იმპერატივის გათვალისწინებას უნდა შეესაბამებოდეს თემატურ-სემანტიკური იმპერატივის გათვალისწინება: ავტორისეული ინტენცია რეალიზებული უნდა იქნეს ტექსტის თემატური ასპექტის მოცემულობით;
- 2) ტექსტის ანალიზის მეორე ეტაპი პრინციპულად განსხვავდება წინა ეტაპისგან იმით, რომ მან თავის თავზე უნდა აიღოს მთელი იმ მეთოდოლოგიური პოზიციის განხორციელება, რომელსაც ჩვენ “ლინგვოკულტუროლოგიური” ვუწოდეთ. თუ გვსურს ამ ეტაპის მთელი თავისებურება გამოვხატოთ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ დავიწყეთ მისი განხორციელება არა მარტო პირველი თავის პირველი პარაგრაფიდან, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, შესავლის პირველი პარაგრაფიდანაც კი. ნათქვამი დასტურდება იმით, რომ ინფორმაციულ კონტინუუმზე ლაპარაკი, მისი დაკავშირება ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციურ განზომილებასთან უკვე ნიშნავდა კვლევის ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის რეალიზაციას. ამ პარადიგმის მოთხოვნის თანახმად (და ინფორმაციული კონტინუუმის როგორც ეპოქალური ფენომენის) გათვალისწინებით ჩვენ უკვე მივუჩინეთ სტატუსი საინფორმაციო ცნობას არა მხოლოდ საინფორმაციო უანრთა კატეგორიაში, არამედ ჟურნალისტურ უანრთა მთელ სისტემაში. ამგვარი მიდგომის შედეგს წარმოადგენს ის, რომ საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივ განზომილებასაც აღვიქვამთ როგორც ხსენებული ინფორმაციული კონტინუუმის განუყოფელ ასპექტს და ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია საგაზეთო უანრებზე ლაპარაკი ხსენებული მომენტის გარეშე.
- 3) ანალიზის მესამე ეტაპი, შეიძლება ითქვას, ატარებს რამდენადმე პირობით ხასიათს შემდეგი გაგებით: თვით ტექსტისადმი ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომა, საბოლოო ანგარიშში, გულისხმობს და მოითხოვს ენობრივ და კულტურულ ასპექტთა

ფაქტოლოგიურ განუყოფლობას. ჩვენ უკვე გავითვალისწინეთ ხსენებული განუყოფლობის ფაქტორი, როცა ვთქვით, რომ მთელი ჩვენი კვლევის მანძილზე პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით ვცდილობდით საკვლევი ობიექტისადმი ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომის განხორციელებას. რაც შეეხება ამ მიდგომის პრაქტიკულ-ანალიტიკურ რეალიზაციას, იგი, ჩვენის აზრით, უნდა ხდებოდეს ინტენციონალურ-პრაგმატიკულ, კომპოზიციურ და რეფერენტულ ასპექტთა ურთიერთდაკავშირების გზით.

მაგრამ, თუ ეს ასეა, მაშინ ჯერ-ჯერობით ამომწურავი პასუხის გარეშე რჩება შემდეგი კითხვა: რა აკავშირებს ერთმანეთთან ჟურნალისტური ტექსტის ადრესანტ-ავტორსა და ადრესატ-მკითხველს იმ იქნებ გაუცნობიერებელი მომენტების გარდა, რომელთა შესახებ ჩვენ ვმსჯელობდით ზემოთ და მთელი კვლევის განმავლობაში? ზემოთ ხსენებული ყველა მოსაზრება საბოლოო ანგარიშში ატარებდა ლინგვოკულტუროლოგიურ ხასიათს. მაგრამ ძალიან ხშირად ეს იყო მხოლოდ ირიბად გამოხატული (მემკვიდრეობითობა) ლინგვოკულტუროლოგია და მოწოდებულია მოახდინოს ამ გაუცნობიერებელის გაცნობიერება. მაგრამ როგორ შეიძლება ამ მიზნის მიღწევა, თუ ჯერ-ჯერობით არ ყოფილა ექსპლიციტურად მითითებული ტექსტის ღიად და აშკარად გამოხატვა (ვგრბალურად გამოხატული კულტურული ასპექტები). ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტად უნდა ჩაითვალოს კომენტირებული საინფორმაციო ცნობის ის ტექსტობრივი სივრცე, რომელიც თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში სახელდება როგორც “რეფერენტული სტრუქტურა”. როგორც ცნობილია, არ არსებობს ტექსტი მისი სემანტიკის ისეთი განმსაზღვრელი ფაქტორის გარეშე, როგორცაა ტექსტის რეფერენტული სივრცე. ჩვენის აზრით, ნებისმიერი რეფერენტული სივრცე, თუ მას ამავე დროს მივიჩნევთ იმ კულტურულ-ცივილიზაციურ სივრცედაც, რომლის ფარგლებში ადგილი აქვს საინფორმაციო ცნობის საგნად ქცეულ მოვლენას თუ ფაქტს, მოგვცემს იმის საშუალებას, რომ სწორედ იგი იქცეს ენობრივი ფენომენებისადმი ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომის ნიმუშად.

მაგრამ ასევე ცნობილია, რომ რეფერენტული სივრცე გულისხმობს რეფერენციას როგორც ზოგად ენობრივ ფენომენს, რომელიც, როგორც წესი, ხორციელდება მეტყველების ნაწილთა სისტემის ისეთი წევრის მეშვეობით, როგორიცაა არსებითი სახელი. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას: ჟურნალისტური ტექსტის რეფერენტული სტრუქტურის ასახვა და განმარტება შეიძლება მივიჩნიოთ ტექსტის ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის ბოლო და, ამავე დროს, აუცილებელ ეტაპად.

როგორც ვიცით, საინფორმაციო ცნობა როგორც ჟანრი მოითხოვს არა უბრალოდ რომელიმე ერთი ფაქტის შეტყობინების ობიექტად ქცევას, არამედ, ამავე დროს, ამ ფაქტის აუცილებელ ლოკალიზებას წარსულში. მაგრამ ენობრივ-ტექსტობრივ პლანში ზემოთ აღნიშნული ჟურნალისტური ინტენცია რეალიზებული უნდა იყოს ისეთი სამეტყველო კომპოზიციური ფორმით, როგორიცაა თხრობა. ინგლისურენოვან ტექსტში კი, როგორც ცნობილია, ამგვარ ჟურნალისტურ ინტენციას პასუხობს ინდიკატივის ნამყო განუსაზღვრელი დრო. როგორია ამ თვალსაზრისით მდგომარეობა ზემოთ მოცემულ ტექსტში? შეიძლება ითქვას, რომ ეს მდგომარეობა რამდენადმე წინააღმდეგობრივია: ერთის მხრივ, ტექსტში მართლაც დომინირებს თხრობა, ანუ მისი მორფოლოგიური კორელატი ნამყო განუსაზღვრელი; მაგრამ ვხედავთ იმასაც, რომ თუმცა ტექსტში დომინირებს ნამყო განუსაზღვრელით წარმოდგენილი თხრობა, ეს დომინირება მაინც არ არის აბსოლუტური და ტექსტში გვხვდება ისეთი ზმნური დროც, როგორიცაა აწმყო განუსაზღვრელი. მაგრამ საქმე ისაა, რომ, როგორც უკვე ვიცით, ენობრივი სტრუქტურები ნებისმიერ ტექსტში არსებობენ არა ავტონომიურად, არამედ წარმოადგენენ ჟანრის მაკონსტიტუირებელ-დიფერენციალურ ნიშანთა პროეცირებას ტექსტობრივ სივრცეზე. ამიტომ თქმა იმისა, რომ ტექსტში დომინირებს ნამყო განუსაზღვრელი, ნიშნავს ამავე დროს შემდეგს: ტექსტში დომინირებს ისეთი სამეტყველო კომპოზიციური სტრუქტურა, როგორიცაა თხრობა, ხოლო თვით თხრობა კი წარმოადგენს საინფორმაციო ცნობისათვის დამახასიათებელი ჟურნალისტური ინტენციის გამოხატვის ფორმას.

მაგრამ როგორც ზემოთ მოცემული ტექსტის რეფერენტული სივრცის ანალიზი გვიჩვენებს, იგი წარმოადგენს თანამედროვე დასავლური ცივილიზაციური სამყაროს პოლიტიკურ სიტუაციას. ყოველი ის სახელი, რომელიც ტექსტში გვხვდება, მეტყველებს სწორედ იმაზე, თუ როგორია მათ მიერ რეფერირებული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია. თუ ჩვენ ამოვწერთ და ჩამოვთვლით სწორედ სიტუაციურ რეფერენტებთან დაკავშირებულ არსებით სახელებს, დავინახავთ, რომ ტექსტი არა მხოლოდ გვიხატავს თანამედროვე ევროპისათვის დამახასიათებელ სოციალურ-პოლიტიკურ სივრცეს, არამედ ამ სივრცის იმ მონაკვეთსაც, რომელსაც ტიპიურად დიდი ბრიტანეთის სინამდვილე ეწოდება. ამოვწერთ ეს ფორმები: Conservative Party, the latest policy U-turn, to be admitted, public finances, ensuring economic stability, tax cuts, first term in the office, a keynote speech, to give a guarantee, to provide a pledge, entire economic cycle, assessment, policy objective.

“Blair’s faith is sorely tested”

Euan Blair, the 16-year-old son of the Prime Minister, was picked up by the police for being “drunk and incapable” in London’s Leicester Square at 11 o’clock at night. He and some school friends had been celebrating the end of their GCSE exams. Euan was found alone, vomiting on the pavement, but was evidently capable enough to give the police a false name and address. He was quickly identified and packed off home to his father (Mom was away in Portugal with baby Leo).

The most common response for the family was one of sympathy. But Mr. Blair showed signs of strain, and seemed to be close to tears when he addressed a conference of black church leaders on the afternoon that the story broke. He departed from his text to quote from Henry Longfellow – “For thine own purpose, thou has sent/The strife and the discouragement” – and said that being a father was a tougher job than being prime minister, “but the family to me is more important than anything else”. This won applause.

When he appeared on a televised Question Time that evening Mr. Blair seemed to have recovered something of his usual composure. “My son is basically a good kid. We will all get through this and see him right,” he said. Mr. Blair still

defended his proposal for sport fines for loutish behaviour, adding: “As a politician I cannot say that my family is always going to behave to the very highest standard, but the fact that my son has done something wrong will not stop me from speaking out and saying what I believe... It is important that we take action against violent or aggressive or disorderly conduct, and that applies to my family and my son as much as it applies to anyone else’s.”

ამ შემთხვევაშიც, რა თქმა უნდა, საქმე გვაქვს საინფორმაციო ცნობის ფაქტოლოგიურ ვარიანტთან, მაგრამ ერთი განსხვავებით: ეს ვარიანტი შეიძლება მიეკუთვნოს საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი სივრცის სტრუქტურულ ცენტრს – თუ, რა თქმა უნდა, ხსენებულ სივრცეს ამ შემთხვევაშიც განვიხილავთ როგორც ჟვლს. ტექსტის იმ ასპექტში, რომელიც შინაარსობრივად მთლიანად გამოხატავს ავტორისეულ (ადრესანტისეულ) ინტენციას, ფუნქციონირებს მხოლოდ Past Indefinite-ი როგორც ტექსტის ჟანრობრივი იდენტურობის ნათელი ნიშანი. შესაბამისად, ტექსტის ამ ასპექტის ენობრივ სტრუქტურას მთლიანად “ფარავს” თხრობა როგორც სამეტყველო კომპოზიციური ფორმა. არ იწვევს ეჭვს ავტორისეული ინტენციაც – იგი ატარებს წმინდა ინფორმაციულ ხასიათს – ანალიზისა თუ შეფასების ყოველგვარი კვალის გარეშე.

რაც შეეხება ტექსტის რეფერენტულ-კულტურულ სტრუქტურას: აქ სახეზეა თანამედროვე ინგლისის კულტურულ-ცივილიზაციური სივრცე. ამ სივრცის რეფერენტებზე მიუთითებენ შემდეგი არსებითი სახელები: the Prime Minister, London’s Leicester Square, their GCSE exams, black church leaders, a televised Question Time, sport fines

2) სავარაუდო საინფორმაციო ცნობა

“The silent ‘Arab street’ really has a lot to say”

Why was the “Arab street” complacent to the level of paralysis, while other “streets” around the world were busy protesting against the United States and its threats to invade Iraq?

The Arab politicians we asked this question answered according to their own ideological backgrounds. The Muslim fundamentalist politicians ignored the fact that the masses have been silent and instead spoke of a dormant “national spirit”. ...

For the pan-Arab nationalist (now rediscovering democracy), the Arab masses’ silence was blamed on the lack of an organized pan-Arab elite that alone can help the people find their way.

... These political opinions were far less consequential than those of ordinary Arabs ...

Consider the following opinions: Mohammed, 45, a taxi driver, said: “People in the Arab world are tired and fed up, especially after seeing the petty quarrels between Arab leaders ... Frankly, we all hoped war would come to Iraq so that we would get rid of all Arab leaders... Our only concern is for the Iraqi people.”

Dawlat, 60, a housewife, said: “we all pray that all Arab leaders would die...”

Ismat, 35, an office worker asked: “Why would people demonstrate? What can demonstrations achieve anyway? We are against U.S. policy, but we also against Saddam Hussein and all other Arab leaders except perhaps for Bashar Assad,” President of Syria.

...It is clear that there is unprecedented anger at Arab leaderships among ordinary people. ...

Public opposition ... will destroy the last vestiges of legitimacy that Arab regimes still cling to. ...

Arab regimes are stuck in an intractable political-ideological dilemma. This dilemma is most acute while globalization is forcing countries to settle cultural, economic and political problems before joining the new global civilization.

Arab leaders have patiently failed to formulate a unified position vis-à-vis the foreign storm. This was the final straw that caused ordinary Arabs to lose faith in their leaders’ ability to guarantee their security.

წინა ტექსტის ანალიზმა უკვე შეგვიქმნა მოდელი, რომლის მეშვეობით შეგვიძლია, ერთის მხრივ, გავითვალისწინოთ ყველა ის თეორიული მოსაზრება, რომლებიც წინ უნდა უძღვოდნენ ანალიტიკურ პროცესს, მეორეს მხრივ კი – ის შინაარსობრივ-სტრუქტურული თავისებურებაც, რომელიც თან ახლავს მოცემულ გასანალიზებულ ტექსტს.

1) ტექსტის ენობრივი ასპექტი

- ა) პრაგმატიკული ინტენცია. ეს ინტენცია ადვილად ამოიცნობა, რადგან წარმოადგენს საინფორმაციო ცნობის “ემური” სტრუქტურის ცენტრალური ნიშნის, ანუ ინფორმაციულობისა და ისეთი ნიშნის შერწყმას, რომელიც აშკარად მიეკუთვნება ჟურნალისტურ ჟანრთა ანალიტიკურ კატეგორიას. შესაბამისად, მოცემული ტექსტი უნდა მივაკუთვნოთ საინფორმაციო ცნობის ქვეჟანობრივი ველის არა ცენტრს, არამედ პერიფერიას – მაგრამ ისეთ პერიფერიას, რომლის კავშირი ცენტრთან ნათლად ვლინდება მისი მორფოლოგიური სტრუქტურით: ნამყო განუსაზღვრელი დომინირებს ტექსტში და სწორედ ამით დასტურდება ჟანრის იდენტობა;
- ბ) საინფორმაციო ცნობის როგორც ჟანრის იდენტობა ვლინდება – და ეს მომენტი ზემოთ უკვე იქნა აღნიშნული – ტექსტის კომპოზიციური სტრუქტურით: ამ სტრუქტურის ფარგლებში თხრობის როგორც სამეტყველო კომპოზიციური ფორმის დომინირება დასტურდება არა მარტო მისი შედარებითი რაოდენობრივი სიჭარბით, არამედ იმითაც, რომ Past Indefinite-ითიქოსდა ქმნის ტექსტის “კომპოზიციურ ჩარჩოს”: იგი იწყება ამ დროითი ფორმით (Why was the “Arab street” complacent to the level of paralysis...) და სრულდება ამ დროითივე ფორმით (This was the final straw that caused ordinary Arabs to lose faith...). სწორედ ამ “ჩარჩოშია” მოქცეული Past Indefinite-ისა და Present Indefinite-ის ურთიერთმონაცვლეობა, რომელიც ნათლად მეტყველებს ტექსტის “შერეულ” კომპოზიციურ სტრუქტურაზე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ტექსტში მოცემული Present Indefinite შეიძლება მიუთითებდეს ორ განსხვავებულ ფაქტზე: ა) იმაზე, რომ გარკვეულ მომენტში საინფორმაციო ცნობა ტრანსფორმირდება რეპორტაჟად, მაგალითად, People in the Arab world are tired and fed up..., ან ანალიტიკურ ჟანრად, მაგალითად, It is clear that there is unprecedented anger... როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს საინფორმაციო ცნობის პერიფერიულ რეალიზაციასთან, რადგან

სწორედ ამაზე მეტყველებს მის ტექსტობრივ სტრუქტურაში რეპორტაჟისა და ანალიზის “შეჭრის” ფაქტები.

- 2) მიგვაჩნია, რომ ზემოთ მოყვანილმა ფაქტებმა უკვე მიუთითეს ტექსტის კულტურულ-ცივილიზაციურ ასპექტზე, რადგან სწორედ ამ ასპექტისთვისაა დამახასიათებელი ჟურნალისტურ ჟანრთა ის ურთიერთზემოქმედება, რომელიც ასეთი სიცხადით ვლინდება მათი ტექსტობრივი განზომილების საკუთრივ ენობრივ სტრუქტურაში. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ჟურნალისტური ტექსტის ენობრივ და კულტურულ ასპექტთა გამაერთიანებელ მომენრად უნდა მივიჩნიოთ ტექსტის რეფერენტული სტრუქტურა: იმ არსებით სახელთა ერთობლიობა, რომლებიც გამოსატავენ ამ სტრუქტურას, ახდენენ სწორედ იმ რეფერენტთა ნომინაციას, რომლებიც უყოყმანოდ შეიძლება მივაკუთვნოთ თანამედროვე არაბულ სამყაროს (მის კულტურასა და ცივილიზაციას), თუმცა ასევე ცხადია, რომ სპეციფიკურად არაბულ რეფერენტთა ერთობლიობა შერწყმულია თანამედროვე პოლიტიკის ამსახველ რეფერენტებთან. დავასახელოთ ჯერ პირველი, შემდეგ მეორე კატეგორიის რეფერენტები: I. Arab street, Arab politicians, ideological backgrounds, the Muslim fundamentalist politicians, national spirit, the pan-Arab nationalist, the Arab masses’ silence, pan-Arab elite, ordinary Arabs, people in the Arab world, Arab leaders, the petty quarrels between Iraqi people, President of Syria, Arab leaderships, Arab regimes; II. rediscovering democracy, protesting against the United States, U.S. policy, public opposition, political-ideological dilemma, globalization, cultural, economic and political problems, the new global civilization, foreign storm.

“Illness sets off power battle”

Jacques Chirac left hospital last week, declaring himself “in good shape”, but aware that his week-long stay, for what doctors called “a small vascular incident”, had unleashed a fierce battle for his succession.

The French president, 72, looked comfortable and said he felt “very well”. He had been “eager to leave”.

... Mr. Chirac's first public appearance since September 2 should end rumours that the Elysee palace was not telling the whole truth about the extent of his condition.

... Mr. Chirac's hospital stay appeared to remove any chance that he might run a third term in office, and has prompted a succession struggle between his prime minister and protégé, Dominique de Villepin, and the interior minister, Nicolas Sarkozy, who heads the ruling centre-right UMP party.

... If Mr. de Villepin presides over an upturn, Mr. Sarkozy's more aggressive style may prove a turn-off for traditionally reform-phobic French.

მოცემული ტექსტიც, ბუნებრივია, წარმოადგენს საინფორმაციო ცნობის პერიფერიულ ვარიანტს: მიუხედავად ზმნურ ფორმათა ბევრად მეტი მრავალფეროვნებისა, ვიდრე ეს გვქონდა წინა ტექსტში, წმინდა თხრობითი მომენტი მაინც დომინირებს სხვა მომენტებზე. რაც შეეხება ამ სხვა მომენტებს: ტექსტში საკმარისი რაოდენობით გვაქვს ისეთი “გადახრები” ინდოკატივიდან, რომლებიც სათითაოდ და ერთობლივადაც გამოსატყვევ ავტორისეულ ვარაუდს, დაკავშირებულს როგორც წარსულთან, ისე მომავალთან (should end, might run, if...).

ტექსტის რეფერენტული სტრუქტურა ამ შემთხვევაშიც მიუთითებს XX საუკუნოვანი ევროპის კულტურულ-ცივილიზაციურ სივრცეზე – ამ შემთხვევაში ამ სივრცის ფრანგულ ვარიანტზე, თუმცა დაკონკრეტებულია სხენებული სივრცის ლოკალური ასპექტიც: ეს ასპექტი წარმოდგენილია მედიცინით და მასთან დაკავშირებული რეალებით (left hospital, in good shape, doctors, a small vascular incident, his condition, Mr. Chirac's hospital stay). თუმცა ტექსტი გვიჩვენებს ცივილიზაციური სივრცის ლოკალურ ასპექტთა ურთიერთზემოქმედების მაგალითსაც: სამედიცინო სინამდვილის პარალელურად ჩნდება პოლიტიკურიც (a fierce battle for his succession, the French president, public appearance, third term in office, prime minister, the interior minister, the ruling centre-right UMP party, reform-phobic French).

3) პრევენციული საინფორმაციო ცნობა

“New Orleans: wake-up call”

I watched the television images of the flooding of New Orleans and was hurt by the sight of the misery unfolding. ... My initial response was followed by a snarl of anger. ...

In New York I get to see the same poverty lead to a hopeless effort to maintain consistently low daily expenditure, utterly lacking in opportunity. The long-standing criminalization of the so abused to make them undeserving has effectively muted the national and international questions concerning the social inequities. I fear that the worst of the injustices is yet to come. The relocation to Texas is about to irrevocably change demographics.

New Orleans will be rebuilt: a port as fine as this will not be allowed to slip away. It will come back a very different city; a Mayor Nagin will never be seen again. The black poor will not be entering the new city, the future. Or is this one really the wake-up call?

ამ შემთხვევაშიც, რა თქმა უნდა, საქმე გვაქვს საინფორმაციო ცნობასთან, რადგან ტექსტი იწყება Past Indefinite-ის ფორმათა “ჯაჭვით”, რითაც იქმნება წინაპირობა ტექსტის შემდეგი უკვე არაინფორმაციული ხასიათის სეგმენტის გამოჩენისთვის. თვით ეს სეგმენტი კი შეიძლება ჩაითვალოს ყველა იმ ჟურნალისტურ ჟანრთა ჩანასახობრივი ვარიანტების შერწყმად, რომელთა კომპოზიციური ფორმები მოითხოვენ აწმყოს (Present) მის Indefinite-ის თუ Continuous-ის ვარიანტებში. ასე, მაგალითად, In New York I get to see the same poverty... ნაღდად შეიცავს რეპორტაჟულობის მომენტს, ასევე I fear that the worst of the injustices is yet to come. მაგრამ ფრაზა The relocation to Texas is about to irrevocably change demographics ერთდროულად იხრება უკვე ანალიტიკურობა-შეფასებისკენ. რაც შეეხება ბოლო აბზაცს, რომელიც ახდენს მთელი წინა შინაარსის გარკვეული სახით რეზიუმირებას, იგი ატარებს უკვე მთლიანად პრევენციულ ხასიათს: თუ ახალი ორლეანი იქნება რეაბილიტირებული ისე, როგორც აპირებენ, ამით ჩვენ დავკარგავთ ძველ ნიუ ორლეანს (New Orleans will be rebuilt: a port as fine as this will not be allowed to slip away. It will come back a very different city; a Mayor Nagin will never be seen again. The black poor will not be entering the new city, the future. Or is this one really the wake-up call?)

მესამე თავის დასკვნები

ნაშრომში გამოთქმულ თეორიულ-მეთოდოლოგიურ მოსაზრებაზე დაყრდნობით იკვეთება საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი განზომილების ანალიზის შემდეგი ეტაპობრივი სტრუქტურა:

1) პირველ რიგში უნდა განისაზღვროს გასაანალიზებელი ტექსტის ის საკუთრივ ენობრივი ასპექტი, რომელიც უნდა ჩაითვალოს საინფორმაციო ცნობის მაკონსტიტუირებელ-დიფერენციალურ ნიშანთა ტექსტობრივ სივრცეზე პროეცირების შედეგად. სხვანაირად რომ ვთქვათ, საჭიროა იმის ჩვენება, თუ როგორ ხდება ტექსტობრივ ემპირიაში, ერთის მხრივ, ხსენებული პროეცირების ფაქტის, მეორეს მხრივ კი, როგორ მოჰყვება მას პროეცირების მეორე ეტაპი – “ემური” დონის “ეგურზე” პროეცირება. ძირითად ენობრივ სტრუქტურად, რომელსაც უნდა დავეყრდნოთ ამგვარად გამიზნული ანალიზის განხორციელებისას უნდა მივიჩნიოთ სამეტყველო კომპოზიციური ფორმა. ხსენებულ პრობლემასთან დაკავშირებული ჩვენი ვარაუდი მდგომარეობს შემდეგში: ამა თუ იმ კომპოზიციური ფორმის (ან ფორმების) მოცემულობა ტექსტის სტრუქტურაში პირდაპირი ან ირიბი სახით მიუთითებს იმაზე, თუ საინფორმაციო ცნობის რომელი ქვეჟანრის ტექსტობრივ განზომილებასთან გვაქვს საქმე მოცემულ შემთხვევაში. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ტექსტთა ანალიზის ხსენებული მომენტი აერთიანებს თავის თავში ტექსტობრივ იმპერატივთა გათვალისწინების ორ სახეს:

ბ) ვითვალისწინებთ პრაგმატიკულ იმპერატივს იმდენად, რამდენადაც ტექსტის ავტორის ინტენცია გარკვეულად უნდა იყოს ასახული ტექსტის კომპოზიციურ სტრუქტურაში;

გ) ხსენებული პრაგმატიკული იმპერატივის გათვალისწინებას უნდა შეესაბამებოდეს თემატურ-სემანტიკური იმპერატივის გათვალისწინება: ავტორისეული ინტენცია რეალიზებული უნდა იქნეს ტექსტის თემატური ასპექტის მოცემულობით;

- 2) ტექსტის ანალიზის მეორე ეტაპი პრინციპულად განსხვავდება წინა ეტაპისგან იმით, რომ მან თავის თავზე უნდა აიღოს მთელი იმ მეთოდოლოგიური პოზიციის განხორციელება, რომელსაც ჩვენ “ლინგვოკულტუროლოგიური” ვუწოდებთ. თუ გვსურს ამ ეტაპის მთელი თავისებურება გამოვხატოთ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ დავიწყეთ მისი განხორციელება არა მარტო პირველი თავის პირველი პარაგრაფიდან, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, შესავლის პირველი პარაგრაფიდანაც კი. ნათქვამი დასტურდება იმით, რომ ინფორმაციულ კონტინუუმზე ლაპარაკი, მისი დაკავშირება ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციურ განზომილებასთან უკვე ნიშნავდა კვლევის ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის რეალიზაციას. ამ პარადიგმის მოთხოვნის თანახმად (და ინფორმაციული კონტინუუმის როგორც ეპოქალური ფენომენის) გათვალისწინებით საინფორმაციო ცნობას მიენიჭება ადგილი არა მხოლოდ საინფორმაციო უანრთა კატეგორიაში, არამედ ჟურნალისტურ უანრთა მთელ სისტემაში. ამგვარი მიდგომის შედეგს წარმოადგენს ის, რომ საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივ განზომილებასაც ადვილკვამთ როგორც ხსენებული ინფორმაციული კონტინუუმის განუყოფელ ასპექტს.
- 3) ანალიზის მესამე ეტაპი, შეიძლება ითქვას, ატარებს რამდენადმე პირობით ხასიათს შემდეგი გაგებით: თვით ტექსტისადმი ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომა, საბოლოო ანგარიშში, გულისხმობს და მოითხოვს ენობრივ და კულტურულ ასპექტთა ფაქტოლოგიურ განუყოფლობას. რაც შეეხება ამ მიდგომის პრაქტიკულ-ანალიტიკურ რეალიზაციას, იგი, ჩვენის აზრით, უნდა ხდებოდეს ინტენციონალურ-პრაგმატიკულ, კომპოზიციურ და რეფერენტულ ასპექტთა ურთიერთდაკავშირების გზით.

დასკვნები

1. საინფორმაციო ცნობის (ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ჟურნალისტური ჟანრის) ტექსტობრივი განზომილება განხილულ უნდა იქნას როგორც ჟანრის მიერ გენერირებული ტექსტობრივი სივრცე, რომელიც წარმოადგენს ამ სივრცის მაკონსტიტუირებელი არქიტექსტის ვარიაციული გაშლისა და რეალიზაციის შედეგს. მაგრამ თვით სხენებული არქიტექსტი როგორც “ემური” დონის კონსტრუქტი უნდა წარმოვიდგინოთ არა როგორც საინფორმაციო ცნობის “ქვეჟანრობრივი” სივრცის უშუალოდ ამ არქიტექსტად ტრანსფორმირების შედეგი: ქვეჟანრული სივრცე უნდა “დაუბრუნდეს” მის მაკონსტიტუირებელ არქიჟანრს როგორც ასეთივე “ემური” დონის კონსტრუქტს, ხოლო საკვლევი ტექსტობრივი სივრცე კი უნდა განხილულ იქნას როგორც სხენებული ორი კონსტრუქტის დინამიური ურთიერთმოქმედების შედეგი;
2. საინფორმაციო ცნობის როგორც ჟანრის და მისი ტექსტობრივი განზომილების (ტექსტობრივი სივრცის) ურთიერთმიმართება უნდა განხილულ იქნას როგორც ეპოქალური სივრცის იმ ვერტიკალურად და იერარქიულად სტრუქტურირებული განზომილების კომპონენტი, რომლის დომინანტურ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ ინფორმაციული კონტინუუმის ფენომენი;
3. ორი ცნების – ინფორმაციული კონტინუუმისა და მედიაკულტურის ცნებათა – კონცეპტუალურ სინთეზს მივყავართ დასკვნამდე, რომ საინფორმაციო ცნობა უნდა განვიხილოთ არა როგორც მხოლოდ ერთ-ერთი ჟურნალისტური ჟანრი, არამედ როგორც ჟანრი, რომელსაც როგორც ფუნქციური, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით უნდა მიენიჭოს დომინანტური სტატუსი მთელ ჟურნალისტურ სისტემაში.
4. საინფორმაციო კონტინუუმის როგორც ჟურნალისტურ ჟანრთა სისტემის გამჭოლად მოქმედი ფუნქციურ-სტრუქტურული პრინციპისა და ამ სისტემაში საინფორმაციო ცნობის დომინანტური სტატუსის გათვალისწინებით სხენებული სისტემა

უნდა წარმოვიდგინოთ როგორც კვდი და ვიკვლიოთ იგი ველის პრინციპზე დაყრდნობით. ამ პრინციპის კვლევითი რეალიზაციის შედეგად საინფორმაციო ცნობა მოექცევა არა მხოლოდ საინფორმაციო ჟანრთა, არამედ როგორც ჟურნალისტურ ჟანრთა მთელი ერთობლიობის ველის სახით წარმოდგენილი სტრუქტურის ცენტრში. შესაბამისად, უნდა განვასხვავოთ ჟურნალისტური ჟანრობრივი ველის როგორც მაკრო-, ისე მიკრო- დონეები. საინფორმაციო ცნობის როგორც ჟანრის სტატუსს განსაზღვრავს ფაქტი, რომლის თანახმად იგი გვეკვლინება ორივე დონის ველის ცენტრად;

5. საინფორმაციო ცნობის როგორც ჟანრის ტექსტობრივი განზომილების კვლევა უნდა ხდებოდეს ინტერდისციპლინარულობის და ინტერპარადიგმულობის პრინციპებზე დაყრდნობით. ინტერდისციპლინარულობა გაგებულ უნდა იქნას როგორც სამი დისციპლინის – ლინგვისტიკის, ჟურნალისტიკის თეორიის და კულტუროლოგიის – მონაცემთა ისეთი სინთეზი, რომლის შედეგად მივიღებთ საკვლევო ფენომენის ლინგვოკულტუროლოგიურ კვლევას; რაც შეეხება კვლევის ინტერპარადიგმულობას, იგი უნდა ნიშნავდეს ფენომენის ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური კვლევის შედეგთა ლინგვოკულტუროლოგიურ ინტერპრეტაციას. შესაბამისად, საკვლევო ფენომენის ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური კვლევა უნდა წარმოადგენდეს მის რეტროსპექტულ და პროსპექტულ ხედვათა სინთეზს. ამგვარი სინთეზი წინ უნდა უსწრებდეს ფენომენის საკუთრივ ლინგვოკულტუროლოგიურ ინტერპრეტაციას.
6. ჟურნალისტურ ჟანრთა სისტემაში საინფორმაციო ცნობის დომინანტური სტატუსისა და ველის თეორიაზე დაყრდნობის შედეგად საკვლევო ჟანრი უნდა განხილულ იქნას ხსენებული სისტემის სტრუქტურულ ცენტრად, მის არქიჟანრად. უნდა ვიგულისხმოთ, რომ საინფორმაციო ცნობის ჟურნალისტური ტიპოლოგია უნდა მიუთითებდეს ინფორმაციულ კრიტერიუმზე დაფუძნებულ საინფორმაციო ცნობის ქვეჟანრთა შემდეგ ერთობლიობაზე:

1. საინფორმაციო ცნობა, რომელიც ძირითადად შეიცავს ფაქტოლოგიურ ინფორმაციას;
 2. საინფორმაციო ცნობა, რომელიც ძირითადად შეიცავს ალბათობის პრინციპზე დაფუძნებულ ინფორმაციას;
 3. საინფორმაციო ცნობა, რომელიც ძირითადად შეიცავს პრევენციულ ინფორმაციას;
 4. საინფორმაციო ცნობა, რომელიც ძირითადად შეიცავს შეფასებით ინფორმაციას;
 5. საინფორმაციო ცნობა, რომელიც ძირითადად შეიცავს ნორმატიულ ინფორმაციას;
 6. საინფორმაციო ცნობა, რომელიც ძირითადად შეიცავს პროგრამულ ინფორმაციას.
7. უანრობრივ და ტექსტობრივ სივრცეთა ურთიერთმიმართების განსაზღვრისას უნდა დავეფუძნოთ ლინგვისტური თეორიის იმ ზოგად დებულებას, რომლის მიხედვითაც ხდება ემპირიული მასალის გააზრება ორ დონეზე – “ეტურ” და “ემურ” დონეებზე. უანრობრივი სივრცის ტექსტობრივ სივრცეში პროეცირება ხდება “ჯედ” ერთი კატეგორიალური სივრცის “ემური” დონის კონსტრუქტის მეორე სივრცის კონსტრუქტად გარდაქმნის (ტრანსფორმაციის) გზით და მხოლოდ ამის “შემდეგ” ხდება იმ ტექსტობრივი სივრცის ისეთი გენერირება, რომლის ფუნქცია და სტრუქტურა შეესაბამება მის მაკონსტიტუირებელ “ემურ” ერთეულს, ანუ ამ სივრცის არქიტექტს.
8. ნაშრომში გამოთქმულ თეორიულ-მეთოდოლოგიურ მოსაზრებაზე დაყრდნობით იკვეთება საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი განზომილების ანალიზის შემდეგი ეტაპობრივი სტრუქტურა: პირველ რიგში უნდა განისაზღვროს გასაანალიზებელი ტექსტის ის საკუთრივ ენობრივი ასპექტი, რომელიც უნდა ჩაითვალოს საინფორმაციო ცნობის მაკონსტიტუირებელ-დიფერენციალურ ნიშანთა ტექსტობრივ სივრცეზე პროეცირების შედეგად. სხვანაირად რომ ვთქვათ, საჭიროა იმის ჩვენება, თუ როგორ ხდება ტექსტობრივ ემპირიაში, ერთის მხრივ, ხსენებული პროეცირების ფაქტის, მეორეს მხრივ კი, როგორ მოჰყვება მას პროეცირების

მეორე ეტაპი – “ემური” დონის “ეტურზე” პროექტირება. ძირითად ენობრივ სტრუქტურად, რომელსაც უნდა დავეყრდნოთ ამგვარად გამიზნული ანალიზის განხორციელებისას უნდა მივიჩნიოთ სამეტყველო კომპოზიციური ფორმა. ხსენებულ პრობლემასთან დაკავშირებული ჩვენი ვარაუდი მდგომარეობს შემდეგში: ამა თუ იმ კომპოზიციური ფორმის (ან ფორმების) მოცემულობა ტექსტის სტრუქტურაში პირდაპირი ან ირიბი სახით მიუთითებს იმაზე, თუ საინფორმაციო ცნობის რომელი ქვეუნიტის ტექსტობრივ განზომილებასთან გვაქვს საქმე მოცემულ შემთხვევაში. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ტექსტთა ანალიზის ხსენებული მომენტი აერთიანებს თავის თავში ტექსტობრივ იმპერატივთა გათვალისწინების ორ სახეს:

- ა) ვითვალისწინებთ პრაგმატიკულ იმპერატივს იმდენად, რამდენადაც ტექსტის ავტორის ინტენცია გარკვეულად უნდა იყოს ასახული ტექსტის კომპოზიციურ სტრუქტურაში;
- ბ) ხსენებული პრაგმატიკული იმპერატივის გათვალისწინებას უნდა შეესაბამებოდეს თემატურ-სემანტიკური იმპერატივის გათვალისწინება: ავტორისეული ინტენცია რეალიზებული უნდა იქნეს ტექსტის თემატური ასპექტის მოცემულობით;

9. ტექსტის ანალიზის მეორე ეტაპი პრინციპულად განსხვავდება წინა ეტაპისგან იმით, რომ მან თავის თავზე უნდა აიღოს მთელი იმ მეთოდოლოგიური პოზიციის განხორციელება, რომელსაც ჩვენ “ლინგვოკულტუროლოგიური” ვუწოდეთ. თუ გვსურს ამ ეტაპის მთელი თავისებურება გამოვხატოთ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ დავიწყეთ მისი განხორციელება არა მარტო პირველი თავის პირველი პარაგრაფიდან, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, შესავლის პირველი პარაგრაფიდანაც კი. ნათქვამი დასტურდება იმით, რომ ინფორმაციულ კონტინუუმზე ლაპარაკი, მისი დაკავშირება ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციურ განზომილებასთან უკვე ნიშნავდა კვლევის ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის რეალიზაციას. ამ პარადიგმის მოთხოვნის თანახმად (და ინფორმაციული კონტინუუმის როგორც ეპოქალური ფენომენის) გათვალისწინებით საინფორმაციო ცნობას

მიენიჭება ადგილი არა მხოლოდ საინფორმაციო ჟანრთა კატეგორიაში, არამედ ჟურნალისტურ ჟანრთა მთელ სისტემაში. ამგვარი მიდგომის შედეგს წარმოადგენს ის, რომ საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივ განზომილებასაც აღვიქვამთ როგორც ხსენებული ინფორმაციული კონტინუუმის განუყოფელ ასპექტს.

10. ანალიზის მესამე ეტაპი, შეიძლება ითქვას, ატარებს რამდენადმე პირობით ხასიათს შემდეგი გაგებით: თვით ტექსტისადმი ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომა, საბოლოო ანგარიშში, გულისხმობს და მოითხოვს ენობრივ და კულტურულ ასპექტთა ფაქტოლოგიურ განუყოფლობას. რაც შეეხება ამ მიდგომის პრაქტიკულ-ანალიტიკურ რეალიზაციას, იგი, ჩვენის აზრით, უნდა ხდებოდეს ინტენციონალურ-პრაგმატიკულ, კომპოზიციურ და რეფერენტულ ასპექტთა ურთიერთდაკავშირების გზით.

ციტირებული ლიტერატურა

1. Е. П. Прохоров, Введение в теорию журналистики, Москва, Издательство «РИП-холдинг», 2002
2. რ. სურგულაძე, ე. იბერი, მასობრივი კომუნიკაცია, გამომცემლობა “ენა და კულტურა”, თბილისი 2003
3. И. Кадыкова, Жанры журналистики, file:\\ C:\internet\ Медиаспрут – журналистам, Жанры журналистики
4. Любовь Шибаева, Жанры в теории и практике журналистики, file:\\ C:\internet\ Жанры в теории и практике журналистики \Л. Шибаева\
5. В. И. Карасик, Языковой круг (личность, концепты, дискурс), Москва, ГНОЗИС, 2004
6. А. Т. Хроленко, Основы лингвокультурологии, Москва, Издательство “Флинта”, Издательство “Наука”, 2004
7. М. А. Гвенцадзе, Коммуникативная лингвистика и типология текста, Издательство “Ганатлеба”, Тбилиси, 1986
8. Н. Кирилова, Медиакультура: От модерна к постмодерну, Москва, Академический проект, 2005
9. გ. ლეხანძე, კომუნიკაციური ლინგვისტიკა, “ენა და კულტურა”, თბილისი 2004
10. А. Ф. Папина, Текст: его единицы и глобальные категории, УРСС, Москва, 2002
11. Л. А. Ноздрина, Поэтика грамматических категорий, Москва, Тезаурус, 2004
12. Н. Арутюнова, Референция, in: Лингвистический энциклопедический словарь, Москва, “Советская энциклопедия”, 1990
13. А. А. Тертычнй, Жанры периодической печати, File: C: internet/ А. А. Тертычнй Жанры периодической печати.htm